ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
15 ივლისი **პარასკევი** 2011
№ 164 (13461) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

82:74

## საქართველომ შვეიცარიული კაკალი გატეხა



12

ევროპის ჩემპიონატი.
20-წლამდელები. B დივიზიონი

## დინამო მოყვარულებს მოყვარულად ეთამაშა

## ანორთოსისი და გაგრა ზაფრა



# ყაზტრანსპრობლემა ისევ ვერ მოვუგეთ



ალექსანდრე კობრიაშვილის ფოტო

2-3

## ზესტაფონი უდიდფეხბურთოდ დარჩა: უეფამ ჩემპიონთა ლიგა თბილისში გადმოიტანა




# გადავეჩვიოთ უნეSOS!

## თამაში, შენი მოწონებული, სხვა... უეფას დაწუნებული

„ზესტაფონის“ შესანიშნავმა თამაშმა და სოლიდურმა გამარჯვებამ ყველა გაგვახარა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზესტაფონში მაინც მოხდა ისეთი ფაქტი, რამაც ხასიათი ძალიან გაგვიფუჭა. "ზესტაფონს" ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპამდე ბევრი ალარაფერი აშორებს, მაგრამ მიმდინარე ევროსეზონში შინ, "დავით აბაშიძეზე" ველარ ითამაშებს.

უეფამ ეს ვერდიქტი გუშინ გამოიტანა "ზესტაფონი"-"დაჩიას" მატჩის დელეგატის, ბულგარელი ანდრეი მედინცევის პატაკის საფუძველზე. მას სტადიონის მესერზე გადამძვრალი უბილეთო ქომაგები დაუნახავს, ისიც შეუნიშნავს, რომ ამ ფაქტის შემყურე პოლიციელები ურეაქციოდ იდგნენ და ყველაფერი ფოტოაპარატით დაუფიქსირებია.

მეტისმეტად გულსატკენი ამბავია – პატარა ქალაქი, რომელიც ფეხბურთით ცხოვრობს, მავანთა უთავბოლობისა და უპასუხისმგებლობის გამო ჩემპიონთა ლიგის გარეშე დარჩა. "ზესტაფონს" უეფას ვერდიქტის გასაჩივრების უფლებაც კი არ აქვს, ასე რომ, დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ – მომავალ საევროთასო მატჩებს საქართველოს ჩემპიონები თბილისში, ეროვნულ სტადიონზე ჩაატარებენ.

შეგახსენებთ, მომავალ ხუთშაბათს "გაგრა" "ანორთოსისს" ზესტაფონში უმასპინძლებს და ამას ვერაფერი შეცვლის. ამ ბარიერის გადალახვის შემთხვევაში კი "გაგრას" ისედაც დედაქალაქში უნდა ეთამაშა.

ლევან ჯანეზაშვილი

ქართული ფეხბურთი

● ევროპის ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

# მტკვარი ირტიშთან ღელეა

## არადა, ადრე ასე არ იყო

14.07. რუსთავი. ფოლადი. 3000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მეტალურგი | 1 |
| ირტიში | 1 |

1:0 კვახაძე (73), 1:1 დასკალოვი (79)

| მეტალურგი 4-4-2 | ირტიში 4-4-2 |
|---|---|
| ბედიაშვილი | ცირინი |
| მახვილაძე | ბალაჟიჩი |
| კვახაძე | ჩერნიშოვი |
| ორბელაძე | კულიგალი |
| ჯაფარიძე | დანაილოვი |
| მაისურაძე | ივანოვი |
| რაზმაძე | სერგიენკო |
| მიქაბერიძე | გოვედარიცა |
| გენაძე | სიმინიდი |
| ქობალია | დასკალოვი |
| მოდებაძე | ტლეშევი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. ჯელაძე | ტ. ბაისუფინოვი |

**მეტალურგი**

63. ქობალია - **ტატანაშვილი**
78. გენაძე - **ქავთარაძე**
84. მიქაბერიძე - **ტყემალაძე**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, აბურჯანია, პავლიაშვილი, ლომაია.*

**ირტიში**

46. ტლეშევი - **მალცევი**
70. სიმინიდი - **ზარეჩნი**
86. სერგიენკო - **ასანბაევი**

*სათადარიგოები: კალმიკოვი, კრიუკოვი, ნიკოლიჩი, მიხაილუკი.*

გაფრთხილება: **გენაძე (32), ქავთარაძე (33), მახვილაძე (40), ჩერნიშოვი (48), ივანოვი (57), ტყემალაძე (88).**

მსაჯი: **რენე აისნერი (ავსტრია)**

ისევ ისე, როგორც შარშან – რუსთაველებმა შინ ყაზახურ გუნდს კვლავაც ვერ სძლიეს — ამჯერადაც ფრე, ამჯერადაც სინანული და კითხვა – ესენი როგორ ვერ დავამარცხეთ?

და ისევე, როგორც გასულ წელს, ახლაც "მეტალურგებმა" თავის თავს უნდა დააბრალონ. ვერ ვიტყვით, რომ პავლოდარული კლუბი სუსტია, მაგრამ გრანდი ნამდვილად არ არის და მესამეხარისხოვანი ლეგიონერებითა და კარგად მორბენალი ყაზახი ბიჭებით არის დაკომპლექტებული, მათი მწვრთნელის თქმის არ იყოს, "საბჭოთა, პავლოდარული" სტილით თამაშობენ, ეს არის და ეს.

რუსთაველებს ბლიცკრიგი არ გამოუვიდათ, სტუმრებმა შემართებით დაიწყეს და პრესინგის მეშვეობით ცდილობდნენ, ქართველებისთვის პლუსების გამოყენების საშუალება არ მიეცათ.

უკვე მე-4 წუთზე **ედუარდ სერგიენკო** მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში სახიფათოდ ჩაკიდა – მისი თანაგუნდელები დროულად ვერ გაიხსნენ და სახიფათო მომენტი განიმუხტა.

მალე რუსთაველებმა თამამად შეუტიეს, მე-11 წუთზე კარის ალება სცადეს **გიორგი მიქაბერიძემ** და **ირაკლი მოდებაძემ**, მე-20 წუთზე კი სტუმართა კონტრშეტევის დაგვირგვინებას **ფიოდორ სიმინიდი** ცდილობდა. ამ წუთებში ყაზახებმა შეტევები გააძლიერეს და საკმაოდ მწვავედ მოქმედებდნენ.

ჩვენების თამაში **რევაზ გენაძემ** გახსნა, მისი უჩვეულო მოძრაობები და ფინტები მეტოქეებს უხერხულობას უქმნიდა, მათ სისუსტეებს აშიშვლებდა და რუსთაველებმაც ამის გამოყენება სცადეს. ჩვენებს ორთაბრძოლებში უჭირდათ, მაგრამ ბურთს თუ დაბლა და სწრაფად აგორებდნენ, მეტოქეს უჭირდა.



26-ე წუთზე უეფას ახალი წესი ვიხილეთ მოქმედებაში: მსაჯმა თამაში გააჩერა და საშინელ სიცხეში მოთამაშეებმა წყურვილი მოიკლეს.

წყალმა ჩვენებზე დოპინგივით იმოქმედა და ტაიმის ბოლოს რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შექმნეს: 27-ე წუთზე **ლექსო კვახაძემ** მშვენიერი გადაცემით მეკარესთან პირისპირ მოდებაძე დატოვა, მაგრამ ირაკლიმ ბურთი ვერ "მოირგო" და მეკარემ დარტყმა მოიგერია.

31-ე წუთზე გენაძე საჯარიმოში შეიჭრა და, ერთი შეხედვით, მცველმა უხეშად მოცელა, ავსტრიელმა მსაჯმა კი სიმულაცია შენიშნა და პენალტს ვინ ჩივის, ჩვენიანს ყვითელი ბარათი უჩვენა.

36-ე წუთზე კი **მახვილაძე-მაისურაძის** სწრაფი კომბინაციის დაგვირგვინებას **ირაკლი ქობალია** შეეცადა – ბურთი კარს სანტიმეტრებით ასცდა.

პირველი ტაიმის დამატებულ დროში მოდებაძე ვალდებული იყო, გაეტანა, მაისურაძემ სამსვლიანი კომბინაციით ის კვლავ მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ...

მეორე ნახევარიც პირველის მსგავსად წარიმართა: პავლოდარელებმა აქტიურად დაიწყეს, ჯერ სერგიენკო ეცადა გატანას, 59-ე წუთზე კი **სერგეი ივანოვი** მეტალურგებმა საკუთარ საჯარიმოში წააქციეს, სტუმრები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ მსაჯის სასტვენი ამჯერადაც დუმდა.

მოულოდნელად, სტუმრები მოდუნდნენ, მასპინძლებმა კი აქტიურად შეუტიეს და ტემპი გაზარდეს. 67-ე წუთზე მოდებაძეს კიდევ ერთხელ შეეძლო გატანა, გენაძემ მშვენიერი გადაცემით კარის წინ დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ირაკლიმ კარს კვლავ ააცილა - გუშინ აშკარად არ იყო მისი დღე.

მერე ისევ გენაძემ აილო თავის თავზე თამაში, მისი დარტყმული მეკარემ მოიგერია კუთხურზე, რომელიც თავად შეასრულა, კვახაძემ კი ბურთისთვის ბრძოლაში ყველას დაასწრო და ანგარიში გახსნა – 1:0.

რუსთაველების უპირატესობა შთამბეჭდავი გახდა, თითქოს მეორადაც უნდა გაეტანათ, მაგრამ 78-ე წუთზე "მეტალურგის" მცველებს "ჩაეძინათ", საჯარიმოში არეულობით **გიორგი დასკალოვმა** ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა.

დიდი მცდელობის მიუხედავად, მასპინძლებმა მეორის გატანა ველარ შეძლეს და დასანანი ფრე — 1:1.

მატჩის შემდეგ პავლოდარელთა მთავარმა მწვრთნელმა **ტალგატ ბაისუფინოვმა** კიდევ ერთხელ წარმოთქვა საბჭოთა ფეხბურთის სტილისა და ერთად ყოფნის "სადღეგრძელო" და ჩვენს კოლეგას ტაქტიანი "სპასიბოთი" რომ არ ეგრძნობინებინა, დავამთავროთო, კიდევ ბევრ ამისთანას იტყოდა. "მეტალურგის" მთავარმა მწვრთნელმა **არმაზ ჯელაძემ** კი უიღბლობაზე დაიჩივლა.

ჩვენ კი გვრჩება ტკივილი, ყაზახებსა და მსგავს არასაფეხბურთო ქვეყნებს რომ ვერ ვუგებთ და ჩვენივე მიზეზით საკუთარ პოტენციალს ვერ ვიყენებთ.

მთავარი არ დაგვავიწყდეს – ბიჭებზე, ისევე როგორც შარშან, ამჯერადაც გავლენა იქონია გაურკვევლობამ – მათ არ იციან, მეტალურგიული კომბინატის ახალი მეპატრონე დააფინანსებს თუ არა გუნდს. ასეთი მდგომარეობა, ცხადია, განწყობაზეც აისახება და შედეგზეც.

**მერაბ მამულაშვილი**

**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტოები



წილისყრის წინ



## სავარაუდოთა სექვესტრი

დღეს უეფას შტაბბინაში ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა გაიმართება. რამდენიმე დღის წინ ქართული კლუბების სავარაუდო მეტოქეების სია გაგაცანით, გუშინ კი უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე პოტენციურ მონინაალმდეგეთა შეკვეცილი ნუსხა გამოქვეყნდა.

დავიწყოთ ჩემპიონთა ლიგით, სადაც მესამე ეტაპზე ცალი ფეხით გასული "ზესტაფონი" შემდეგ კლუბებს შეიძლება გადაეყაროს:

**რეინჯერსი (შოტლანდია)**

ამ წყვილების გამარჯვებულებს:

ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)-ბატე (ბელარუსი. პირველი მატჩი 1:1)

**რუსენბორგი (ნორვეგია)-ბრეიდაბლიკი (ისლანდია. პირველი მატჩი 5:0)**

**პარტიზანი (სერბეთი)-შკენდია (მაკედონია. პირველი მატჩი 4:0)**

**შტურმი (ავსტრია)-ვიდეოტონი (უნგრეთი. პირველი მატჩი 2:0)**

*აგვცდნენ: კოპენჰაგენი (დანია), მაქაბი ჰაიფა (ისრაელი)-ბორაცი (ბოსნია) გამარჯვებული, დინამო (ხორვატია)-ნეფთჩი (აზერბაიჯანი) გამარჯვებული, შკენდერბეუ (ალბანეთი)-აპოელ (კვიპროსი) გამარჯვებული, სკონტო (ლატვია)-ვისლა (პოლონეთი) გამარჯვებული.*

ვფიქრობთ, ჯერჯერობით გვიმართლებს. ბრძოლა ნებისმიერთან შეიძლება, მაგრამ კარგი იქნება, თუ "რეინჯერსი" აგვცდება, დანარჩენებთან "ზესტაფონს" არცთუ ურიგო შანსები უნდა ჰქონდეს.

ევროპის ლიგაზე თბილისის "დინამო" უელსური ბარიერის გადალახვის შემთხვევაში ამ ხუთიდან ერთ-ერთს დაუპირისპირდება:

**პალერმო (იტალია)**

**დინამო (რუმინეთი)**

**კარპატი (უკრაინა)**

ამ წყვილების გამარჯვებულებს:

**რეიკიავიკი (ისლანდია)-ჟილინა (სლოვაკეთი. პირველი მატჩი 3:0)**

**ტაურასი (ლიტვა)-დენ ჰააგი (ჰოლანდია. პირველი მატჩი 2:3)**

პირველ სამთან დაპირისპირება არცთუ სახარბიელოა, ამ ორი წყვილის გამარჯვებულებთან მოხვედრა კი კარგი იქნება.

თუ რუსთავის "მეტალურგმა" ყაზახეთში წარმატებით ითამაშა, ევროპის ლიგის მესამე რაუნდში მისი პოტენციური მონინაალმდეგეები იქნებიან:

**ჰაპოელი თელ ავივი (ისრაელი)**

**რენი (საფრანგეთი)**

**ლევსკი (ბულგარეთი)**

**ვიტორია (პორტუგალია)**

ამ წყვილის გამარჯვებულებს:

**მინსკი (ბელარუსი)-გაზიანთეფი (თურქეთი. პირველი მატჩი 1:1)**

სამწუხაროდ, ამ თემასთან "გაგრას" კავშირი, ალბათ, აღარ აქვს...

**ლევან ჯანეზაშვილი**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდზე ან ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

14.07. ლარნაკა. ა. პაპადოპულოსი
8 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ანორთოსისი | 3 |
| გაგრა | 0 |

1:0 ვუჩიჩევიჩი (8), 2:0 რეჟეკი (35), 3:0 რეჟეკი (71)

| ანორთოსისი | გაგრა |
|---|---|
| 4-4-2 | 5-3-2 |
| კოზაჩიკი | სეფიაშვილი |
| კოლინი | ზ. ჩხეტიანი |
| ტომაშიჩი | ტყეშელაშვილი |
| ლეივაკაბესი | კალანდაძე |
| ჟანისიო | ხუციძე |
| შპროკელი | ჯიშკარიანი |
| ლაბორდე | შარიქაძე |
| რონკატო | ნაკონეჩნი |
| ვუჩიჩევიჩი | სიჭინავა |
| ოკასი | ორდინსკი |
| რეჟეკი | კვანტალიანი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ს. სტოილოვი | ა. პისკოვეცი |

**ანორთოსისი**

37. რონკატო – **ლაზანი**
65. ლაბორდე – **სიელისი**
88. ოკასი – **ანდიჩი**

*სათადარიგოები: ივანკოვი, მარანგოსი, მინტიკისი, ხატციგეორგიუ*

**გაგრა**

60. სიჭინავა – **კოზერიძე**
67. ნაკონეჩნი – **გაზედავა**
86. შარიქაძე – **ჭკუასელი**

*სათადარიგოები: ბაგალიშვილი, გიგაური, გაბუნია, ხუბუა*

გაფრთხილება: **ჩხეტიანი (13), ნაკონეჩნი (15), სიჭინავა (25)**

არბიტრი: **რ. მატეჟეკი (ჩეხეთი)**



# ევრო შოკი



როცა ქვედა ლიგის გუნდი ქვეყნის თასს იგებს, ეს უკვე გამოსარჩევი საფეხბურთო ფაქტია და "გაგრა" ამისთვის არაერთხელ შევაქეთ. **ანატოლი პისკოვეცის** გუნდმა ევროსაგზური დიდი შრომისა და ბრძოლის ფასად დაიმსახურა და იმის მიუხედავად, რომ წილისყრამ ძლიერი მეტოქე არგუნა, მაინც არ ვკარგავდით იმედს, რომ "გაგრა" მორიგ სენსაციას უკვე ევროპული მასშტაბით მოახდენდა.

სამწუხაროდ, ამჯერად მოლოდინი გაგვიცრუვდა. ლარნაკას "ანტონის პაპადოპულოსზე" მოვლენები აბსოლუტურად ლოგიკურად განვითარდა და იმან გაიმარჯვა, ვინც მეტოქეზე არა ერთი და ორი თავით მაღლა იდგა. რას ვიზამთ, "ანორთოსისი" სულ სხვა დონის გუნდია, რომლის სიმაღლეზე ასასვლელად მარტო "გაგრას" კი არა, კიდევ ბევრ ქართულ კლუბს კიდევ ბევრი რამ დასჭირდება.

გვქონდა იმედი, რომ "ანორთოსისი" ველარ იქნებოდა ისეთი ძლიერი გუნდი, **თემურ ქეცბაიას** მწვრთნელობისას რომ იყო და შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ფამაგუსტელებს დღესაც სოლიდური კლუბი ჰყავთ, რომელიც მიმდინარე სეზონში, წესით, მხოლოდ "გაგრას" ძლევას არ უნდა დასჯერდეს.

იმის მიუხედავად, რომ უშანსოდ წააგეს, პისკოვეცისა და მისი ბიჭების მიმართ აუგს ვერ ვიტყვით – "გაგრა" ახალგაზრდული და მზარდი კლუბია, რომელიც ყოველწლიურად ვითარდება და თუ ასე გაგრძელდა, იქნებ, ევროპაშიც თქვას თავისი სიტყვა. მანამდე კი ლოკალური ამოცანა უნდა გადაჭრას და მომავალ ხუთშაბათს ზესტაფონში ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე იბრძოლოს შეძლებისდაგვარად ღირსეული შედეგის მისაღწევად.

არადა, მინიმალური სხვაობით გამარჯვებაც ძალიან საძნელო საქმედ გვეჩვენება. შემტევი და კომბინაციური ფეხბურთით კვიპროსელებმა ქართველები პირველივე წუთებიდან მიაჯაჭვეს საკუთარ საჯარიმოს და იმის მიუხედავად, რომ სავსებით სამყოფ ჰანდიკაპს მიაღწიეს, უფრო სოლიდურად გამარჯვებაც შეეძლოთ.

მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ნახავდით და ამიტომ თამაშის დეტალების აღწერას აღარ შევუდგებით, მხოლოდ იმას გავუსვამთ ხაზს, რომ "გაგრადან" თავისი საქმე მაღალ დონეზე მხოლოდ მეკარე **კონსტანტინე სეფიაშვილმა** შეასრულა, სხვა რგოლები კი, მეტი რომ არ ვთქვათ, ვერ ბრწყინავდნენ.

ინტერნაციონალური შემადგენლობის "ანორთოსისმა" სწრაფი გოლი გაიტანა. სეფიაშვილმა **რონკატოს** დარტყმა მოიგერია, მაგრამ **ვუჩიჩევიჩმა** დამატებაზე ყველას დაასწრო. მასპინძელთა მეორე გოლი პატარა შედევრი იყო. სწრაფი კონტრშეტევისას **ლაბორდემ** თითქმის მთელი მოედანი სოლორეიდით გაიარა, ოთხ მეურვეს გასცდა და ბურთი ძელს გაარტყა, თუმცა **რეჟეკმა** დაამატა – 2:0. 71-ე წუთზე მანვე ეფექტური თავურით მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 3:0.

სამწუხაროდ, "გაგრას" არსენალში შეტევისთვის საჭირო არავითარი იარაღი არ აღმოჩნდა, პისკოვეცის შეგირდები ვერც ხეირიანად თავდაცვას ახერხებდნენ.

რა გვეთქმის – როცა ძალა აღმართს ხნავს, ვერავითარი თავგანწირვა ვერ გიშველის. დღეს "გაგრას" "ანორთოსისის" დონის მეტოქეებთან ტოლ-სწორად ბრძოლა არ ძალუძს და ეს სულაც არ არის სიურპრიზი. თუკი სხვა ქართულ კლუბებს სამბურთიანი მარცხისთვის მწვავედ გავაკრიტიკებდით, "გაგრას" ამბავი ცოტა განსხვავებულ შემთხვევად მიგვაჩნია...

14.07. ლანელი. პარკ საარლეტსი.
1 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ლანელი | 2 |
| დინამო | 1 |

1:0 ფოლოვსი (8), 2:0 ფოლოვსი (51), 2:1 ოდიკაძე (81. პენ.)

| ლანელი | დინამო |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-2 |
| მორისი | ლორია |
| ტომასი | ოდიკაძე |
| ს. ჯონსი | კაკუბავა |
| სურმენი | პომოლა |
| გრისტი | რეხვიაშვილი |
| ბოუენი | კვეკვესკირი |
| კორბისიერო | ჯილაური |
| ევანსი | კოტო |
| უილიამსი | კახელიშვილი |
| ბონდი | კოშკაძე |
| ფოლოვსი | ჩისკო |
| მოთამაშე მწვრთ. | მწვრთნელი |
| ა. ლეგი | ა. გარსია |

**ლანელი**

67. ტომასი - **ლეგი**
72. ფოლოვსი – **რ. ჯონსი**
89. გრისტი – **ბეტლი**

*სათადარიგოები: რიჩარდსი, ჯენკინსი, ორმი, სეკერი*

**დინამო**

57. კოტო – **ლექვთაძე**
65. ჯილაური – **თექთურმანიძე**
70. კახელიშვილი – **იაგუე**

სათადარიგოები: ნადირაძე, თომაშვილი, ფირცხალავა, ფანცხავა

გაფრთხილება: **კორბისიერო (23), ფოლოვსი (44), კახელიშვილი (53), სურმენი (77), გრისტი (80), ლექვთაძე (82),**

არბიტრი: **მ. გესტრანიუსი (ფინეთი)**

# დინამოს მოყვარულებს სტატუსი გაუცვალა

"მილსამის" დამაჯერებელი ძლევის შემდეგ ძალიან დიდი იმედი გვქონდა, რომ "დინამო" ევროპის ლიგის მესამე ეტაპზე გასვლის საკითხს უელსშივე გადაწყვეტდა და ნახევრადპროფესიულ "ლანელის" სოლიდურად მოუგებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ნახევრადპროფესიონალების დონეზე სწორედაც რომ ჩვენებმა ითამაშეს და მოედანზე ისეთი ამბები დატრიალდა, ერთბურთიანი სხვაობით წაგებაც კი სანატრელი გაგვიხდა.

კარგად გვესმის, რომ ევროპაში კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებას საკმაო დრო სჭირდება და "დინამო" სულ ახლახან დაადგა ახალ გზას, მაგრამ **ალექს გარსიას** გუნდმა გუშინ იმ დონეზეც კი ვერ ითამაშა, "მილსამისთან" რომ ვნახეთ. შეიძლება, ქართულ საკლუბო ფეხბურთს საამაყო ბევრი არაფერი ჰქონდეს, მაგრამ "ლანელის" კატეგორიის გუნდთან წაგება მაინც ნამეტანია.

კიდევ კარგი, **დავით ოდიკაძის** მიერ გატანილმა პენალტმა "დინამო" გვარიანი სირცხვილისგან იხსნა და წყვილის ფავორიტის სტატუსი დაუბრუნა, მაგრამ უელსური ბარიერის გადალახვის შემთხვევაშიც კი გუშინდელი მარცხი მაინც მწარე მოგონებად დაგვრჩება. სხვა რომ არაფერი, ეს შეხვედრა თუნდაც იმიტომ უნდა მოგვეგო, რომ ევროპის საკლუბო რეიტინგში დამატებითი ქულები ჩაგვეწერა.

არაერთი ხელსაყრელი მომენტის განიავების მიუხედავად, ცუდად ითამაშა მთელმა "დინამომ", განსაკუთრებით დაცვის ხაზმა, არ იგრძნობოდა კავშირი რგოლებს შორის, ხშირი იყო ტექნიკური წუნი და თბილისელები ვერც გარსიას მიერ ნაქადაგები კომბინაციური თამაშით გამოირჩნენ. კიდევ კარგი, **გიორგი ლორიამ** შეინარჩუნა კონცენტრაცია, თორემ გამანადგურებელი ანგარიშით მარცხს ვერ გადავურჩებოდით.

თუკი "ლანელის" სწრაფი გოლი შემთხვევითობად მივიჩნიეთ და გამარჯვების იმედიც შევინარჩუნეთ, მეორე ტაიმის დასაწყისში ვინმე **ჯორდან ფოლოვსმა** დუბლი შეასრულა და "დინამო" უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო.

მეტოქეს არც "ლანელის" მოთამაშე-მწვრთნელი **ენდი ლეგი** მოერიდა და 67-ე წუთზე დაცვა საკუთარი თავით გააძლიერა. მოკლედ, რაც დრო გადიოდა, ჩვენი გაოგნება უფრო და უფრო მძაფრდებოდა და კიდევ კარგი, 81-ე წუთზე უელსელებმა საკუთარ საჯარიმოში **ირაკლი ლექვთაძე** წააქციეს...

ლექვთაძესა და **გიორგი კახელიშვილს** უელსში მიღებული გაფრთხილებები თბილისში თამაშის საშუალებას არ აძლევს, სამაგიეროდ, "დინამოს" **რობერტინიო** დაუბრუნდება.

ესპანელები კი კინაღამ დაგვავიწყდნენ – როგორც შემადგენლობიდან ხედავთ, **ჩისკომ** და **კოტომ** "დინამოში" სადებიუტო შეხვედრა სასტარტოში დაიწყეს, **იაგუე** კი შეცვლაზე შევიდა. თანაგუნდელებისა არ იყოს, ვერც ამ სამეულმა გაიბრწყინა და იმედია, "დინამოსთვისაც" და მისი ესპანელებისთვისაც მალე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

რადაც უნდა დაუჯდეს, თბილისში "დინამომ" სულ სხვა ფეხბურთი უნდა ითამაშოს და ეს ბარიერი გადალახოს შემდეგი ეტაპისთვის კი, ეგებ, პროგრესიც შეეტყოს, თორემ ძალიან დიდი სირცხვილი იქნება იმ კლუბთან ბრძოლაში გავარდნა, რომლის 44 წლის მოთამაშე-მწვრთნელიც შენს წინააღმდეგ მოედანზე გასვლას არ უფრთხის.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



ალექს გარსია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

კოლეგა კოლეგაზე



კახა ცხადაძე



გია გეგუჩაძე

# კახა ცხადაძე: ზესტაფონი გამორჩეულია

ბაქოს "ინტერის" მთავარმა მწვრთნელმა **კახა ცხადაძემ** ფეხბურთელები ორიოდე დღით დაასვენა, თავად კი საქართველოში ჩამოვიდა და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე "ზესტაფონისა" და კიშინიოვის "დაჩიას" მატჩს დაესწრო.

"ბედნიერი ვარ, რადგან ქართული გუნდის შესრულებით ძალიან სერიოზული დონის ფეხბურთი ვიხილე. საერთოდ, ბოლო დროს პოსტსაბჭოურ სივრცეში გამოიკვეთა ასეთი ტენდენცია: თითქმის ყველა ქვეყანაშია გუნდი, რომელიც სხვებისგან განსხვავებულია და მაყურებლის ინტერესს იწვევს.

დღეს საქართველოში ასეთი "ზესტაფონია", რომელიც აჩვენებს განსხვავებულ ფეხბურთს, აქვს გამორჩეული ინფრასტრუქტურა, პირობები, ძალიან კარგი სასელექციო პოლიტიკა და, რაც მთავარია, ნიჭიერი ახალგაზრდების გაზრდაზეა ორიენტირებული, რაც ჩვენი ფეხბურთისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

გეგუჩაძე განათლებული და ნიჭიერი მწვრთნელი რომ არის, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ვფიქრობ, მისმა არაერთი წლის საქმიანობამ ნაყოფი გამოიღო. ვუყურებდი "ზესტაფონის" თამაშს და მსიამოვნებდა, ყველა ფეხბურთელმა იცოდა თავისი ადგილი, უსიტყვოდ გრძნობდნენ ერთმანეთს, რაც მთავარია, მომეწონა თამაშის ორგანიზაცია და მინდა, გიას მივულოცო ის, რომ ძალიან სიმპათიური და ლამაზი გუნდი ჩამოაყალიბა.

"ზესტაფონი" ისეთ ფეხბურთს თამაშობს, რომელიც გულშემატკივარს უყვარს. გუნდი ყველა რგოლში დაბალანსებულია, ჰყავს საიმედო მეკარე. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ორივე ცენტრალურმა მცველმა, ონიანს კარგად ვიცნობ და მის შესაძლებლობებში ეჭვი არც მეპარებოდა. ძალიან გაზრდილა გიორგი ხიდეშელი, ზუსტი და საიმედოდ იყო. სასარგებლოდ ერთვებოდნენ იერიშებში ფლანგის მცველები.

კარგი იყო ნახევარდაცვა, რომელიც აქტიურობითა და ეფექტური თამაშით მოლდოველებს გასაქანს არ აძლევდა და ბევრ მწვავე მომენტს ქმნიდა - გამოცდილი აფციაური კარგად აკონტროლებდა ბურთს და თამაშს. საყრდენებმაც მშვენივრად ითამაშეს. მე თუ მკითხავთ, "ზესტაფონის" გამარჯვებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა შოთა გრიგალაშვილმა.

მომეწონა აგრესიული და მწვავე თავდასხმა, ასეთი ფორვარდები ნებისმიერ დაცვას შეუქმნიან პრობლემებს, დვალმა და გელაშვილმა "დაჩია" აანიოკეს და გამუდმებით ქმნიდნენ დაძაბულობას.

მოკლედ, "ზესტაფონი" ძალიან მომეწონა, მინდა გუნდს და მის გულშემატკივარს გამარჯვება მივულოცო და წარმატებები ვუსურვო. იმედია, ჩემპიონთა ლიგის ან ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლას მოახერხებენ," – გვითხრა ცხადაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ლეგიონი ჩემპიონთა ლიგაზე

# ზოგი ასე, ზოგი ისე

"ზესტაფონის" ფეხბურთელების გარდა, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე სხვა ქართველებმაც ითამაშეს. ყველაზე დიდ წარმატებას **ლადო დვალიშვილის** "მაქაბიმ" მიაღწია. ჰაიფელები შინ ბოსნიურ "ბორაცთან" 0:1-ს აგებდნენ, მაგრამ მაინც იძალეს და მეტოქე 5:1 გაანადგურეს. დვალიშვილი მოედანზე 39-ე წუთზე შევიდა, თუმცა გოლი არ გაუტანია.

გრაცის "შტურმმა" შინ უნგრულ "ვიდეოტონს" 2:0 სძლია. "ზესტაფონიდან" წასულმა **გიორგი ფოფხაძემ**, რომელმაც ავსტრიის ჩემპიონთან კონტრაქტი რამდენიმე დღის წინ გააფორმა, მატჩს სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი.

ერთადერთი ჩვენებური, ვისთვისაც ჩემპიონთა ლიგა მარცხიანი გამოდგა, **ზაქარია ბეგლარიშვილია**. მისმა „ფლორამ" ირლანდიაში "შემროკთან" 0:1 წააგო. ესტონელთა ქართველი ნახევარმცველი ძირითადში იყო და შესვენებისას შეცვალეს. "შემროკმა" 34-ე წუთზე გაიტანა, ერთი წუთით ადრე კი "ფლორამ" თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და საფეხბურთო კლუბი „მგლები" სამძიმარს უცხადებენ გუნდის მთავარ მწვრთნელს ელგუჯა ქომეთიანს დედის გარდაცვალების გამო.**

*დაკრძალვა ქ. ზუგდიდში, 17 ივლისს 15 საათზე.*

**სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს საფეხბურთო კლუბ „მგლების" მთავარ მწვრთნელს ელგუჯა ქომეთიანს დედის გარდაცვალების გამო.**

ინტერვიუ

# პასუხი, რომელიც ვიცით: შინ თამაში ვის არ უნდა?!



**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და რუსთავის "ოლიმპის" ყოფილი მეკარე მიხეილ ალავიძე თავის თაობაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულად ითვლებოდა. 2007 წელს 19 წლისამ ასაკისთვის უჩვეულო რეკორდი დაამყარა – 9 მატჩი უგოლოდ ჩაატარა და საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის საუკეთესო მეკარედ დასახელდა.**

**ალავიძე ორი წელია, უზბეკეთში, გუზორის "შურტანში" თამაშობს, ბედით უკმაყოფილოც არ არის, მაგრამ ამბობს, რომ ნორმალური პირობები რომ ჰქონოდა, საქართველოში სიამოვნებით დაბრუნდებოდა.**

**- უზბეკურ სიცხეებს გამოექეცი?**

- რა თქმა უნდა. მაგრამ არც აქ არის ალპები, არანაკლები სიცხეები დამხვდა. თუმცა მივდივარ და გული აქ მრჩება.

**- უზბეკეთში თავს კარგად ვერ გრძნობ?**

- არა, რატომ, ცუდად ნამდვილად არ ვარ, ლიგაც საკმაოდ ძლიერია და პირობებიც ნორმალური, მაგრამ სახლში ვის არ ურჩევნია?! დიდი ხანია, არ მენახა ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები და ცოტა ხნით რომ ჩამოვედი, გული ამიტომ მწყდება.

რაც შეეხება ფეხბურთს, უზბეკეთში თამაშით უკმაყოფილო ვერ ვიქნები, დღეს მათ ჩვენზე ბევრად უკეთესი პირობები აქვთ და ამიტომაც ვთამაშობ "შურტანში". პირობები იქით იყოს, საქართველოში ფეხბურთელის ფასი ისე დაეცა, აგდებით გიყურებენ. რა თქმა უნდა, ეს დამამცირებელია, თან თუ ცუდი პირობებიც ემატება...

ახლა მდგომარეობა ეროვნულმა ნაკრებმა გამოასწორა და ვამჩნევ, ხალხში იმედი გაჩნდა, რომ ფეხბურთის განვითარება შესაძლებელია. მაგრამ საამისოდ ეროვნული ჩემპიონატის წამოწევაა საჭირო, რასაც დიდძალი ფული სჭირდება და ეს როდის მოხდება, მე რომ თამაშს დავამთავრებ? დრო კი სწრაფად გადის და 12-13 წელიწადში კარიერას დავასრულებ. არადა, ყველას გვინდა, რომ ეს ჩვენი თამაშის დროს მოხდეს. მხოლოდ ფული არ არის სტიმული, ყველა ქართველს სურს, ძლიერი ჩემპიონატი გვქონდეს.

**- "შურტანში" თამაშით უკეთესი გუნდები თუ დააინტერესე?**

- ტაშკენტის "პახტაკორში" მიწვევენ, რომელიც უზბეკეთის ყველაზე ცნობილი კლუბია. კონტრაქტი დეკემბერში მიმთავრდება და ვნახოთ. სხვა აზიურ ქვეყნებში, მაგალითად, ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში თამაში ძალიან კარგი იქნებოდა, უკეთესი ჩემპიონატებია, მაგრამ საქმე ისაა, რომ იქ ლეგიონერებზე ლიმიტის გამო მეკარეებს ძალიან იშვიათად იწვევენ.

**- უზბეკეთის ჩემპიონატზე რას გვეტყოდი?**

- კარგი დონეა თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მაყურებელი დადის. "შურტანის" თამაშებზე 5 ათასი მაყურებელი მოდის. აბა, საქართველოში სათამაშოდ როგორ უნდა განეწყო, როდესაც ტრიბუნაზე 200-300 კაცი იმისთვის მოდის, რომ თავისიანი გაამხნევოს.

ორი წლის წინ უზბეკეთში ბევრი ქართველი ვთამაშობდით, ახლა კი მე და კახა მახარაძე დავრჩით. კახას "პახტაკორში" აფასებენ. ორი წელია, უზბეკეთშია და ძალიან გაიზარდა, რასაც ყველა აღნიშნავს. მახარაძეს გუნდშიც გაუმართლა – "პახტაკორი" ჩემპიონატის ლიდერებშია.

**- წლეულს "შურტანი" კარგად ვერ თამაშობს და რა არის ამის მიზეზი?**

- მწვრთნელი, რომელიც უკვე გაუშვეს. ახალი დაგვინიშნეს და მდგომარეობის გამოსწორების იმედი გვაქვს. უზბეკეთის ჩემპიონატი, რუსეთისა არ იყოს, გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდება და მეორე წრე მალე დაიწყება. თუმცა, როგორც არ უნდა გამოსწორდეს მდგომარეობა, "შურტანში" დარჩენა აღარ მსურს.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. სამზადისი

# ზღვისპირული ამბები

## კოლხეთი თანდათან ძლიერდება




მინდია ბობლიაშვილი კოლხეთშია

ბათუმის "დინამომ" ფოთის "კოლხეთს" გონიოში უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 0:1 დამარცხდა. ფოთელებმა **თედიაშვილის** მიერ 67-ე წუთზე გატანილი გოლით იმარჯვეს, მე-80-ეზე კი ბათუმელმა **ნასუაშვილმა** პენალტი ვერ გამოიყენა.

"კოლხეთში" რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა, რომელთა უმეტესობის გუნდში დარჩენაც გადაწყვეტილია. ყველაზე საინტერესო ამბები კი ის არის, რომ "კოლხეთში" ბოლნისის "სიონიდან" მეკარე **მინდია ბობლიაშვილი**, ხოლო ქუთაისის "ტორპედოდან" ნახევარმცველი **ლაშა ქებაძე** გადავიდნენ.

ბათუმი: **მამინაშვილი, ფარტენაძე, ხუხია, ბაჯელიძე, რამიშვილი, ლობჟანიძე, ჟვანია, ა. მუჯირი, ბაციკაძე, ჯორბენაძე, ბერიძე.**

შეცვლაზე შევიდნენ: **კაკალაძე, მალაზონია, ვარშანიძე, მაკარიანი, კალანდაძე, ტაკიძე, თოდაძე, ნასუაშვილი.**

კოლხეთი: **ბობლიაშვილი, ქაჯაია, თედიაშვილი, ინწკირველი, მეგრელიშვილი, ლომაშვილი, ქებაძე, ცხადაია, გელაჭეიშვილი, კვერენჩხილაძე, მდივნიშვილი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ნადირაშვილი, ცხვიტარია, შავგულიძე, ბარამიძე, ჯანაშია, რუსია, წიქარიშვილი.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სპარტაკის მეხუთე გამარჯვება

**სპარტაკი–ადელი 3:2**

1:0 ბუზალაძე (7. ნ. მაისურაძის პასით), 2:0 ნარიმანიძე (30), 2:1 გობეჯიშვილი (55), 3:1 რ. ჯიქია (72. პენალტით), 3:2 სირაბიძე (80)

სპარტაკი: **დაუშვილი, სეფიაშვილი, გ. ალავიძე, ბურძენაძე, ნ. მაისურაძე, თუხარელი, მამუჩიშვილი, ზერეკიძე, ლობჯანიძე, ნარიმანიძე, ბუზალაძე.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ლ. ძაგანია, ციმაკურიძე, გ. კვარაცხელია, ბოიომო, შალამბერიძე, კაკაშვილი, ხაჭვანი, რ. ჯიქია.**

ურეკში მოსამზადებელ შეკრებაზე ცხინვალის "სპარტაკმა" მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და პირველ ლიგაში მოასპარეზე ბათუმის "ადელი" 3:2 დაამარცხა. **ბადრი კვარაცხელიას** გუნდს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული სამი ფეხბურთელი აკლდა — მეკარე **თორნიკე ზარქუა**, მცველი **ბადრი ტეტუნაშვილი** და ნახევარმცველი **თეიმურაზ შონია**. კვარაცხელიამ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელიც დაასვენა.

"სპარტაკი" მომდევნო საკონტროლოს 18 ივლისს ბათუმის "დინამოსთან" გამართავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცინცხალი ტრანსფერი

# ჟერომ ბავარიელი

## ბაიერნმა სიტი დაიყოლია: ბოატენგი მიუნხენში მიდის!



გადაწყდა: ჟერომ ბოატენგი ბაიერნში გადადის

მორჩა, გადაწყდა: „მანჩესტერ სიტისა“ და გერმანიის ნაკრების 22 წლის მცველი **ჟერომ ბოატენგი** კარიერას მიუნხენის „ბაიერნში“ გააგრძელებს! ტრანსფერი, რომლის შესახებაც საუბარი ორი თვის წინ დაიწყო, ბოლო დროს უტოპიური ჩანდა, რადგან ინგლისური კლუბის ხელმძღვანელები ახალგაზრდა გერმანელში 20 მილიონ ევროს ითხოვდნენ, „ბაიერნს“ კი ეს თანხა ძალიან ეძვირებოდა. სწორედ ამიტომ შევიდა მოლაპარაკებები ჩიხში და როგორც კი „ბაიერნის“ შეფებმა თქვეს, თუ „სიტი“ დათმობაზე არ წამოვა, ბოატენგზე ხელს ჩავიქნევთო, მანჩესტერელებმა ბოატენგის ფასი დააგდეს! ამრიგად, შეთანხმება შედგა და მართალია, კლუბები სატრანსფერო თანხას ასაიდუმლოებენ, მაგრამ „ბილდის“ ინფორმაციით, „სიტი“ 13.5 მილიონ ევროს დაყაბულდა. ჟერომ ბოატენგი „ბაიერნთან“ ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს და მიუნხენურ გრანდს თავის ბედს 2015 წლამდე დაუკავშირებს.

ბოატენგი ახლა „სიტისთან“ ერთად ლოს ანჯელესშია, სადაც მანჩესტერელები ახალი სეზონისთვის ემზადებიან, მაგრამ რაკი ტრანსფერი გადაწყდა, ჟერომი ამ დღეებში მიუნხენში ჩავა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტსაც გააფორმებს, რის შემდეგაც ოფიციალურად გახდება ბავარიელი. ამრიგად, ჟერომ ბოატენგი **მანუელ ნოიერის, ნილს პეტერსენის, ტაკაში უსამისა** და **დეილ ჯენინგსის** შემდეგ, „ბაიერნის“ რიგით მეექვსე ახალწვეულია. ამასთან, ჟერომის სახით მიუნხენელებს გერმანიის ნაკრების რიგით მერვე მოთამაშე ეყოლებათ – ნოიერის, **ბადშტუბერის, ლამის, კროოსის, შვაინშტაგერის, მიულერისა** და **გომესის** შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ ბოატენგი „მანჩესტერ სიტიში“ ზუსტად ერთი წლის წინ, „ჰამბურგიდან“ გადავიდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტრანსფერით მიუნხენურმა გრანდმა უკანასკნელი სიცარიელეც ამოავსო – რეკორდმაისტერს გაძლიერება ყველაზე მეტად დაცვის ცენტრში სჭირდებოდა. ბოატენგს დანიელ **ვან ბუიტენთან** და ჰოლგერ ბადშტუბერთან მოუწევს კონკურენცია.

*„მანჩესტერ სიტისთან“ ინტენსიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით და მათი დათანხმება ძალიან გაგვიჭირდა. მიხარია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა და ჟერომ ბოატენგის ყიდვა შევძელით. მისი სახით „ბაიერნში“ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მაღალი კლასის მცველი გადმოდის,“* – ეს „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია.

### ახლა ვუჩინიჩის რიგია?

როგორც ჩანს, „ბაიერნი“ სატრანსფერო აქტივობებს ბოატენგის ტრანსფერის შემდეგაც არ დაასრულებს. გუშინ, იტალიური გაზეთი „გაძეტა დელო სპორტი“ წერდა, რომ მიუნხენურმა კლუბმა „რომას“ თავდამსხმელ **მირკო ვუჩინიჩს** დაადგა თვალი. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, „ბაიერნი“ მზადაა, 27 წლის თავდამსხმელში 18 მილიონი ევრო გადაიხადოს. თუმცა „ბაიერნს“ სერიოზული კონკურენტები ჰყავს – ვუჩინიჩის ყიდვა „იუვენტუსს“ და „ტოტენჰემსაც“ უნდათ.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### დელპიერისთვის 2011 დამთავრდა

„შტუტგარტის“ მცველმა **მატიო დელპიერმა** ოპერაცია მაისში გაიკეთა და ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ სექტემბრისთვის ფეხზე დააყენებდნენ, მაგრამ 30 წლის ფეხბურთელის გამოჯანმრთელების პროცესი ცუდად მიდის. დელპიერს ნაოპერაციები გაუმიზეზდა და შვაბური კლუბის სამედიცინო შტაბის განცხადებით, დიდი შანსია, რომ მან წელს ფეხბურთის თამაში ველარ შეძლოს.

*„შესაძლოა, მოხდეს სასწაული და ნოემბერში დაგვიბრუნდეს, მაგრამ ამ ეტაპზე ეს გამორიცხულია. დელპიერის არყოფნა ახალი სეზონის პირველ ნრეში ჩვენთვის უდიდესი დარტყმაა,“* – აცხადებს „შტუტგარტის“ დამრიგებელი **ბრუნო ლაბადია**.

### სალიჰამიჯიჩი მოტეხილი ხელით ვარჯიშობს

„ვოლფსბურგის“ ახალწვეულმა **ჰასან სალიჰამიჯიჩმა**, რომელიც „მგლებში“ ტურინის „იუვენტუსიდან“ გადავიდა, რამდენიმე დღის წინ ვარჯიშზე ხელი მოიტეხა. მიუხედავად ამისა, 34 წლის „ბრაცო“ გუნდთან ერთად ვარჯიშს აგრძელებს.



*„მართალია, ხელი თაბაშირში მაქვს, მაგრამ არ მინდა, რომ ვარჯიშებს გამოვაკლდე. თანაც, პრობლემას ვერ ვხედავ, თავისუფლად ვვარჯიშობ,“* – აცხადებს ვეტერანი ბოსნიელი.

### მიონხენგლადბახში ბუმია

ბუნდესლიგის ახალი სეზონის დაწყებამდე სამი კვირით ადრე მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ 27 500 სეზონური აბონემენტი გაყიდა, რაც გერმანიის ხუთგზის ჩემპიონის არსებობის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია. აქამდე „გლადბახს“ ყველაზე მეტი აბონემენტი 2006/2007 წლების სეზონის წინ ჰქონდა გაყიდული – 26 200. აბონემენტების გაყიდვა გუშინ შეწყდა და ამიერიდან, „გლადბახის“ ფანებს მხოლოდ ერთჯერადი ბილეთების ყიდვა შეუძლიათ.

ინტერვიუ. ფრანკ რიბერი



ფრანკ რიბერიმ DTM-ის ტესტში მიიღო მონაწილეობა

# ჰაინკესის ხელში ყველაფერი კარგად იქნება!

**„ბაიერნის“ გენერალურმა სპონსორმა „აუდიმ“ მიუნხენური კლუბის ფრანგი გარემარბი ფრანკ რიბერი DTM-ის ტესტებზე წაიყვანა. რიბერი სპორტული AUDI A4-ით აღფრთოვანებული დარჩა. ტესტის შემდეგ, 28 წლის ფრანგს „ბილდის“ კორესპონდენტი გაესაუბრა და ცხადია, მხოლოდ ის არ უკითხავს, როგორი გრძნობაა, როცა ავტომობილს 100 კმ/სთ-მდე სულ რაღაც 2.8 წამში აჩქარებ.**

**– ჰერ რიბერი, ისიამოვნეთ?**

– ძალიან! ასეთი სწრაფი ავტომობილის ასეთ ტრეკზე ტარება ენით აუწერელი გრძნობაა. სწრაფად ადრეც მივლია, მაგრამ სარბოლო ავტომობილი ცხოვრებაში პირველად ვატარე და უდიდესი შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ. საფრანგეთში ყოფნისას, ჩემს ძმასთან და ბიძაშვილთან ერთად ხშირად დავდივარ ხოლმე კარტინგსა თუ მოტოკროსზე.

**– როგორც ვხედავთ, ავტოსპორტი გიზიდავთ.**

– დიახ, ავტოსპორტი მაინტერესებს. ფორმულა 1-ში სებასტიან ფეტელს ვქომაგობ.

**– ფეტელს ცხრა გრანპრიდან ექვსი მოგებული აქვს. „ბაიერნმაც“ ასე უნდა დაიწყოს სეზონი?**

– აუცილებლად! ახალი სეზონი ძალიან კარგად, რაც შეიძლება ბევრი მოგებით უნდა დავიწყოთ, რათა დიდი უპირატესობით დავწინაურდეთ. ვფიქრობ, ასეც იქნება, რადგან უკვე დროა, „ბაიერნმა“ სეზონი ისე დაიწყოს, როგორც ამ გუნდს სჩვევია.

**– და რა იქნება სტარტის შემდეგ?**

– აუცილებლად გერმანიის ჩემპიონები უნდა გავხდეთ. ზედიზედ ორი სეზონი ჩემპიონობის გარეშე „ბაიერნისთვის“ ნამდვილი კატასტროფა იქნება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სეზონი გველის ჩემპიონთა ლიგაშიც, რადგან ფინალი მიუნხენში უნდა გაიმართოს. თითოეული ჩვენგანი ფინალში გასვლაზე ოცნებობს. თუმცა მანამდე დიდი გზაა გასავლელი – ჯერ ჯგუფური ეტაპის საგზური უნდა მოვიპოვოთ. ნურავინ იფიქრებს, რომ საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა იოლი იქნება.

**– ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშზე ოცნება ბევრს შეუძლია. გულშემატკივრებს მხოლოდ ოცნება აღარ ჰყოფნით, მათ თქვენგან და თქვენი თანაგუნდელებისგან იმის მოსმენა უნდათ, რომ „ბაიერნის“ მიზანი ფინალში გასვლაა.**

– ორი აზრი არ არსებობს: ახლა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ. დღევანდელი „ბაიერნი“ შარშანდელზე ძლიერია. გასულ სეზონში თავი შევირცხვინეთ, თუმცა წარუმატებლობას ობიექტური მიზეზები ჰქონდა. არიენ რობენი დიდხანს გვაკლდა, მერე მწვრთნელმაც აურია და მთელი გუნდი აიჭრა. გასულ სეზონში ფეხბურთელებს თამაშისგან სიამოვნება თითქმის არ მიგვიღია – მხოლოდ ვიტანჯებოდით და სტრესის ქვეშ ვიყავით. ახლა კი რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა – ყველა კარგ ხასიათზეა და მოტივირებულია.

**– რატომ ფიქრობთ, რომ იუპ ჰაინკესის ხელში ყველაფერი გაცილებით უკეთ იქნება, ვიდრე ვან გაალის დროს იყო?**

– ჰაინკესი მარტო მე კი არა, ყველა ჩემს თანაგუნდელს ესიმპათიურება. იუპი სერიოზული სპეციალისტია, ახალგაზრდა მოთამაშეებს ხშირად ესაუბრება და ერთი სიტყვით, მან იცის, რა სჭირდებათ ფეხბურთელებს. გუნდში იმდენად დადებითი ატმოსფეროა, რომ მჯერა, ამ სეზონს ძალიან კარგად ჩავატარებთ. მეტიც: თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამაში დარწმუნებული ვარ.

**– მაინც, რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ გუნდში დადებითი ატმოსფეროა?**

– დღეს გუნდში ისეთი სიტუაციაა, როგორიც ჩემი აქ ჩამოსვლის დროს იყო. თუ გახსოვთ, მაშინ დუბლი შევასრულეთ. მოკლედ, გული კარგს მიგრძნობს.

**– ისეთი გრძნობა გვაქვს, რომ ეიფორიაში ხართ...**

– არ მიკვირს, რომ ასე ფიქრობთ, რადგან თავს მართლა ძალიან კარგად ვგრძნობ და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ბაიერნელობა ისევ ძალიან მიხარია. ბედნიერი ვარ, რომ ძალიან კარგი მწვრთნელი გვყავს, რომ ფილიპ ლამი ისევ მარცხნივ, ანუ ჩემს ფლანგზე ითამაშებს და ა.შ. ფლანგზე ლამთან ერთად თამაში ძალიან მიადვილდება, რადგან ფილიპს შესანიშნავად ვუგებ.

**– ჩემპიონობისთვის ბრძოლაში რეკორდმაისტერის მთავარ კონკურენტად მოქმედი ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია“ მიგაჩნიათ?**

– „ბორუსია“ ძალიან ძლიერი გუნდია და არ ჰგავს იმ ჩემპიონებს, რომლებიც ბოლო წლებში სენსაციურად ხდებოდნენ ჩპირველები. „შტუტგარტს“ და „ვოლფსბურგს“ ჩემპიონობის შემდეგ კრიზისი დაეწყოთ, „დორტმუნდის“ შემთხვევაში კი ამას ფაქტობრივად გამოვრიცხავ. მჯერა, „ბორუსია“ ისევ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს და არ გამოვრიცხავ, რომ პირველობისთვის ბრძოლაში „შალკეც“ ჩაერთოს.

**– ამას სერიოზულად ამბობთ? „შალკემ“ ხომ მანუელ ნოიერი დაკარგა...**

– ჰო, მაგრამ „შალკეს“ ნამდვილად აქვს პოტენციალი.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ვერდერი

# ბოსები დენთის კასრზე

## 12 წლის შემდეგ: ალოფსი და შააფი მთავრდება?

ბრემენის „ვერდერში“ უმძიმესი მდგომარეობაა. კატასტროფული სეზონის შემდეგ (ვერდერმა ბუნდესლიგაში მე-13 ადგილი დაიკავა), ბრემენულ კლუბს სასწრაფოდ გაძლიერება სჭირდება, მაგრამ ტრანსფერებისთვის თანხის გამოყოფა შეუძლებელია – „ვერდერს“ ფული არ აქვს! შესაბამისად, მენეჯერ **კლაუს ალოფსს** და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ვილი ლემკეს** ურთიერთობა უკიდურესად დაეძაბათ.

„ვერდერს“ პირველ რიგში დაცვაში სჭირდება გაძლიერება, რადგან ყველა წამყვანი უკანახაზელი ტრავმირებულია. ამიტომაც ითხოვა მწვრთნელმა **თომას შააფმა**, ბერძენი მცველი **სოკრატის პაპასტატოპულოსი** მიყიდეთო, მაგრამ ლემკემ 23 წლის მცველის შეძენაზე უარი უთხრა – ფულის არქონის გამო. სწორედ ამაზე განრისხდა მენეჯერი ალოფსი, რომელიც ამბობს, ვალის აღებაც რომ დაგვჭირდეს, ახალი ცენტრალური მცველის ყიდვა აუცილებელიაო. ალოფსი მართალია, რადგან **ნალდო, პერ მერტეზაკერი, მიკაელ სილვესტრი** და **სებასტიან პრიოდლი** ტრავმირებულები არიან და „მუსიკოსებმა“ დღემდე მხოლოდ ერთი ახალი მცველის, ექსნიურნბერგელი **ანდრეას ვოლფის** გადაბირება მოახერხეს.



ვერდერის სპორტული დირექტორი კლაუს ალოფსი (მარცხნივ) და მთავარი მწვრთნელი თომას შააფი

კლაუს ალოფსი ისეთ განცხადებებს აკეთებს, ასეთების მოსმენა „ვერდერში“ ცოტა ხნის წინ გამორიცხული რომ იყო. ამბობს, თუ სამეთვალყურეო საბჭოს მე და შააფი აღარ მოვწონვართ, შეუძლიათ, კონტრაქტები შეგვიწყვიტონო. ალოფსსა და შააფს „ვერდერთან“ ხელშეკრულებები 2012 წლის ივლისამდე აქვთ გაფორმებული. ჩვენი გერმანელი კოლეგები კი იმასაც არ გამორიცხავენ, რომ ალოფსმა პოსტი ახლავე დატოვოს და მას შააფიც მიჰყვეს. შეგახსენებთ, რომ კლაუს ალოფსი „ვერდერის“ სპორტული დირექტორის თანამდებობაზე 12 წელია მუშაობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარი სენ-ჟერმენი


ლეონარდო პრეზენტაციისას

# გეგმები და იდეები ლეოსგან

პარიზში გუშინ **ლეონარდოს** პრეზენტაცია შედგა. მოგეხსენებათ, ბრაზილიელ ჩინოვნიკსა და პარიზულ კლუბს შორის მოლაპარაკებათა პროცესი ძალიან გაიწელა – ინფორმაცია, რომ ის ინიშნებოდა, ჯერ კიდევ ივნისის პირველ ნახევარში გაჩნდა. გაჭიანურების მიუხედავად, ბოლოს ყველაფერი მოგვარდა და საქმეს წერტილი დაესვა. *"კლუბის მესაკუთრეებს სურთ, რომ საკლუბო პოლიტიკა პერსპექტივაზე იყოს გათვლილი. ასე რომ, ჩვენ არ ვგეგმავთ ათი ლიონელ მესის ყიდვას, რათა გუნდმა შედეგებს ხვალვე მიაღწიოს. გუნდი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ავაშენოთ. ამ მიზნისთვის საკმაოდ დიდი საფუძველი უკვე ჩაყრილია და ის კიდევ უფრო უნდა გავაღრმავოთ. პირველ რიგში გვინდა, რომ გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს და ჩემპიონატში გაიმარჯვოს. უახლოეს დღეებში აუცილებლად შევხვდები ანტუან კომბუარეს და მასთან ერთად განვიხილავ, ვინ დარჩება ჩვენთან და ვის შეიძლება შეველიოთ,"* – აღნიშნა ლეონარდომ პრესკონფერენციაზე.

თუმცა უკვე შეიძლება იმის თქმა, თუ ვისზე გააკეთებენ პარიზელები აქცენტს. ფრანგული პრესა ვარაუდობს, რომ კლუბი აუცილებლად შეიძენს ერთ თავდამსხმელს მაინც. მიუხედავად იმისა, რომ "ლურჯ-წითლებში" უკვე ირიცხებიან **პეგი ლუინდულა, გილემ ოარო** და **კევინ გამეირო**, ამ მიზანზე ისინი უარს არაფრის დიდებით არ იტყვიან. გარდა ამისა, დაცვითი რედუტების გასაძლიერებლად აუცილებელია ცენტრალური მცველისა და უფრო კრეატიული შეტევებისთვის მაღალი კლასის გამთამაშებლის ყიდვა. თავდამსხმელებზე უკვე იმდენი ვილაპარაკეთ, რომ აღარ გავიმეორებთ. კლუბში ჯერ კიდევ ვერ გაურკვევიათ, ვის შეიძენენ საბოლოოდ. თუმცა რიგი სააგენტოები აცხადებენ, რომ ყველაზე დიდი შანსი **ნიკოლა ანელკას** აქვს. რაც შეეხება დანარჩენ პოზიციებს, ლეონარდო აპირებს, რომ მოსკოვის ცსკა-ს დაუკავშირდეს და იაპონელ **კეისუკე ჰონდაში** 12 მილიონი ევრო შესთავაზოს. 25 წლის იაპონელს მოსკოველები სწორედ ამ თანხად აფასებენ. თუმცა ჰონდას შეძენა მარტო პარიზელებს არ უნდათ, ანალოგიურს ესწრაფვის ტურინის "იუვენტუსიც" და ბუნებრივია, მათ შეუძლიათ ფრანგებს სერიოზული კონკურენცია გაუწიონ.

შეგახსენებთ, რომ ცსკა-მ ფეხბურთელის თავიდან მოშორება მას მერე გადაწყვიტა, რაც მან იაპონურ პრესას განუცხადა, ამ კლუბში გაჩერება ჩემთვის ტანჯვის მეტი არაფერია, სიცოცხლეც კი აღარ მიხარიაო. ბუნებრივია, ასეთმა განცხადებამ ფეხბურთელს ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაუფუჭა. მიუხედავად იმისა, რომ ჰონდა ამტკიცებდა, მსგავსი არაფერი მითქვამსო, მისი არავის სჯერა. რუსეთის მიმდინარე ჩემპიონატში ფეხბურთელმა სულ 11 თამაში ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.

დაბოლოს, მივადექით დაცვის ხაზსაც. პორტუგალიური "ა ბოლა" ამტკიცებს, რომ ლისაბონის "ბენფიკას" უკვე დაუკავშირდნენ პარიზული კლუბის წარმომადგენლები და ბრაზილიელი **ლუიზაოს** სატრანსფერო თანხის დასახელება სთხოვეს. 30 წლის ფეხბურთელი ამჟამად "სელესაოსთან" ერთად კოპა ამერიკაზე თამაშობს და შესაბამისად, მისი ტრანსფერის ამბავი უახლოეს დღეებში ვერ გაირკვევა, მაგრამ სანამ კოპა დამთავრდება იმას მაინც გავიგებთ, სურთ თუ არა ლისაბონელებს ფეხბურთელის გასხვისება. ლუიზაოს "ბენფიკასთან" გაფორმებული კონტრაქტი 2013 წელს ეწურება. "არწივების" შემადგენლობაში შარშან ფეხბურთელმა 36 თამაში ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## ვან დერ ვილი: ისევ ჩემპიონობა


გრეგორი ვან დერ ვილი

"აიაქსის" მარჯვენა მცველმა **გრეგორი ვან დერ ვილმა** ამჟამინდელ გუნდთან ერთად დიდ სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა. როგორც ჩანს, მას აზრადაც არ მოსდის ამსტერდამიდან სათამაშოდ სხვაგან წასვლა. გრეგორის თქმით, "აიაქსმა" მომავალი სეზონისთვის უმთავრესად ისევ ჰოლანდიის ჩემპიონობისა და თასისთვის უნდა იბრძოლოს. აი, რა განაცხადა მან: *"ჩვენი ახალწვეულებით, რა თქმა უნდა, შევძლებთ ერთი დიდი ნაბიჯის წინ გადადგმას შარშანდელთან შედარებით. მით უფრო, რომ ფრანკ დე ბური ჩვენთან სეზონის დასაწყისიდანვე იქნება. მას ძალიან უნდა რომ ჩვენ კიდევ უფრო მაგრები გავხდეთ. ჩვენი მიზანი ახალ სეზონშიც ის იქნება, რაც შარშან გვქონდა დასახული"*.

შეგახსენებთ, რომ შარშან "აიაქსი" ისტორიაში 30-ედ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი და ამას გარდა თასის ფინალში "ტვენტესთან" წააგო. იქიდან გამომდინარე, რომ გუნდი საკმაოდ გაძლიერდა, სრულიად ბუნებრივია, რომ მან შინაური დუბლი ისევ მიზნად დაისახოს.

## ლილი აქეთ, ლილი იქით

პორტუგალიურმა "ბენფიკამ" საფრანგეთის ჩემპიონებს ბრაზილიელი მცველის, 25 წლის **ემერსონ და კონსეისაოს** გაყიდვა შესთავაზა. "ძალლების" სათადარიგო მცველში "არწივები" 2 მილიონ ევროს იხდიან, თავად ფეხბურთელს კი ხუთწლიან ხელშეკრულებას სთავაზობენ. აღნიშნული ინფორმაცია პირველად პორტუგალიურმა რადიოსადგურმა "ანტენა 1-მა" გადასცა. მხარეებს აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარები ჯერ არ გაუკეთებიათ.

"ლილი" შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნავს და ამ მიზნით მათ უკვე გამოცდილი მებრძოლების შეძენა აქვთ განზრახული. ერთ-ერთი ასეთია "ლივერპულის" 30 წლის განაპირა ნახევარმცველი **მილან იოვანოვიჩი**. მას კონტრაქტს ერთბაშად რამდენიმე კლუბი სთავაზობს, მათ შორის არიან "ლილი" და "ანდერლეხტი". ფეხბურთელის თქმით, კონტრაქტი მას ჯერ მხოლოდ "ანდერლეხტმა" შესთავაზა, მაგრამ ყურადღებით სწავლობს სხვა კლუბების წინადადებებსაც. გასულ სეზონში იოვანოვიჩმა "ენფილდზე" 18 მატჩი ჩაატარა.

## მსხვილი თევზი ბადეში

თურქმა სამართალდამცავებმა საფეხბურთო სკანდალის გამოძიების დროს ფეხბურთში მორიგ მსხვილ მოთამაშეზე მიიტანეს ეჭვი და უმალ დააკავეს. ამჯერად ბადეში "ბეშიქთაშის" მთავარი მწვრთნელი **ტაიფურ ჰავუთჩუ** და ამავე კლუბის პრეზიდენტი **სერდალ ადალი** მოხვდნენ. ამათ გარდა დააკავეს "ისტანბულის" ფეხბურთელები **იბრაჰიმ აქინი** და **ისკენდერ ალინი**. ამრიგად დაკავებულთა საერთო რიცხვმა უკვე 31-ს მიაღწია.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

# ლუჩოს მალაგაში უნდა

„მარსელმა" აღიარა, რომ მისი საუკეთესო ნახევარმცველის გონება „სხვაგან ჰქრის" - არგენტინელ **ლუჩო გონსალესს** „მალაგაში" გადაბარგება სწადია. ეს ინფორმაცია თავად კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ჟოსე ანიგომ** გააჟღერა. „მარსელი" არ არის წინააღმდეგი ლუჩო ესპანეთში გადაბარგდეს, ოღონდ ერთი პირობით - ტრანსფერი, რაც შეიძლება, ჩქარა უნდა გაიჩარხოს. *„ჩვენ ბოლო ვადად 15 ივლისი დავაწესეთ, თუმცა „მალაგას" კიდევ რამდენიმე დღეს ვადროვებთ. საქმე იმაშია, რომ დიდიე დეშამმა უნდა იცოდეს, თუ რა კონტინგენტთან მოუწევს მუშაობა. კვირის დასაწყისში ესპანელებმა ლუჩოს სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო შემოგვთავაზეს, ამ წინადადების უარყოფის შემდეგ, მათგან არაფერი ისმის"*, - განაცხადა ანიგომ.

# კუნი: ატლეტიკოში აღარ დავბრუნდები


სერხიო აგუერო

სადწავა **სერხიო აგუერო**, ჯერაც საკითხავია, მაგრამ ერთი ფაქტია, მან უკან მისასვლელი გზა საბოლოოდ მოიჭრა - მადრიდის „ატლეტიკოში" კუნი აღარ დაბრუნდება. აგუერო ახლა სამშობლოშია და კოპა ამერიკაზე წარმატებულად ასპარეზობს - ჯგუფური ეტაპის შემდეგ ის 3 გოლით ბომბარდირთა დავაში პირველობს. ახლახან ფეხბურთელმა საბოლოოდ გამორიცხა ვარიანტი, რომ ის „ატლეტიკოში" დარჩება, აგუერომ ბოლო 5 წელიწადი გაატარა იქ და ფიქრობს, რომ ეს უკვე საკმარისია. არგენტინელ ფორვარდს მთხოვნელი არ აკლია - მისი შეძენა „რეალს" და „იუვენტუსს" ყველაზე მეტად სურთ, მაგრამ არც ერთი კლუბი არ აპირებს „ატლეტიკოს" დაწესებული ფასის, 45 მილიონი ევროს გადახდას. „სამეფო კლუბში" ფიქრობენ, რომ ამხელა თანხა აგუეროში მეტისმეტია, ამავე აზრის არიან ტურინშიც. *„მე უკვე ყველაფერზე ველაპარაკე „ატლეტიკოს" ბოსებს. ამ წუთებშიც ჩემი წარმომადგენლები ათანხმებენ ჩემი კლუბიდან წასვლის საკითხს. მინდა, რომ კოპას დასრულების შემდეგ ყველაფერი გაირკვეს. ერთი ცხადია - მე იქ აღარასოდეს დავბრუნდები"*, - კატეგორიულია კუნი.


ნური შაჰინი

# რეალს შაჰინი დაემტვრა

მადრიდის „რეალს", რომელიც წინასასეზონო ტურნეზე ამერიკაში იმყოფება, უსიამოვნო ამბავი შეემთხვა - „ლოს ანჯელეს გალაქსისთან" მატჩის წინ ტრავმა მიიღო გუნდის თურქმა ახალწვეულმა **ნური შაჰინმა**. ვარჯიშზე მან მუხლი იტკინა და ექიმების დასკვნით, თამაში სამი კვირის განმავლობაში აეკრძალა. სხვათა შორის, შაჰინმა ახლახან მოირჩინა მტკივანი მარჯვენა მუხლი, თუმცა მას ტრავმა არ გაუმიზეზებია, დორტმუნდის „ბორუსიას" ყოფილმა ნახევარმცველმა ახლა მარცხენა მუხლი დაიზიანა. შაჰინი ამერიკაში ორივე ამხანაგურ მატჩს გამოტოვებს - **დევიდ ბექჰემის** „გალაქსისთან" 16 ივლისს და მექსიკურ „ჩივასთან" 20 ივლისს. სხვათა შორის, ტრავმირებულია „რეალის" კიდევ ერთი თურქი ახალწვეული **ჰამით ალთინთოპიც**.

# სანჩესი, უკვე ამ კვირის ბოლოს

„უდინეზეს" წარმომადგენელმა ესპანეთში კიკე პინამ განაცხადა, რომ **ალექსის სანჩესის** ტრანსფერი „ბარსელონაში" ამ კვირაშივე განხორციელდება. *„შესათანხმებელი მხოლოდ უმნიშვნელო დეტალები დარჩა, რომლებიც უკვე კვირის ბოლოსთვის მოგვარდება. „ბარსელონა" 27 მილიონ ევროს გადაიხდის, ხოლო ტრანსფერის სხვა ნაწილს სხვა საშუალებებით დაფარავს"*, - განუცხადა პინამ „კოპეს". ასე რომ, არ გამოვრიცხავთ, სანჩესის ტრანსფერში „ბარსას" სხვა ფეხბურთელების მონაწილეობას, რომლებიც იტალიაში გადაბარგდებიან. არ გამოვრიცხავთ, რომ ასეთი ფეხბურთელი შესაძლოა **ხეფრენ სუარესი** იყოს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ალექსის სანჩესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა



# საბატინი: დე როსი არ იყიდება

## ესპანელი უკვე რომშია, არგენტინელი სამიზნეში

ზაფხულიარ გავა, რომ **დანიელე დე როსის** "რომადან" შესაძლო აბარგების შესახებ ცნობები არ გავრცელდეს და გამონაკლისი არც მიმდინარე სატრანსფერო პერიოდია. მით უმეტეს, დანიელეს კლუბთან მომდევნო წელს უმთავრდება ხელშეკრულების ვადა და ჯერჯერობით, მისი გახანგრძლივება არა და არ მოხერხდა. მოკლედ, ჟურნალისტებმა მშვენიერი საბაბი მიიღეს საიმისოდ, რომ ერთი ამბავი ატეხონ და დე როსის მომავალი სხვადასხვა გუნდს დაუკავშირონ. ამ შემთხვევაში, წინა პლანზე "ჩელსის" ვარიანტმა წამოიწია, სადაც თურმე ნახევარდაცვის გაძლიერებას ეშურებიან და თვალი იტალიის ნაკრების შუახაზელზე დაუდგამთ. ამ საკითხზე "რომას" სპორტულმა დირექტორმა ვალტერ საბატინიმ ისაუბრა:

"დე როსის გასხვისებას ნამდვილად არ ვაპირებთ და გავრცელებული ინფორმაციები სრული სისულელეა. ვერ ვხედავ ლოგიკას იმაში, რომ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გავასხვისოთ და შემდეგ, ხავიერ პასტორეში 50 მილიონი ევრო გადავიხადოთ – ასე მთელ ბიუჯეტს გავხარჯავთ და რეალურად, გუნდი არ გაძლიერდება. ამიტომ, ჩვენი მიზანია, რომ ყველა წამყვანი ფეხბურთელი შევინარჩუნოთ და რამდენიმე უმაღლესი კლასის მოთამაშე დავიმატოთ".

როგორც ჩანს, **არნე რიისე** წამყვან ფეხბურთელთა რიცხვში არ გახლავთ, რადგან პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ ნორვეგიელი უკანახაზელი კარიერას ინგლისურ "ფულჰემში" გააგრძელებს. ამაზე ისიც მოწმობს, რომ უახლოეს დღეებში "ჯალოროსის" მესვეურები **ხოსე ანხელთან** გააფორმებენ ხელშეკრულებას. 21 წლის ესპანელი მცველი ხიხონის "სპორტინგის" აღზრდილია, ბოლო სამი სეზონი ამ გუნდში გაატარა, 59 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 1 გოლიც გაიტანა. ანხელი **ლუის ენრიკეს** ფავორიტი მოთამაშეა და სწორედ მისი უშუალო ინიციატივით მოება თავი ამ ტრანსფერს. ესპანელი უკვე იტალიის დედაქალაქშია, სამედიცინო შემოწმებას გადის და ხვალ-ზეგ ხუთწლიან ხელშეკრულებასაც გააფორმებს. ჟურნალისტთა ცნობით, ანხელი სეზონში 700 000 ევროს მიიღებს.

"რომასთან" დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება, რომლის მიხედვითაც კლუბის მესვეურები **პაბლო საბალეტას** გადაბირებით არიან დაინტერესებულნი. 26 წლის არგენტინელი ნახევარმცველი უკვე სამი სეზონია, რაც „მანჩესტერ სიტის" ღირსებას იცავს და ეროვნულ ნაკრებშიც სტაბილურად ასპარეზობს. საბალეტას შესაძლო გადაბირების საკითხზე საბატინის შემდეგი მოსაზრება აქვს:

*"პაბლოს დიდი ხანია ვაკვირდებით და უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი გადაბირების საკითხი დღის წესრიგში დგას. ფეხბურთელი ამჟამად კოპა ამერიკაზე ასპარეზობს და მასთან მოლაპარაკების წარმოება შეუძლებელია – საკითხი კი სწორედ ისე დგას, რომ მოთამაშეს უნდა შევუთანხმდეთ, რადგან "მანჩესტერ სიტის" მესვეურები არგენტინელთან განშორების წინააღმდეგნი არ არიან. საბალეტა უნივერსალური თვისებებით დაჯილდოებული ფეხბურთელია, ნახევარდაცვაშიც შეუძლია თამაში და დაცვაშიც – ამიტომ, მისი გადაბირებისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ".*

**ლაშა ნიკლაური**

ტრანსფერი

# 40 მილიონი სნეიდერში

## მანჩესტერი და ინტერი უკვე შეთანხმდნენ

გუშინ თითქმის ყველა ინგლისური წყარო იტყობინებოდა, რომ ზაფხულის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი დადებითად გადაწყდა - „ინტერმა" და „მანჩესტერ იუნაიტედმა" მოილაპარაკეს და ჰოლანდიელი ვარსკვლავი **ვესლი სნეიდერი** კარიერას „ნისლიან ალბიონზე" გააგრძელებს, მილანური გრანდის სალარო კი 40 მილიონი ევროთი შეივსება. მოგებული დარჩება თავად 27 წლის ნახევარმცველიც, მისი გასამრჯელო მნიშვნელოვნად მოიმატებს. დღეისათვის, ჰოლანდიელის წარმომადგენლები სნეიდერისთვის ხელფასის სახით კვირაში 227 ათას ევროს ითხოვენ. მოკლედ, კლუბები უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენ, დარჩა მხოლოდ პირადი კონტრაქტის გარკვეული პუნქტები, რომელთაგანაც ყველაზე პრობლემატური ხელფასის ოდენობა ჩანს.

40 მილიონი ევრო ფეხბურთელში „მანჩესტერ იუნაიტედის" რეკორდია, თუმცა **პოლ სქოულზი** ფეხბურთიდან წავიდა და მას ღირსეული შემცვლელი სჭირდება. ფეხბურთელის მოთხოვნა უკვე ვახსენეთ, ახლა გეტყვით, თუ რა ხელფასზეა თანახმა კლუბი - „იუნაიტედი" მზადაა ჰოლანდიელს კვირაში 193 ათასი ევრო უხადოს. სპეციალისტების აზრით, 34 ათასი ევრო არ იქნება ტრანსფერის ჩამშლელი ფაქტორი, რადგან „იუნაიტედი" და სნეიდერი კომპრომისულ თანხაზე მოილაპარაკებენ.

ბოლო დღეები „მანჩესტერის" შეფმა **დევიდ გილმა** მილანში გაატარა, მან ინტერელ კოლეგებთან საკითხი ბოლომდე გაიარა და მათ ხელი ხელს დაჰკრეს, კლუბებს შორის აბსოლუტურად ყველა საკითხი შეთანხმებულია. საბოლოო შეთანხმებას მათ ოთხშაბათს ციურიხის შეხვედრაზე მიაღწიეს, თუმცა მედიისთვის დეტალები მეორე დღეს გახდა ცნობილი.

სნეიდერი ამჟამად იტალიაში, „ინტერის" შეკრებაზე იმყოფება. იტალიურ კლუბთან კონტრაქტი მას 2015 წელს უსრულდება. მაგრამ „ინტერის" ახალმა მწვრთნელმა **ჯანპიერო გასპერინიმ** კლუბის ბოსებს უთხრა, რომ სნეიდერს გუნდის შეუცვლელ წევრად არ მოიაზრებს და არც მის გაყიდვას შეეწინააღმდეგება. გასპერინის ახალი, 3-4-3 ტაქტიკით სურს ათამაშოს „ინტერი" ახალ სეზონში.

„იუნაიტედის" მწვრთნელი, ისევე როგორც გუნდი, ამჟამად ამერიკაშია - სერ **ალექს ფერგიუსონი** აქამდე უარყოფდა ტრანსფერს: *„ცნობებს ყოველდღიურად ვკითხულობ, თუმცა მეეჭვება, „ინტერმა" სნეიდერი გაყიდოს. ასე რომ, ეს ყველაფერი ჯერჯერობით სპეკულაციებია".* ვნახოთ, რა იქნება უკვე დღეს...

ვესლი სნეიდერი უტრეხტელია, თუმცა ის „აიაქსის" ცნობილი სკოლის გაზრდილია (როგორც მისი უფროსი ძმა **ჯეფრი** და უმცროსი ძმა **როდრი**), სადაც ის 7 წლისა მოხვდა. ამსტერდამულ კლუბში მას დებიუტი 17 წლის ასაკში ჰქონდა. 2007 წელს ჰოლანდიურმა გრანდმა სნეიდერი „რეალში" 27 მილიონ ევროდ გაყიდა. ზუსტად ორი წლის შემდეგ „სამეფო კლუბმა" სნეიდერი „ინტერში" 15 მილიონ ევროდ გაყიდა. ვესლის მოგებული აქვს ჰოლანდიის, ესპანეთისა და იტალიის ჩემპიონატები, ჩემპიონთა ლიგა, საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატი, არის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. ვესლი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო შემტევ ნახევარმცველად ითვლება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვესლი სნეიდერი

იუვენტუსი

# მაროტა როსიზე გადაერთო

დიდი ხანია, რაც **სერხიო აგუეროს** "იუვენტუსში" შესაძლო გადაბარგების საკითხი განიხილება, თუმცა შეთანხმება არა და არ შედგა, რამაც ეჭვი გააჩინა, რომ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. მართალია, ამჟამად ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკაზე ასპარეზობს და კონტრაქტს ხელს ვერაფრით მოაწერდა, მაგრამ მის აგენტს მკაფიოდ აქვს ნათქვამი, რომ თუ ტურინელები მადრიდის "ატლეტიკოსთან" შეთანხმებას მიაღწევენ, ტრანსფერს წინ ველარაფერი დაუდგება. მხარეებს შორის შეთანხმება აშკარად არ შედგა და თუ "კორიერე დელო სპორტს" დავუჯერებთ, ტურინული გრანდის მესვეურები **ჯუზეპე როსის** მიმართულებით გააქტიურდნენ.

"ვილიარეალის" 22 წლის ფორვარდი გუნდის შეცვლას ეშურება და ამას მისი პირადი აგენტის არაერთი კომენტარი ადასტურებს. როსის ყველაზე მეტად "ბარსელონაში" სურს გადასვლა, მაგრამ კატალონიელთა ფავორიტი **ალექსის სანჩესია** - შესაბამისად, ჯუზეპეს სხვა ვარიანტების განხილვაც უწევს. "იუვეს" სპორტული დირექტორის, **ჯუზეპე მაროტას** თქმით, როსის ტურინში გადასვლის შანსები საკმაოდ დიდია:

*"როსის გადაბირება ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს გვსურდა, მაგრამ მაშინ "ვილიარეალის" მესვეურებმა არარეალური თანხა მოითხოვეს. ჩემი ინფორმაციით, ვითარება შეცვლილია და ესპანელები მზად არიან მოლაპარაკების მაგიდას მივუსხდეთ. ჩვენ კონკრეტული წინადადება გვაქვს მომზადებული, რომლის დეტალებსაც დღეს ვერ გავახმაურებთ. თუმცა, ერთი კი დანამდვილებით ვიცი, პირენეელებს უარის თქმა გაუჭირდებათ".*



ჯუზეპე როსი

"კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, მაროტას მართლაც მაცდური წინადადება აქვს მომზადებული – ლაპარაკია 25 მილიონ ევროს პლუს **კარვალიო ამაურიზე**. იტალიელ-ბრაზილიელი დღემდე ჰაერშია გამოკიდებული და წესით, ესპანეთში გადაბარგებაზე უარი არ უნდა თქვას. მოკლედ, დიდია შანსი, ჯუზეპე როსიმ "იუვენტუსში" ამოყოს თავი და ამ თემაზე ჟურნალისტები უკვე თამამად საუბრობენ. მაგალითად, "კორიერეს" ჟურნალისტი **ფაბიო კვალიარელას** დაუკავშირდა და ჰკითხა, ხომ არ აშინებს როსისთან შესაძლო კონკურენცია... აქვე ფაბიოს პასუხი:

*"როსი ბრწყინვალე ფეხბურთელია და თუ "იუვენტუსში" გადმოვა, ეს მხოლოდ გამახარებს. დიდ გუნდში კონკურენცია ჩვეულებრივი ამბავია და თუ ეს გაშინებს, მაშინ ფეხბურთში არაფერი გესაქმება. "იუვე" ძლიერდება და ეს ძალიან მიხარია, რადგან სხვაგვარად წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი, რათა გულშემატკივრებს შარშანდელი წარუმატებლობა დავავიწყოთ".*

**ლაშა ნიკლაური**

ლაციო



# რეია: სისე ცხოველია

ჯიბრილ სისე

**ედუარდო რეია** კმაყოფილებას ვერ მალავს იმით, რომ "ლაციოს" მესვეურები სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობენ და ტრანსფერს ტრანსფერზე ჩარხავენ. რომაელებმა ყველაზე მეტად თავდასხმის ხაზი გააძლიერეს, სადაც მომდევნო სეზონში **მიროსლავ კლოზესა** და **ჯიბრილ სისეს** ტანდემს ვიხილავთ. რეია "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტმა გამოიჭირა და კომენტარი ჩამოართვა:

*"მადლობა მინდა გადავუხადო პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს და კლუბის სხვა მესვეურებს იმისთვის, რომ სატრანსფერო ბაზარზე ნაყოფიერად მუშაობენ. სისეს გადმობირებით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ფრანგი საოცარი შესაძლებლობების ფეხბურთელია. ბურთისთვის ყოველთვის თავგამოდებით იბრძვის და გოლის გასატანად ყველაფერზე წამსვლელია. ერთი სიტყვით, სისე ნამდვილი ცხოველია".*

**ლაშა ნიკლაური**

# კოპა ამერიკა 2011

B ჯგუფი

## კვლავ დაჯგუფებული ჯგუფი

სალტაში, „პადრე მარტეარენას“ სტადიონზე ვენესუელამ პარაგვაის თამაშის მიწურულს ორი გოლი გაუტანა და... ანგარიში გაუთანაბრა. ასეთმა ანგარიშმა გული არც ერთ გუნდს დაწყვიტა და არც მეორეს — ორივე გუნდი „კოპა ამერიკის“ მეოთხედფინალში მოხვდა. ანგარიში B ჯგუფის მოულოდნელმა ლიდერმა, ვენესუელამ გახსნა, თუმცა პარაგვაიმ ძალა მოიკრიბა და სამით უპასუხა. თითქოსდა, ამით ყველაფერი ნათქვამი იყო, საქმეც მომთავრებული ჩანდა, მაგრამ ვენესუელა არ დანებდა. კაცმა რომ თქვას, რომც დანებებულიყო, თავი მაინც ქუდში ჰქონდა, რადგან კარგ მესამეზე გადიოდა, მაგრამ გუნდმა თავმოყვარეობა და მებრძოლი სულისკვეთება გამოამჟღავნა. თან, ყურადღება მიაქციეთ შეხვედრის ბოლო ორი გოლის წუთებს: შეცვლაზე შესულმა **მიკუმ** სხვაობა ერთამდე 89-ე წუთზე შეამცირა, **გრენდი პეროსომ** კი მსაჯის წამატებულ დროში გაქვითა.

პარაგვაელთა თავკაცი **ხერარდო მარტინო** თამაშამდე ამბობდა, რომ ეს შეხვედრა მისი გუნდისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო, მაგრამ... ყველაფერი საშინლად დაიწყო — ხუთი წუთიც არ იყო გასული, როდესაც **ოსკარ ორტიგოსამ** საკუთარ საჯარიმოსა და ცენტრს შორის ბურთი დაკარგა, რითაც „მალაგას“ მოთამაშე **რონდონმა** ისარგებლა და 20 მეტრიდან შედეგიანად დაუმიზნა მეტოქის კარს. 30-ე წუთზე ყმაწვილ ვარსკვლავ **ალექსანდერ გონსალესს** შეეძლო მეორე გოლის შეგდება, მაგრამ ხეირიანი პოზიციიდან ააცილა. ამ ამბიდან ორ წუთში კი პარაგვაიმ გაქვითა: **აურელიანო ტორემა** ჯარიმა ჩააწოდა, **ლუკას ბარიოსმა** თავური დაარტყა, მაგრამ ბურთი ჯერ ძელს, შემდეგ კი მეკარეს მოხვდა და რაღაცნაირად გარეთ გამოძვრა, სადაც ვენესუელელ მცველებს სრული კოშმარი დაეწყოთ, მდგომარეობა ვერაფრით განმუხტეს და **ანტოლინ ალკარასმა** გაქვითა. პირველი ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე პარაგვაელებმა **როკე სანტა კრუსი** შეცვალეს და როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ამბავი გუნდის მეორე გოლის საწინდარი ყოფილა: კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს სწორედ სანტა კრუსის ნაცვლად შესულმა **ჰაედო ვალდესმა დაჰკრა**, დარტყმული მეკარემ მოიგერია, მაგრამ ბარიოსმა დაამატა და გაიტანა. 84-ე წუთზე კი პარაგვაიმ მესამე შეაგდო — **რივეროსმა ვეგას** თავურით აჯობა, მაგრამ, ბოლო წუთებში ის ორი ეპიზოდი ვიხილეთ, რომელთა შესახებ დასაწყისში მოგახსენეთ.

მაყურებელმა შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად პარაგვაელი ლუკას ბარიოსი დაასახელა, რომელიც მატჩის შემდეგ უკმაყოფილებას ვერ მალავდა:

*„იმას, რაც მოხდა, ვერაფრით შევეგუები. ვენესუელას გამარჯვებას ვულოცავ, რადგან, რაც მოხდა, ჩვენთვის ნაგება იყო. ჩვენ, დღევანდელი ამბავი რაც შეიძლება მალე უნდა დავივიწყოთ. რასაკვირველია, ყველაფერზე მთავარი ის არის, რომ შემდეგ ეტაპზე გავედით, მაგრამ ამ ფრემ ძალიან მწარე გემო დაგვიტოვა“.*

**პარაგვაი 3 : 3 ვენესუელა**

**პარაგვაი:** ვილარი, ვერონი, და სილვა, ალკარასი, ტორესი, ვერა (70. სანტანა), რივეროსი, ორტიგოსა, ესტიგარიბია (84. კასერესი), ბარიოსი, სანტა კრუსი (42. ვალდესი).

**ვენესუელა:** ვეგა, როსალესი, ვისკარონდო, პეროსო, ჩიჩერო, გონსალესი (75. გონსალესი), დი გიორგი, რინკონი, ოროსკო (66. მიკუ), არისმენდი (63. არანგო), რონდონი.

**გოლები:** 0:1 რონდონი (5), 1:1 ალკარასი (33), 2:1 ბარიოსი (62), 3:1 რივეროსი (84), 3:2 მიკუ (89), 3:3 პეროსო (90).

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
ლუკას ბარიოსი (პარაგვაი)



მაშ ასე, კოპა ამერიკის ჯგუფური ეტაპი დასრულებულია. A ჯგუფი კოლუმბიამ მოიგო, მე-2 ადგილზე არგენტინა გავიდა. B ჯგუფი ბრაზილიამ მოიგო, ხოლო მე-2 ადგილზე ვენესუელა გავიდა. C ჯგუფში პირველობა არავის დაუთმო ჩილემ, მეორე ურუგვაია. ამ 6 ნაკრებს დაემატა 2 საუკეთესო მესამეადგილოსანი. პერუმ 4 ქულა მოაგროვა და იოლად გავიდა პლეი ოფში. აი, კოსტა რიკამ და პარაგვაიმ 3-3 ქულა მოაგროვეს, თუმცა ბურთების უკეთესი შეფარდებით შემდეგ ეტაპზე პარაგვაის ნაკრები გავიდა - გუნდი, რომელსაც მატჩი არ მოუგია ჯგუფურ ეტაპზე, თუმცა არც წაუგია. საინტერესო რამ მოხდა - მეოთხედფინალში ერთმანეთს ბრაზილიისა და პარაგვაის ნაკრებები დაუპირისპირდებიან, ერთი ჯგუფის ბინადარნი.

## მეოთხედფინალი

16 ივლისი. 23:00. კორდობა
**კოლუმბია VS პერუ**

17 ივლისი. 23:00. ლა პლატა
**ბრაზილია VS პარაგვაი**

16 ივლისი. 02:15. სანტა ფე
**არგენტინა VS ურუგვაი**

17 ივლისი. 02:15. სან ხუანი
**ჩილე VS ვენესუელა**

## ბრაზილია მაინც პირველია

„კოპა ამერიკის“ წინა გათამაშების გამარჯვებულმა, ბრაზილიის ნაკრებმა **პატოსა** და **ნეიმარის** ორ-ორი გოლის წყალობით, კორდობას „მარიო ალბერტო კემპესზე“ 4:2 დაამარცხა ეკვადორი და ჯგუფური ეტაპი B ჯგუფის გამარჯვებულის რანგში დაამთავრა. **მანო მენეზეშის** ფეხბურთელებისთვის წაგება შეჯიბრებიდან გავარდნას ნიშნავდა, მაგრამ ბრაზილიელებმა ეს არ დაუშვეს, იბრძოლეს და საწადელს მიაღწიეს — ახლა, მეოთხედფინალში, საკუთარი ჯგუფის მესამე გუნდ პარაგვაის ხვდებიან. აი, ეკვადორს კი, მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებას გამოეთიშა, ქება ეკუთვნის — **ფელიპე კაისედომ** ორჯერ გაქვითა ანგარიში.

მენეზეშმა შემადგენლობა ორი კაცით შეცვალა. ბარსელონელი **დანი ალვეშის** ნაცვლად „ინტერის“ ვარსკვლავი **მაიკონი** გამოიყვანა და **რობინიოც** დააბრუნა სასტარტო თერთმეტეულში. მაიკონის გამოყვანამ განსაკუთრებით გაამართლა, მარჯვენა მცველმა შესანიშნავად ითამაშა — მეტოქე დაუსრულებელი რეიდებით დატანჯა. ბრაზილიელები თავიდანვე ფლობდნენ ინიციატივას, მაგრამ შეხვედრის პირველ მონაკვეთში სიმწვავე აკლდათ, 27-ე წუთზე კი **ანდრე სანტოსმა** ჩააწოდა, ხოლო პატომ თავურით გოლი გაიტანა. შემდეგ რობინიომ ძელს გაარტყა ბურთი, თუმცა... შეხვედრის მეორე გოლი მოლოდინის საპირისპიროდ, ბრაზილიელების კარში გავიდა — ცნობილ გოლკიპერ **ჟულიო სეზარს** ბურთი გაუძვრა და კარში შევარდა.

შესვენების შემდეგ, მოედანზე დაბრუნებულმა ბრაზილიამ კვლავ გაიტანა — პატომ „სანტოსის“ ვარსკვლავ ნეიმარს გაუწია ასისტენტობა, ნეიმარმა კი დახვეწილად დაარტყა, მაგრამ შემდეგ ისევ ეკვადორმა შეაგდო. ვინ იცის, ამ მომენტში ეკვადორელებს სენსაციის იმედიც კი გაუჩნდათ, მაგრამ ჩემპიონებმა მესამეც გაიტანეს და მერე მეოთხეც მიაყოლეს.

*„ახლა ჩვენ უკვე მშვიდად ვიმოქმედებთ. ზეწოლა თითქოს მოგვეხსნა — თქვა მატჩის დამთავრების შემდეგ მეკარე ჟულიო სეზარმა — ვაღიარებ, რომ ეკვადორელთა ორივე გოლი უნდა მომეგერიებინა. მეორე უფრო ძნელი იყო, მაგრამ ორივე ეპიზოდში ტექნიკური შეცდომა დავუშვი“*

**ილია ბაბუნაშვილი**

**ბრაზილია 4 : 2 ეკვადორი**

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო, სილვა, სანტოსი, ლუკას ლეივა, რამირესი, განსო (75. ელიასი), რობინიო, ნეიმარი (79. ლუკასი), პატო (84. ფრედი).

**ეკვადორი:** ელისაგა, რეასკო (81. აჩილიერი), არაუხო, ერასო, აიოვი, მინდა, ნობოა (89. მონტანიო), აროიო, მენდესი (76. მინა), ბენიტესი, კაისედო.

**გოლები:** 1:0 პატო (27), 1:1 კაისედო (37), 2:1 ნეიმარი (49), 2:2 კაისედო (58), 3:2 პატო (60), 4:2 ნეიმარი (71)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
ალეშანდრე პატო (ბრაზილია)



| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| 2. ვენესუელა | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 3. პარაგვაი | 3 | 0 | 3 | 0 | 5-5 | 3 |
| 4. ეკვადორი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 3 | სერხიო აგუერო (არგენტინა) |
| 2 | ნეიმარი (ბრაზილია) |
| 2 | პაულო გერერო (პერუ) |
| 2 | ალეშანდრე პატო (ბრაზილია) |
| 2 | ფელიპე კაისედო (ეკვადორი) |
| 2 | ალვარო პერეირა (ურუგვაი) |
| 2 | რადამელ ფალკაო (კოლუმბია) |

## კვირის ფრაზები



### იანგით კმაყოფილი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა **სერ ალექს ფერგიუსონმა** „ნიუ ინგლანდ რევოლუშენთან“ მატჩის შემდეგ, **ეშლი იანგის** თამაშს გაუკეთა კომენტარი: *„იანგი უნივერსალური ფეხბურთელია. „ასტონ ვილაში“ ნახევარმცველად შეუცვლელად თამაშობდა და მხოლოდ ბოლო სეზონში შეაცვლევინეს პოზიცია - თავდამსხმელი გახადეს. გუშინდელ მატჩში ის ფანტასტიკურად გამოიყურებოდა და წარმოაჩინა ის, თუ როგორ ძალუძს მშვენიერი გადაცემების გაკეთება. პრობლემა მხოლოდ ერთია - ბოლომდე მისი შესაძლებლობები არ გვინახავს, მაგრამ იმედია, მალე ვიხილავთ“.*

### მე ბედნიერი ვარ!

დორტმუნდის „ბორუსიას“ ნახევარმცველმა **შინჯი კაგავამ** უკვე მერამდენეჯერ განაცხადა, რომ ბუნდესლიგის ჩემპიონი კლუბიდან წასვლას არ აპირებს. აი, რა თქვა იაპონელმა „ბილდთან“ ინტერვიუში: *„მე უკვე არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: „დორტმუნდში“ ბედნიერი ვარ! სხვა კლუბში გადასვლასთან დაკავშირებით გაფიქრებაც არ მქონია. ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო გულშემატკივრები გვყავს. არ მესმის, რატომ მგზავნიან გაუთავებლად სხვადასხვა კლუბში. რატომ არ შემიძლია, დავრჩე აქ?!“*

### მიზანი - ტიტულები

ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელი **სიმონე პეპე** მომავალს ოპტიმიზმით უყურებს და ამბობს, რომ ტურინელთა თამაშის ხარისხი გამოსწორდება. *„ტურინის „იუვენტუსი“ დიდი ისტორიის მქონე კლუბია, რომელიც დიდხანს იყო იტალიური და ევროპული ფეხბურთის მოწინავე პოზიციებზე, - ამბობს პეპე „გაძეტა დელო სპორტთან“ საუბრისას - მჯერა, რომ მომავალ სეზონში ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ შეიცვლება და ტიტულებსაც დავისაკუთრებთ“.*

### ზიდანს ბევრი აქვს სასწავლი

მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა **ჟოზე მოურინიომ** გუნდის სპორტული დირექტორის **ზინედინ ზიდანის** შესახებ ისაუბრა: *„რასაკვირველია, ყველას გვიხარია, რომ ასეთი ადამიანი მუშაობს ჩვენთან. ის წარსულში უდიდესი ფეხბურთელი გახლდათ, ამ კლუბის ერთ-ერთი ლიდერი და ბუნებრივია, აქ რომ არჩია დარჩენა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მას კიდევ ბევრი აქვს სასწავლი, რადგანაც ამ პოსტზე მუშაობის გამოცდილება არ გააჩნია. მე მჯერა, რომ იგი ყველაფერს წარმატებით გადალახავს“.*

### კვირის გმირები

კვირის გმირებად ბრაზილიის ნაკრების მოთამაშეებს ვასახელებთ, რომლებმაც კოპა ამერიკის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ჰაერივით საჭირო სამი ქულა მოიპოვეს - დაამარცხეს რა ეკვადორი ანგარიშით 4:2. დუბლი გაახერხეს „მილანის“ თავდამსხმელმა **ალეშანდრო პატომ** და „სანტოსის“ შემტევმა **ნეიმარმა**. ეკვადერელთაგან თავი კაისედომ გამოიჩინა - სხვათა შორის, მანაც დუბლით, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ორივე ეს გოლი **ჟულიო სეზარის** შეცდომის შედეგად იქნა გატანილი.

**გიორგი ფულარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არსენალი

# ჩავის შავი პიარი



არსენ ვენგერი

„არსენალის" მწვრთნელი, **არსენ ვენგერი** ბარსელონელი ვარსკვლავის, **ჩავის** ნათქვამმა გააბრაზა. ჩავის თავისი კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე უთქვამს, **სესკ ფაბრეგასი** „მეთოფეებთან" იტანჯება. ჩრდილოლონდონელთა თავკაცმა განაცხადა:

*„თუ ჩავიმ მართლა ასე თქვა, ეს მისი მხრიდან დიდი უპატივცემულობაა. თან, ეს ფეხბურთელი ამ დამოკიდებულებას პირველად არ ამჟღავნებს. „არსენალის" წინააღმდეგ ის ადრეც გამოსულა. თუმცა, ფაბრეგასის ისტორიაში მთავარი ის კი არ არის, ვინ რა თქვა, არამედ ის, რომ სესკს ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებს და ჩვენ მისი შენარჩუნება გვინდა".*

რაც შეეხება ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას" ნახევარმცველის ნათქვამს, ის ასეთი გახლდათ:

*„სესკმა მითხრა, რომ იტანჯება, რადგან ჩვენთან უნდა გადმოსვლა. ის ყველა ღონეს იხმარს, რათა ლონდონელებს თავი გააშვებინოს. ფაბრეგასს თავისი სურვილი არ დაუმალავს, ყველაფერი ნათლად გამოაცხადა და ახლა მისი მომავალი „არსენალზეა" დამოკიდებული".*

„ბარსელონას" საკუთარი სკოლის აღზრდილის, 24 წლის ფაბრეგასის ყიდვა შესაძლოა ასე ძალიან იმიტომაც უნდა, რომ ჩავი უკვე 31 წლისაა და, თანდათანობით, კარიერის განმავლობაში მიღებული ტრავმები მეტად და მეტად აწუხებს. კატალონიელებმა „არსენალს" სესკის სანაცვლოდ 31,6 მილიონი ფუნტი (35,8 მილიონი ევრო) შესთავაზეს, თუმცა ჩრდილოლონდონელები 40 მილიონი ფუნტიდან (45,3 მილიონი ევრო) ფეხს არ იცვლიან.

● მანჩესტერ იუნაიტედი

# რა უნდა რუს ესპანეთში?



უეინ რუნი

**უეინ რუნიმ** განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში" დიდხანს ითამაშებს და ესპანეთში არ გადავა. ამის შესახებ ინგლისის ნაკრების 25 წლის თავდამსხმელმა გულშემატკივრებს „ტვიტერით" უთხრა:

*„არ ვაპირებ „მანჩესტერ იუნაიტედის" დატოვებას და „ბარსაში" ან „რეალში" გადასვლას. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ და დიდხანს ვაპირებ „ოლდ ტრეფორდზე" დარჩენას".*

საიდან მოვიდა ჭორი, თითქოს რუნი ესპანეთში გადადიოდა? საქმე ის გახლავთ, რომ ვარსკვლავის ბავშვობისდროინდელმა მწვრთნელმა, **ტონი ფარელმა**, რომელიც მას ფეხბურთის ანა-ბანას „ევერტონის" აკადემიაში ასწავლიდა, დღეს კი ამერიკაში მუშაობს, თქვა:

*„რუნის მწვერვალისთვის ჯერ არ მიუღწევია. ის კიდევ უფრო კარგი თავდამსხმელი გახდება. ვითომ, მთელ კარიერას „მანჩესტერ იუნაიტედში" გაატარებს? ვფიქრობ, არა. მას თავად მოუნდება საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე შემოწმება და „რეალში" ან „ბარსელონაში" გადავა".*

„იუნაიტედის" აღმასრულებელი შეფი, **დევიდ გილი** კი, ამასობაში მილანში იყო და 27 წლის **ვესლი სნეიდერის** „ინტერიდან" 35 მილიონ ფუნტად (39,7 მილიონი ევრო) ყიდვის საკითხს აგვარებდა.

● ჩელსი

# ფულს დახარბებული



ანდრე ვილაშ-ბოაში

**ანდრე ვილაშ-ბოაშს** ბრალი დასდეს, რომ ის „პორტოდან" „ჩელსიში" მხოლოდ და მხოლოდ ფულის გამო გადავიდა. პორტუგალიური კლუბის განრისხებულმა პრეზიდენტმა კიდევ განაცხადა, რომ მის ყოფილ მწვრთნელს არც ვაჟკაცობა ჰყოფნიდა და **ჟოზე მოურინიოს** ჩრდილში ყოფნის კომპლექსითაც გახლდათ შეპყრობილი.

კაცზე, რომელმაც გასულ სეზონში ევროლიგის, პორტუგალიის ჩემპიონის თასის მფლობელის ტიტულები მოუტანა, **ჟორჟე ნუნო პინტო და სოუზამ** ასე ილაპარაკა:

*„ვილაშ-ბოაშს ფუნტები ბლომად აქვს, მაგრამ ვაჟკაცობა აკლია. მას მოურინიოს აჩრდილის ეშინია. ის დაკომპლექსებულია, „პორტოში" ყოფნის დროს სულ ჟოზეს ჩრდილში გრძნობდა თავს. როდესაც ევროპის დიდ კლუბებზე ფიქრობ, „ჩელსი" ნამდვილად არ გახსენდება, გონებაში „რეალი", „ბარსელონა" და „მანჩესტერ იუნაიტედი" მოდის. ამიტომაც, ვილაშ-ბოაში „ჩელსიში" იმიტომ კი არ გადავიდა, რომ დიდ კლუბში უნდოდა მუშაობა, არამედ იმიტომ, რომ იქ ფული შესთავაზეს".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

● ასტონ ვილა

# დაუნინგის გაიყიდა!



სტიუარტ დაუნინგი

26 წლის გარემარბი, **სტიუარტ დაუნინგი** „ლივერპულში" ითამაშებს. ტრანსფერის ღირებულება 20 მილიონი ფუნტი. „ასტონ ვილა" თავიდან ძალიან ენერგიულად აცხადებდა, რომ დაუნინგი არ იყიდებოდა, მაგრამ როდესაც თავად ფეხბურთელმა თქვა, რომ მერსისაიდზე სურს გადასვლა და აშკარად გამოჩნდა, რომ მისი ნათქვამი სავაჭრო ხერხი კი არა, გულიდან წამოსული სურვილი იყო, ბირმინგემელები გატყდნენ. „ასტონ ვილას" დაუნინგის შემცვლელად „უიგანის" 25 წლის ფრანგი ნახევარმცველი, **შარლ ნ'ზოგბია** ესახება და, როგორც წერენ, ეს საქმეც, გაჩარხულია. ნ'ზოგბიაში „ვილა" 9 მილიონ ფუნტს იხდის.

დაუნინგი გასულ სეზონში „ასტონ ვილას" საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. კონტრაქტის თანახმად, მას „ვილა პარკზე" კიდევ ორი წელიწადი უნდა გაეტარებინა, მაგრამ ინგლისის ნაკრებში ბოლო გამოძახების დროს, მოულოდნელად განაცხადა, რომ ბირმინგემიდან წასვლა უნდოდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ასტონ ვილას" პირველი ოფიციალური რეაქცია კატეგორიული იყო — კლუბის ხელმძღვანელებმა თქვეს, რომ გარემარბს არავითარ შემთხვევაში არ გაყიდიდნენ. მათ 15-მილიონიან შემოთავაზებაზეც უარი თქვეს, მაგრამ შემდეგ, კლუბის ამერიკელმა მეპატრონემ **რენდი ლერნერმა** პირველი ნათქვამი ჩვეულებისამებრ უარყო და ფეხბურთელი გაყიდა.

მეპატრონის ასეთმა ქცევამ ბირმინგემელ ფანებს ეჭვი გაუჩინა — აქვს კი ამ კაცს რაიმე ამბიცია? მოგეხსენებათ, ლერნერმა ცოტა ხნის წინ „მანჩესტერ იუნაიტედს" **ეშლი იანგი** მიჰყიდა. ბოლოს და ბოლოს ფეხბურთია თუ მშრალი ბიზნესი?

შეგახსენებთ, რომ დაუნინგი „ასტონ ვილამ" 2009 წელს „მიდლსბროსგან" იყიდა. მასში ბირმინგემელებმა 12 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. გასულ სეზონამდე ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ გარემარბს ფასი თუ დააკლდებოდა, თორემ მომატებით ნამდვილად არ მოემატებოდა, მაგრამ გასულ სეზონში ყველაფერი შეიცვალა — ის შესანიშნავად ათამაშდა და სეზონის ბოლოს „ვილას" დირექტორები მიადგნენ კიდეც ახალ კონტრაქტზე სალაპარაკოდ, მაგრამ დაუნინგმა უკვე იცოდა, რომ მისი ყიდვა „ლივერპულს" სურდა.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ ნ'ზოგბიას, ის „ვილას" ახალ მწვრთნელ **ალექს მაკლიშს** ერთი წლის წინ კინაღამ მის წინა გუნდში, „ბირმინგემ სიტიში" შეუერთდა. მაშინ, „სიტიმ" ფრანგს დიდი ხელფასი ვერ დაუნიშნა, „ვილას" კი, იანგისა და დაუნინგის გაყიდვით ფული შემოუვიდა. დღეს-ხვალ „ვილა" ირლანდიელ მეკარეს, 35 წლის **შეი გივენსაც** იყიდის „მანჩესტერ სიტისგან".

● ტრაგედია

# თილისმის სიკვდილი

საბერძნეთის კურორტ ზანტეზე ადგილობრივმა ტაქსისტმა დანის გულში დარტყმით 18 წლის ყმაწვილი, **რობერტ სიბეჯი** მოკლა. ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა ერთ დროს ინგლისის ნაკრების თილისმა იყო — 2007 წელს, ინგლისისა და ბრაზილიის ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრის წინ ის „უემბლის" მოედანზე კაპიტან **დევიდ ბექჰემს** ახლდა. აღსანიშნავია, რომ ყმაწვილი, რომელიც კუჭ-ნაწლავის სერიოზულ დაავადებას მკურნალობდა, საბერძნეთში მეგობრებთან ერთად იყო წასული. როგორც ჩანს, ახალგაზრდებმა ადგილობრივი ტაქსის მძღოლი გააღიზიანეს (სავარაუდოდ, ლაზერის შუქს უმიზნებდნენ და რაღაც ესროლეს კიდეც), რამაც მძღოლი არაადეკვატური გახადა, მან დანა ამოიღო და ბიჭებს დაერია. რობერტ სიბეჯი გარდაიცვალა, მისი მეგობრები კი დაიჭრნენ.



დევიდ ბექჰემი (მარცხნივ) და რობერტ სიბეჯი

საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ

განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი კომფორტული სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს, ველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

**ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.**

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



პლაჟის ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# პლაჟზე ქალების დეფიციტია

BEACH WRESTLING BATUMI-GEORGIA WORLD CHAMPIONSHIP 2011

**დღეს ბათუმში საპლაჟო ჭიდაობაში მსოფლიოს პირველობა იწყება, რომელშიც 12-მდე ნაკრები გამოვა - საქართველო, თურქეთი, აზერბაიჯანი, ნორვეგია, ყაზახეთი, ესტონეთი, შვედეთი, ინდოეთი, უკრაინა, უნგრეთი...**

ჩემპიონატში მონაწილეობენ როგორც ვაჟები, ასევე - ქალები. თანაც სამივე ასაკობრივ ჯგუფში - ჭაბუკებში, ახალგაზრდებსა და უფროსებში. უფრო სწორად, განზრახულია სამივეში ჩატარება, მაგრამ შესაძლოა, მონაწილეთა სიმცირის გამო შეჯიბრების ფორმატი შეიკვეცოს. მაგალითად, ტურნირი დღეს ჭაბუკთა ასპარეზობით უნდა გახსნილიყო, თუმცა უცხოელებს ამ ასაკის მონაწილეთა გუნდები არ ჩამოუყვანიათ და შეჯიბრებაც არ შედგება. მხოლოდ ჩვენი ფალავნები იჭიდავებენ, ოღონდ ეს იქნება საჩვენებელი გამოსვლები და არა საჩემპიონატო ფორმატისა.

ხვალ ახალგაზრდები იასპარეზებენ. ამ ასაკში ჩვენი ქვეყნის ღირსებას **რამაზ სურმანიძე**, **იოსებ ივანიშვილი** (ორივე - 60), **ირაკლი მოსიძე**, **ირაკლი მეკეიძე** (ორივე - 70), **ჯონი ქადიძე**, **რევაზ ივანიშვილი**, **სანდრო ამინაშვილი** (სამივე - 80), **გიორგი გოგრიჭიანი** (+80) დაიცავენ. მძიმე წონაში **გიორგი ასლანიშვილსაც** უნდა ეჭიდავა, მაგრამ ტრავმა აწუხებს და სათადარიგოთი ჩაანაცვლებენ, ოღონდ კონკრეტული ფალავანი დღეს გაირკვევა.

უფროსები ზეგ იჭიდავებენ. აქ ყველაზე ბოლოს უმჩატესი, 70 კილოგრამის მონაწილეთა შემადგენლობა გაირკვა, თორემ დანარჩენები ადრევე იყო ცნობილი. საკონტროლო შეხვედრების შემდეგ მწვრთნელმა **ჯემალ კილაძემ** 70-ში **გიორგი ლობჟანიძე**, **მამუკა ხოზრევანიძე** და **მიხეილ ზარქუა** დააყენა, სხვა წონებში კი **გელა სალირაშვილი**, **მარად ზოიძე**, **რამინ ფევაძე** (სამივე - 80), **ბექა ჭელიძე**, **არჩილ ქიტიაშვილი**, **გიორგი მარსაგიშვილი** (სამივე - 90), **გიორგი საკანდელიძე**, **ლევან ბერიანიძე**, **გიორგი ნიკურაძე** (სამივე - +90) გამოვლენ.

ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქალებიც, რომელთა შორისაც ძირითადად ადგილობრივი ძიუდოისტები სჭარბობენ, თუმცა ჯერ გაურკვეველია, რამდენი მონაწილით გამოვალთ. საქმე ისაა, რომ ტურნირში ქალთა დეფიციტია - უცხოელებს არც მანდილოსნები ჩამოუყვანიათ. ამიტომ იქმნება საშიშროება, რომ ბევრ წონაში მონაწილენი ვერ მოგროვდნენ და ამ შემთხვევაში იმ წონებში პირველობა საერთოდ არ გაიმართება, ანუ არც ჩვენები გამოვლენ. სადღეისოდ გარკვეული მხოლოდ ქალთა 60 კილოგრამის საკითხია, სადაც **შორენა შარაძე**, **დარინა აბულაძე** და **დარინა ცინცქილაძე** გამოვლენ. უფროსთა შორის სხვა წონებში მწვრთნელებმა **მალვინა ლორთქიფანიძე** (70), **ირინა ლეონიძე** და **ლია გვიანიძე** (+70) შეარჩიეს, 20-წლამდელებში კი - **ცირა აბულაძე** (50), **სოფიო ბერიძე** და **ნათია დიასამიძე** (ორივე - 60) კი შეარჩიეს, მაგრამ ვნახოთ, მიეცემათ თუ არა მათ პირველობაში მონაწილეობის საშუალება.

შეჯიბრებები ბათუმის პლაჟზე 17 საათზე დაიწყება, 19-საათიდან კი ფინალური შეხვედრებია.

**ირაკლი თავაძე**



ჭიდაობა. პეტლიასინსკის ტურნირი

# მოჭიდავეები პოლონეთის გზაზე

**საქართველოს მოჭიდავეთა ეროვნული გუნდები აგრძელებენ მზადებას მსოფლიოს პირველობისთვის, სადაც ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გაიცემა - ყოველ წონაში 6-6. ჩვენებისთვის ბოლო სასტარტო ტურნირი 5-6 აგვისტოს პოლონეთში გასამართი პეტლიასინსკის მემორიალია, რომელშიც საქართველოდან ორივე ნაკრები მიიღებს მონაწილეობას, ოღონდ თავისუფალი სტილით მოჭიდავეები იქ მხოლოდ სამი კაცით გამოვლენ, ბერძენ-რომაელები კი უფრო მოზრდილი გუნდით იასპარეზებენ.**

„თავისუფალთა“ შეჯიბრებაში **მალხაზ ზარქუა**, **ბექა ლომთაძე** (ორივე - 60) და **ელიზბარ ოდიკაძე** (96) იჭიდავებენ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ისევ არ ხერხდება ნაკრებში ორი ლიდერის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიურმედალოსან **გიორგი გოგშელიძისა** (96) და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის, ოლიმპიურ პრიზიორ **ოთარ თუშიშვილის** (66) ჩართვა. მათგან უფრო მძიმე თუშიშვილის შემთხვევაა, რომელმაც ჯერაც ვერ მოირჩინა ძველი ტრავმები. გოგშელიძემ მხარის ოპერაციის შემდგომი სარეაბილიტაციო პერიოდი წარმატებით კი გაიარა და გუნდს სომხურ წახკაძორშიც გაჰყვა ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებაზე, სადაც კარგადაც ივარჯიშა, მაგრამ ლეიბზე სრულად ჯერაც ვერ იტვირთება. მსოფლიოს პირველობაზე მისი მონაწილეობის საკითხი მოგვიანებით გაირკვევა.

პლანეტის პირველობამდე „თავისუფალთა“ ნაკრები დუშეთში მოემზადება. მიზეზთა გამო, უცხოეთში შეკრების გავლა ვერ მოხერხდა და ამას დაჟინებით არც მწვრთნელები ითხოვდნენ. შესაძლოა, დუშეთში მათთან ერთად აზერბაიჯანის ნაკრებმაც ივარჯიშოს, თუმცა ეს საკითხი განხილვის პროცესშია. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ერთობლივ წვრთნებზე ჩამოსვლის სურვილი თავად აზერბაიჯანელებმა გამოთქვეს, ჩვენებიც დაეთანხმნენ, ახლა კი ჯერი იმათზეა. ბოლო დღეებში მათ რაღაც არეულობაზე დაიწყეს ლაპარაკი საკუთარ ფედერაციაში და ამბობენ, შეიძლება ვერ ჩამოვიდეთო. ვნახოთ, ეს საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა. ცოტა უფრო ადრე ჩვენს ნაკრებს ანალოგიური წინადადებით სომხებმაც მომართეს, მაგრამ ისინი უარით გაისტუმრეს - აზერბაიჯანი მათზე ბევრად ძლიერი გუნდია, თან ერთად მათი მასპინძლობა არც ისე სასურველი ამბავია მათ შორის არსებული პოლიტიკური დაპირისპირებიდან გამომდინარე, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ დუშეთის ბაზაზე ამდენი ხალხი ფიზიკურად ვერ დაეტევა. საბედნიეროდ, ჩვენი ნაკრების ავტორიტეტი კია იმდენად დიდი, სპარინგებზე ჩამოსვლის მსურველები არ დაგველიოს (სხვა თუ არავინ, უცხოეთში მომუშავე ქართველი მწვრთნელები ყოველთვის აქ ჩამოსვლას და მომზადებას არჩევენ), მაგრამ ჩნდება მთავარი და ჯერჯერობით დაუძლეველი პრობლემა - არ გვაქვს იმდენად მასშტაბური სპორტული ბაზები, რამდენიმე უცხოურ გუნდს ერთად ვუმასპინძლოთ.

„თავისუფალთაგან“ განსხვავებით, მოსამზადებლად უცხოეთში ერთობლივ ვარჯიშებზე წასვლას ანიჭებენ უპირატესობას ბერძენ-რომაელები, რომლებიც ამ მიზნით 3 აგვისტოს მინსკში გაფრინდებიან. ბოლო წლებში ჩვენები ლამის სტაბილურად დადიან იქ, „სტაიკების“ ოლიმპიურ ბაზაზე, სადაც ამჯერადაც გაივლიან ერთობლივ შეკრებას. მწვრთნელებს მინსკში 14 ფალავანი მიჰყავთ, ყოველ წონაში 2-2 ლიდერი, თუმცა შეკრებამდე ჩვენები პოლონეთში გადავლენ და პეტლიასინსკის მემორიალში იჭიდავებენ. შეჯიბრებაზე მოსახვედრად მინსკის გავლით წასვლა მათ ფინანსური მოსაზრებიდან გამომდინარე ამჯობინეს - ასე უფრო იაფი ჯდება იქ მოხვედრა, ვიდრე - თბილისიდან ვარშავაში გადაფრენა, რადგან მინსკსა და პოლონეთს შორის ორივე გზაზე მატარებლით იმგზავრებენ.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ იჭიდავებს პოლონეთში - მინსკში წასვლამდე მწვრთნელები კიდევ დააკვირდებიან შეგირდებს და იმის მიხედვით მიიღებენ გადაწყვეტილებას, ვისაც სატურნირო პრაქტიკის დეფიციტს შეამჩნევენ. ამ ეტაპზე გადაჭრით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74) ნამდვილად იასპარეზებს - ტაქტიკური მოსაზრებებით, მას წინა კვირას ბაქოში გამართული „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალური შეჯიბრება გამოატოვებინეს სწორედ ამ ტურნირის გამო. საერთოდაც, ბაქოში ნაჭიდავები ხალხიდან პოლონეთში ვინმეს გამოსვლა ნაკლებადაა მოსალოდნელი, თუმცა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. სავარაუდოდ, სწორედ პოლონეთშივე გაირკვევა სექტემბერში სტამბოლში, მსოფლიოს პირველობაზე წამსვლელთა ბირთვიც. მსოფლიოსთვის დასკვნით ეტაპს ეს ნაკრებიც დუშეთში გაივლის.

**ირაკლი თავაძე**

ბიზნესი



# ბრიტანელის მიღწევა საქართველოში გააუმჯობესდა

## პრეზიდენტის ვაჟმა ედუარდ სააკაშვილმა თანამედროვე ტექნოლოგიებში რეკორდი დაამყარა

5 ივლისს, ბათუმის იუსტიციის სახლში, საქართველოს პრეზიდენტის უფროსმა ვაჟმა **ედვარდ სააკაშვილმა** თანამედროვე ტექნოლოგიებში რეკორდი დაამყარა. მან მარჯვენა ხელით აიპოდში ანბანი ყველაზე სწრაფად 5, 26 წამში აკრიფა და წამნახევრით გააუმჯობესა წინა რეკორდი, რომელიც ბრიტანეთში 2010 წელს დამყარდა.

საინტერესოა, რომ წინა რეკორდსმენი **ჯოზეფ გრეჩი** სრულწლოვანი იყო, ედუარდ სააკაშვილი კი რეკორდის დამყარების დროს 15 წლის გახლდათ. მნიშვნელოვანია, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოში რეკორდის დამყარებას ლიცენზირებული მსაჯი აკვირდებოდა.

სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის თურქეთიდან **შეიდა სუბას-გემიჯი** ჩამოვიდა. მსაჯმა რეკორდის დაფიქსირება დაადასტურა, გინესის მსოფლიოს რეკორდების მონაცემთა ბაზაში შეიტანა და გამარჯვებულს სერთიფიკატი გადასცა.

**ედვარდ სააკაშვილი:** *„როდესაც გავიგე ამ რეკორდის შესახებ, თავიდან მისი დაძლევა რთულად მეჩვენა, თუმცა მთავარი პრობლემა მაინც ის იყო, რომ მსოფლიოს გინესის რეკორდების ასოციაციას დაეფიქსირებინა ეს რეკორდი. დღეს ეს უკვე მოხდა, დასრულდა ის რამდენიმე თვიანი პროცესი, რომელიც ჩვენ გავიარეთ, რომ ეს რეკორდი საბოლოოდ დაფიქსირებულიყო და, ცხადია, ამით გახარებული ვარ“.*

**ლადო ვარძელაშვილი:** *„მხოლოდ ედვარდ სააკაშვილს ჰქონდა მიმოწერა მსოფლიოს გინესის რეკორდების ასოციაციასთან, საჭირო იყო გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილება. მთელი ამ პროცედურის გავლის შემდეგ კი საქმეში ჩაერთო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და საბოლოოდ რეკორდიც დამყარდა, რომელსაც გინესის რეკორდების წიგნშიც შეიტანენ, რაც ძალიან სასიხარულო ამბავია“.*

**შეიდა სუბას-გემიჯი:** *„ედვარდ სააკაშვილს სამი შანსი ჰქონდა იმისთვის, რომ რეკორდი დაემყარებინა, მაგრამ მან ეს პირველივე ცდაზე მოახერხა, მიიღო ჩვენი სერთიფიკატი და შევა გინესის რეკორდების წიგნში“.*

**სპორტის სამინისტროს პრესსამსახური**

ჩოგბურთი

# მეტრეველი მერვედფინალს დასჯერდა

სომხეთის დედაქალაქ ერევანში ჩვენთვის მეტად საინტერესო დაპირისპირება შედგა - 15-ათასიანი ტურნირის მერვედფინალში ერთმანეთს **ალექსანდრე მეტრეველი** და **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (676) გადაეყარნენ. ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ვიტყოდით - თანამემამულეები, ახლა კი, სამწუხაროდ, ამის უფლება აღარ გვაქვს: 19 წლის ბასილაშვილმა საქართველო რუსეთზე გაცვალა და ის ივლისიდან ამ ქვეყნის სახელით ასპარეზობს. თუმცა სანამ უშუალოდ ამ დაპირისპირებაზე ვიტყვით, მოგიყვებით, როგორ მივიდა იქამდე 17 წლის ურეიტინგო მეტრეველი, რომელიც ცნობილი ქართველი ჩოგბურთელის, **ალექსანდრე მეტრეველის** შვილიშვილია. მან საკვალიფიკაციო ბადეში ხორვატ **მარინ დრაგანიას** (7:6, 6:2) და უკრაინელ **ალექსანდრ კუშაკოვს** (6:1, 4:1, მეტოქე დანებდა) აჯობა. ძირითადი ბადის პირველ წრეში ქართველმა უკრაინელ **იური ჯავახიანს** მოუგო - 7:5, 6:4. მერვედფინალში კი ალექსანდრე ყოფილ თანამემამულეს გადაეყარა და მიუხედავად იმისა, რომ მასზე წლინახევრით უმცროსია, დიდი ბრძოლა გაუმართა - 5:7, 7:6 (3), 2:6. ბრძოლა ბასილაშვილმა გააგრძელა და უკვე ნახევარფინალშიცაა, თუმცა ეს უკვე ქართველი გულშემატკივრებისთვის ნაკლებად საინტერესოა.

იტალიურ იმოლაში (25 ათასი დოლარი) მერვედფინალში დამარცხდა პირველ ნომრად განთესილი **მაკა ჩახნაშვილი** (224), რომელსაც ხორვატმა **მარია აბრამოვიჩმა** (572) მოუგო - 6:1, 7:6 (4).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატუტზე ხტომა

# უმცროსები ბათუმში, უფროსები კანადაში


ანა ოდიშვილი

ბათუმის მერიისა და კომპლექსური სასპორტო სკოლის ერთობლივი ინიციატივით აჭარის დედაქალაქში მეორედ გაიმართა ბატუტზე მხტომელთა ღია პირველობა, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ახალგაზრდა ქუთაისელი და თბილისელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

„შეჯიბრებაზე თბილისიდან შპს „კასტელი-საქართველოს" თანადგომით გიორგი ევნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის ბატუტზე მხტომელებით დაკომპლექტებული ორი გუნდი გაემგზავრა. მათი უმრავლესობა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ისინი წლევანდელი მსოფლიოს პირველობისთვის ემზადებიან. ამ ტურნირს მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვარჯიშებზე დამუშავებული რთული ელემენტების გამოსაცდელად. უნდა ითქვას, რომ ლია ხრიკულის, რევაზ გამხოშვილის, ვლადიმირ გოლოვინის, შალვა კალოევის, შალვა კიკნაძისა და ირმა თანდილაშვილის შეგირდებმა იმედები გაამართლეს. აბსოლუტურ შეჯიბრებაში ტოლი არ ჰყავდა თეონა ჯანჯლავას. მას მცირედით ჩამორჩა 12-წლიანებში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი ანა ოდიშვილი, მესამე ადგილი ნანა გოგაშვილს ხვდა. ბიჭებში უძლიერესი იყო ზურაბ ნოზაძე. მეორე-მესამე ადგილებზე დიმიტრი ზუტიკოვი და ლაშა გაბაშვილი გავიდნენ. ახალგაზრდული ნაკრების წევრები ბათუმშივე გაივლიან საწვრთნელ შეკრებას". - გვითხრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაურ სულაშვილმა.**

აქვე გაუწყებთ ასაკების მიხედვით, ბათუმის ღია პირველობის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**11 წლამდე. გოგონები.** 1. ნუცა ჭკუასელი (თბილისი, 27,1 ქულა), 2. ქრისტინა სალნიკოვა (ბათუმი, 23,8), 3. დიანა ფოთელიძე (ბათუმი, 21,4). **ბიჭები.** 1. გიორგი ნაცვლიშვილი (თბილისი, 28,7), 2. თორნიკე ბარ ბაქაძე (ქუთაისი, 25,0 3. ონისე თვალავაძე (ქუთაიაი, 24,3).

**14 წლამდე. გოგონები.** 1. ანა ოდიშვილი (თბილისი, 33,9), 2. მერი გვიანიძე (ბათუმი, 32,0), 3. ქრისტინე სორდია (თბილისი, 28,5). **ბიჭები.** 1. ზურაბ ნოზაძე (34,1), 2. ლაშა გაბაშვილი (29,9), 3. გიორგი ავლოხაშვილი (სამივე-თბილისი, 29,2).

**18 წლამდე. გოგონები.** 1. თეონა ჯანჯლავა (33,1), 2. ნანა გოგაშვილი (31,0), 3. თიკა ჩადუნელი (სამივე-თბილისი, 30,5). **ვაჟები.** 1. დიმიტრი ზუტიკოვი (33,8), 2. თემურ სონღულაშვილი (31,1), 3. რუსტამ კალოევი (სამივე-თბილისი, 29,9).

რაც შეეხება უფროსი თაობის ბატუტზე მხტომელებს - ლუბა გოლოვინასა და თენგიზ კოშკაძეს, ისინი ახლა თბილისში ვარჯიშობენ და კანადის ღია თასის გათამაშებისთვის ემზადებიან, რომელშიც ივლისის ბოლოს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები არიან მიწვეული.

**ვაჟა დანელია**

ეკა ელაშვილის ფოტო

სუმო. ნაგოიას ბაშო. 10-24 ივლისი

# მოგებული ელიტა

კომუსუბის ტიტულის მოპოვება უფრო იოლია, ვიდრე მისი შენარჩუნება - ეს საკუთარ თავზე მესამედ გამოსცადა **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**, 23 წლის სუმოისტმა, რომელიც ნაგოიას ბაშოზე დასავლეთის კომუსუბის ტიტულს ატარებს. ტოჩინოშინი სუმოს ელიტის ელიტაშია, თუმცა იქ უკანასკნელი საფეხური უჭირავს - საუკეთესო ათეულში რეიტინგით მეათეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 9 მასზე მაღლა მდგომ სუმოისტთან შეხვედრა გარანტირებული აქვს, ბაშო კი 15 დღე გრძელდება. მოკლედ, კომუსუბიმ, ბაშო რომ დადებითი ბალანსით დაასრულოს, ზოგჯერ საკუთარ შესაძლებლობებზე მეტი უნდა აჩვენოს. ტოჩინოშინი ცუდი სტარტის შემდეგ გამოფხიზლდა და გუშინ აღმოსავლეთის კომუსუბის, **გოეიდოს** აჯობა.

ორთაბრძოლისას ლევანმა ეშმაკური ხერხი იხმარა, რომელიც ძალზე არ მოსწონს იაპონურ პუბლიკას. დაჯახებისას ის მარცხნივ გადახტა, მეტოქის მავაშისკენ არც კი გაუხედავს, ბრძოლას თავი აარიდა, ხოლო მოტყუებული **გოეიდო** ძირს გაიშხლართა. ლევანს 2-3 ბალანსი აქვს და დღეს ბულგარელ გოლიათ **კოტოოშუს** ხვდება. ქართველი და ბულგარელი აქამდე 8-ჯერ დაპირისპირებიან ერთმანეთს, ოძეკი წინაა 6:2.

მოიგო **გაგამარუმაც (თეიმურაზ ჯუღელი)**, მან ძალიან იოლად გააძევა დოჰიოდან 33 წლის **მიაბიამა**, „ადამიანი მთა", რომელიც 10 წლის წინ ჩემპიონის ტიტულს ატარებდა. დღეს გაგამარუს მეტოქე მონღოლი „წითელი ურჩხული" **ასასეკირიუა**. გაგამარუს 2-3 ბალანსი აქვს.

ძურიოს დივიზიონში მოასპარეზე **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** კი წააგო, მას ძურიოს პირველმა ნომერმა ტამაასუკამ აჯობა. „შავ ზღვას" ჯერაც დადებითი ბალანსი აქვს - 3-2.

**V დღე:** ჰაკუჰო-ტოიონოშიმა (ოშიდაში), კაკურიუ-ბარუტო (ჰიკიოტოში), ჰარუმაფუჯი-იოშიკაძე (იორიკირი), კაიო-კიოკუტენჰო (იორიკირი), ვაკაკოიუ-კოტოოშუ (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-კისენოსატო (იორიტაოში), **ტოჩინოშინი**-გოეიდო (ჰატაკიკომი). ტაკეკაძე-ამინიშიკი (სუკუინაგე), ოკინოუმი-ტამავაში (უვატეჰინერი), ტოკიტენკუ-კაისეი (უვატედაშინაგე), ვაკანოსატო-არანი (იორიკირი), **გაგამარუ**-მიაბიამა (ოშიდაში), ტოჩიოძანი-ტაკარაფუჯი (ოშიდაში), ჰომაშო-კიტატაიკი (ოშიდაში), ტაკაიასუ-ასასეკირიუ (ჰატაკიკომი), ფუჯიაზუმა-ტოჩინოვაკა (ოშიდაში), შოტენროდაიდო (ჰატაკიკომი), ტოჩინონადა-ტოიოჰიბიკი (სოკუბიოტოში), საგაცუკასა-ტაკამისაკარი (ოშიდაში), კიმურაიამა-მასუნოიამა (ჰიკიოტოში). ძურიო: ტამაასუკა-კოკაი (იორიკირი).



**სატურნირო მდგომარეობა**

**5-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), ჰომაშო (მაეგაშირა 9)... **2-3:** **ტოჩინოშინი** (კომუსუბი), **გაგამარუ** (მ 7).

**VI დღე:** ჰაკუჰო-გოეიდო, ჰარუმაფუჯი-კიოკუტენჰო, კაიო-კისენოსატო, **ტოჩინოშინი**-კოტოოშუ, ბარუტო-ტოიონოშიმა, კაკურიუ-იოშიკაძე, კოტოშოგიკუ-ამინიშიკი, ვაკაკოიუ-ოკინოუმი, ტაკეკაძე-ტამავაში, ვაკანოსატო-ტოკიტენკუ, ჰომაშო-კაისეი, ტოჩიოძანი-არანი, **გაგამარუ**-ასასეკირიუ, მიაბიამა-ტაკარაფუჯი, კიტატაიკი-ტოჩინოვაკა, ტაკაიასუ-საგაცუკასა, ტოიოჰიბიკი-ტაკამისაკარი, დაიდო-ფუჯიაზუმა, კიმურაიამა-შოტენრო, ტოჩინონადა-ტამაასუკა. ძურიო: კოკაი-ჰოჩიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი




# დღეს მეხუთე ტურია

ფოთში **ნანა ალექსანდრიას** თასის გათამაშების მთავარ ტურნირში გუშინ ლიდერებმა ქულები გაიყვეს. მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს სამქულიანები: **ბაჩანა მორჩიაშვილი-ლევან ფანცულაია, დავით შაჰინიანი** (ერევანი)-**დავით ზარქუა, ირაკლი ბერაძე-ივერი ჭილლაძე.** მეწინავეთა წაფორხილებით ისარგებლეს **კონსტანტინე შანავამ, დავიდ კალაშიანმა, ალა ვახანიამ** და **ალექსანდრე ყაშაშვილმა**, რომლებმაც, შესაბამისად, არტურ ყარაგოზიანი (ერევანი), არმან მიქაელიანი (სომხეთი), დავით ლომსაძე და შალვა ნადირაშვილი დაამარცხეს და მათაც 3,5-3,5 ქულა მოაგროვეს.

დღეს მე-5 ტურში ინტერესს იწვევს ფანცულაია-ყაშაშვილის, ვახანია-შანავას, ზარქუა-მორჩიაშვილის, კალაშიანბერაძისა და ჭილლაძე-შაჰინიანის ორთაბრძოლები.

ალექსანდრიას თასზე ასაკების მიხედვით, როგორც გაუწყეთ, 8, 10 და 12 წლის გოგო-ბიჭებიც იბრძვიან პირველობისთვის.

8-წლიან გოგონებში 4 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ სოფიკო გოგინავა და თამარ ესაძე ლიდერობენ, ბიჭებში შოთა ხოდაშნელი და ნიკოლოზ კაჭარავა მოექცნენ გათამაშების ცხრილის სათავეში.

10-წლიანებში ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს გვანცა მარგველაშვილმა, ელენე კოსტავამ და კოკა ბუკიამ.

12-წლიან გოგონებში გუშინ ერთმანეთთან დაზავებით ნახევარ-ნახევარი ქულა დაკარგეს თეა ჭოლაძემ და ნარმინ მამადოვამ, თუმცა ლიდერობა მაინც შეინარჩუნეს. ბიჭებში 4 ქულით პირველ ადგილზეა ირაკლი ახვლედიანი. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს ლუკა ლიჩელმა და გიორგი ბოტკოველმა.

დღეს მე-5 ტურია.

**ვაჟა დანელია**

# ქალებისთვის უჩვეულო დასაწყისი

ჩინეთში სტარტი აიღო მოჭადრაკე ქალთა სუპერტურნირმა 10 დიდოსტატის მონაწილეობით. პირველი ტური მანდილოსნებისთვის უჩვეულოდ მშვიდობიანი გამოდგა. ყაიმზე შეთანხმდნენ: **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2575)-**ნანა ძაგნიძე** (2537), **მარი სებაგი** (საფრანგეთი, 2510)-**ნადეჟდა კოსინცევა** (რუსეთი, 2560), **ჰარიკა დრონავალი** (ინდოეთი, 2513)-**ჟაო სიუ** (ჩინეთი, 2470), **ჟუ ჩენი** (ყატარი, 2485)-**ანა ზატონსკიხი** (აშშ, 2522), **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2557)-**ძიუ ვენძიუნი** (ჩინეთი, 2515).

დღეს მე-2 ტურში ითამაშებენ: ძაგნიძე-ვენძიუნი, ზატონსკიხი-ტ. კოსინცევა, ჟაო სიუ-ჟუ ჩენი, ნ. კოსინცევა-დრონავალი, ჰოუ იფანი-სებაგი.

**ვაჟა დანელია**

# მსოფლიოს თასზე ჯობავა ითამაშებს

წლეულს 28 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე ხანტი-მანსიისკში, სადაც 2010 წელს საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართა, ვაჟ მოჭადრაკეთა მსოფლიოს თასის გათამაშებას უმასპინძლებს. მთავარი პრიზისთვის 128 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი იასპარეზებს, მათ შორის ერთადერთი ქართველი იქნება - 2009-2010 წლების ევროპის ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი ბაადურ ჯობავა. მასთან ერთად შეჯიბრებაში ჩაებმებიან ალექსანდრ გრიშჩუკი, შაჰრიარ მამედიაროვი, ვასილი ივანჩუკი, რუსლან პონომარიოვი, სერგეი კარიაკინი, ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი, ვაჟებში ევროპის ჩემპიონატის 2011 წლის ბრინჯაოს პრიზიორი იუდით პოლგარი, პაველ ელიანოვი, ალექსეი შიროვი, პეტერ ლეკო და სხვები.

**ვაჟა დანელია**


ბაადურ ჯობავა

# კვარტეტში სამი სლავი და ერთი ელინია

თბილისელ დიდოსტატ **სოფიკო გურამიშვილს** ბერძნულ რეტიმნოში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალის მე-4 ტურში საკმაოდ ძლიერი მეტოქე ჰყავდა - ესპანელი ალექსანდ იპატოვი, რომლის რეიტინგიც (2562) დიდად აღემატება გურამიშვილისას (2329). კლასში სხვაობამ 64-უჯრიან დაფაზეც იჩინა თავი და ესპანელმა მორიგი ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში, თუმცა იგი ნახევარი ქულით ჩამორჩება უდანაკარგოდ დაწინაურებულ იური კრივორუჩკოს (უკრაინა), ნიკიტა მაიოროვის (ბელარუსი), ანდრეი რიჩაგოვისა (რუსეთი) და ხრისტოს ბანიკასის (საბერძნეთი) კვარტეტს.

მეხუთე ტურში გურამიშვილი დანიელ მალიკ ლინდჰოლმს შეხვდება, ლიდერები კი ასე დაწყვილდნენ: კრივორუჩკო-რიჩაგოვი, მაიოროვი-ბანიკასი.

**ვაჟა დანელია**

# კროსვორდი



**„ლელოს" გუშინდელ ნომერში კროსვორდში შეცდომით დაიბეჭდა ტექსტთან შეუსაბამო ბადე. დღეს ვასწორებთ დაშვებულ ტექნიკურ შეცდომას.**

**თარაზულად:** 3. ველოსარბიელი; 6. საბავშვო ხალხური თამაშობა; 7. სიჩქარის ერთბაშად და მკვეთრად გადიდება სპორტის ზოგიერთ სახეობაში; 9. ფეხბურთის მეფე; 10. რაფტინგის ქართული შესატყვისი; 11. ქუთაისის საჭადრაკო კლუბი; 14. სტადიონზე სარბენი ...; 15. ძველი ქართული სამხედრო-სპორტული ორთაბრძოლა ... კრივი; 17. თბილისის "დინამოს" ყოფილი აფხაზი ნახევარმცველი; 18. შეჯიბრებათა დასკვნითი ნაწილი; 19. სპორტული ორგანიზაციის სახეობა; 20. იგივეა, რაც მატადორი; 24. სასროლეთი; 25. თბილისის "დინამოს" ყოფილი მცველი, მალხაზ...; 26. ოთხიანი კამათელზე; 29. საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, მიხეილ...; 31. ბოლნისის საფეხბურთო კლუბი; 32. „კოლხეთის" მწვრთნელი; 33. თბილისის "დინამოს" მცველი ... ჰომოლა.

**შვეულად:** 1. იხ. სურათი: გინესის 15-გზის რეკორდსმენი და მოგზაური; 2. ბავშვთა საფეხბურთო სტადიონი ვაკეში; 3. ... ელისი; 4. ქართული ცხენოსნური თამაშობა; 5. ... გლდანელი; 6. სატანვარჯიშო იარაღი; 8. სწრაფი შეტევა; 12. სპეციალური მარხილით მთიდან ჩქაროსნული დაშვების სახეობა; 13. თბილისის "დინამოს" ესპანელი ახალწვეული ხისკო ...; 14. ფეხბურთელის ფეხსაცმელი; 16. სოხუმელი მძლეოსანი ... გუმბა; 19. კრივში მოწინააღმდეგის ხელების დაჭერა ან მის სხეულზე შემოჭდობა; 21. ციცქნა ხელშუბების ტყორცნა მცირე სამიზნეზე; 22. სპორტის სახეობა; 23. „ზესტაფონის" ფეხბურთელი, გიორგი...; 27. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი; 28. საჭადრაკო ფიგურა; 30. ბორჯომის საფეხბურთო გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები B დივიზიონი. სარაევო, ბოსნია

# კაკალი გავტეხეთ, მაგრამ ეს დასაწყისია

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს სპეციალისტები A ქვეჯგუფის ფავორიტებს მიაკუთვნებენ. ასეთი სტატუსის გამართლება იოლი ნამდვილად არ არის, რადგან მეორე ეტაპზე თითო ჯგუფის ექვსი გუნდიდან საუკეთესო ორი გადის. ქართველ 20-წლამდელებს სერიოზული გუნდების წინააღმდეგ უწევს თამაში - პოლონეთის, მაკედონიის, ესტონეთის, შვეიცარიის (თუ ნებას მოგვცემთ, რუმინეთს პირველი დღის შემდეგ კონკურენტად არ ჩავთვლით). ვიდრე ჩვენი ახალგაზრდები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში (B დივიზიონი) ჩაერთვებოდნენ, პოლონეთმა მაკედონიას მხოლოდ სამი ქულის სხვაობით მოუგო, ხოლო ესტონეთმა რუმინეთი დაარბია...

■ ■ ■

საინტერესო იყო შვეიცარიის ძალის განსაზღვრა. ეს საქმე პირველივე ტურში ქართველებს დაეკისრათ. **დავით უსტიაშვილის** შეგირდები **თორნიკე შენგელიას** სიზუსტის წყალობით საწყის 5 წუთში 11:4 დაწინაურდნენ და დაგვანახეს, რომ შვეიცარების საბოლოოდ ძლევაც შესაძლებელი იყო. თუმცა მომდევნო წუთებმა დაგვარწმუნა, რომ მეტოქე კერკეტ კაკალზე არანაკლებ რთული გასატეხი იყო: გუნდური თამაშისა და პერიმეტრიდან ტყორცნების ხარჯზე შვეიცარიელებმა ჩვენს გუნდს ბოლო წამებამდე დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. იყო ეპიზოდები, როცა ხან **სანაძის**, ხან **ჩიკვილაძის**, ხანაც **შენგელიას** მიერ ზედიზედ ჩაგდებული რამდენიმე უპასუხო ქულის შედეგად 9-10 ქულით დავწინაურდით, მესამე პერიოდში სულაც 49:37-ს ვიგებდით, მაგრამ „წითლებმა" **დუბასის, ფონგეს** და **სტევანოვიჩის** გააქტიურების შედეგად 9:0 გაქცევა მოაწყვეს.

მატჩის დასრულებამდე 6:40 წუთით ადრე **ბურხალტერმა** სამქულიანი გამოიყენა და შვეიცარია პირველად დაწინაურდა (62:61), ამას მოჰყვა დუბასის ზუსტი შორეული ტყორცნა და - 65:63. მალე შვეიცარიელთა ბომბარდირის დუბასისა (14 ქულა) და ქართველთა ლიდერის თორნიკე შენგელიას დუელი ჩვენიანის გამარჯვებით დასრულდა: მეტოქემ თორნიკესთან ორთაბრძოლაში მეხუთე ჯარიმა მიიღო და მოედანი სირენამდე 5:03 წუთით ადრე დატოვა. შენგელიამ ორი საჯარიმო გამოიყენა, თანაგუნდელები 68:67 დააწინაურა და მას მერე შვეიცარია წინ აღარ გასულა. მატჩის დასრულებამდე 2:06 წუთით ადრე ტაბლოზე 73:73 ეწერა. მას მერე ჯერ შენგელიამ ჩააგდო ორქულიანი, შემდეგ **ბაქრაძემ, დვალიშვილმა** და ერთწუთიან მონაკვეთში 6:0 გაქცევამ ქართველებს პირველი მატჩი მოაგებინა.

■ ■ ■

დავით უსტიაშვილის გუნდმა შვეიცარიელებს რეალიზებულ ორქულიანებშიც აჯობა (25:20), საჯარიმოებშიც (23:10)... ჩვენი მეტოქე კი ძირითადად სამქულიანებით ცდილობდა დანაკლისის ანაზღაურებას - 8 შორეული ტყორცნა გამოიყენა, მაშინ, როცა ქართველებმა 3 სამიანი ჩააგდეს. მართალია, მოხსნების საერთო რაოდენობაში დიდი სხვაობა არ დაფიქსირებულა, მაგრამ ჩვენი მწვრთნელის წიგნაკში, ალბათ, წითელი ხაზით მოინიშნება ქართველთა ფარზე შვეიცარიელების 17 მოხსნა, მაშინ, როცა „კერკეტმა კაკლებმა" საკუთარზე უფრო ნაკლები მოხსნეს - 15. ასევე წითელი კალმით, ოღონდ დადებითი კუთხით უნდა აღინიშნოს შენგელიას მიერ ჩაგდებული 31 ქულა.

■ ■ ■

დღეს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს უფრო მძიმე ბრძოლა ელის - ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ მაკედონიას ეთამაშება.



**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| მაკედონია-პოლონეთი | 71:74 |
| რუმინეთი-ესტონეთი | 50:85 |

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ესტონეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 2. საქართველო | 1 | 1 | 0 | 2 |
| 3. პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 4. მაკედონია | 1 | 0 | 1 | 1 |
| 5. შვეიცარია | 1 | 0 | 1 | 1 |
| 6. რუმინეთი | 1 | 0 | 1 | 1 |

**დღეს**

| | |
|---|---|
| 17:00 | პოლონეთი-რუმინეთი |
| 18:15 | ესტონეთი-შვეიცარია |
| 22:45 | საქართველო-მაკედონია |

**14 ივლისი**

## საქართველო-შვეიცარია 82:74

15:13, 18:20, 24:20, 25:21

| | მოთამაშე | წუთი | თ.ტ. | % | 2ქ | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.დაც. | მ.შეტ. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4 | ბაქრაძე | 29 | 2/3 | 66.7 | 2/3 | 66.7 | 0/0 | 0.0 | 2/4 | 50.0 | 0 | 3 | 3 | 5 | 8 | 3 | 0 | 3 | 6 |
| *6 | ჩიკვილაძე | 22 | 5/10 | 50.0 | 3/3 | 100.0 | 2/7 | 28.6 | 4/6 | 66.7 | 3 | 2 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 16 |
| *7 | შენგელია | 27 | 9/15 | 60.0 | 9/12 | 75.0 | 0/3 | 0.0 | 13/14 | 92.9 | 0 | 6 | 6 | 2 | 4 | 1 | 2 | 5 | 31 |
| 9 | ბეჟაური | 3 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| *10 | ბოძოლიშვილი | 17 | 0/3 | 0.0 | 0/3 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 11 | თენიეშვილი | 21 | 2/2 | 100.0 | 2/2 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 | 4 |
| 12 | ლეჟავა | 11 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 |
| 13 | სანაძე | 20 | 2/7 | 28.6 | 1/4 | 25.0 | 1/3 | 33.3 | 3/3 | 100.0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 0 | 1 | 8 |
| 14 | რევაზაშვილი | 15 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 2 |
| *15 | დვალიშვილი | 35 | 7/9 | 77.8 | 7/9 | 77.8 | 0/0 | 0.0 | 1/4 | 25.0 | 2 | 6 | 8 | 0 | 1 | 3 | 1 | 3 | 15 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 3 | 1 | 4 | | 0 | | | 0 | |
| ჯამი | | | 28/ 52 | 53.8 | 25/ 37 | 67.6 | 3/ 15 | 20.0 | 23/31 | 74.2 | 9 | 24 | 33 | 10 | 20 | 11 | 3 | 20 | 82 |

| | მოთამაშე | წუთი | თ.ტ. | % | 2ქ | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.დაც. | მ.შეტ. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ჟაუნინი | 30 | 3/4 | 75.0 | 2/2 | 100.0 | 1/2 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 3 | 2 | 5 | 3 | 3 | 3 | 0 | 2 | 8 |
| 5 | პერმანი | 5 | 1/2 | 50.0 | 0/1 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| *7 | სტევანოვიჩი | 25 | 4/11 | 36.4 | 3/7 | 42.9 | 1/4 | 25.0 | 1/1 | 100.0 | 2 | 0 | 2 | 1 | 3 | 0 | 0 | 2 | 10 |
| *8 | ლუისანი | 19 | 2/7 | 28.6 | 2/5 | 40.0 | 0/2 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 4 |
| 9 | კოლუდროვიჩი | 6 | 1/2 | 50.0 | 1/1 | 100.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 2 |
| 10 | დუბასი | 15 | 5/10 | 50.0 | 4/9 | 44.4 | 1/1 | 100.0 | 3/5 | 60.0 | 2 | 3 | 5 | 0 | 4 | 0 | 0 | 5 | 14 |
| *11 | შტეინმანი | 14 | 1/3 | 33.3 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 3/4 | 75.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 5 |
| *12 | ბოზოვიჩი | 28 | 2/9 | 22.2 | 2/6 | 33.3 | 0/3 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 4 | 2 | 6 | 0 | 2 | 0 | 0 | 4 | 5 |
| 13 | ბურხალტერი | 11 | 2/3 | 66.7 | 1/1 | 100.0 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 5 |
| *14 | ზივანოვიჩი | 26 | 2/7 | 28.6 | 2/7 | 28.6 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 2 | 3 | 5 | 0 | 2 | 0 | 1 | 3 | 5 |
| 15 | ფონგე | 21 | 5/6 | 83.3 | 2/2 | 100.0 | 3/4 | 75.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 3 | 0 | 1 | 13 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 3 | 1 | 4 | | 0 | | | 0 | |
| ჯამი | | | 28/ 64 | 43.8 | 20/ 44 | 45.5 | 8/ 20 | 40.0 | 10/17 | 58.8 | 17 | 15 | 32 | 11 | 23 | 9 | 1 | 25 | 74 |

შენიშვნა: თ.ტ - თამაშიდან ტყორცნები, 2ქ - ორქულიანი, 3ქ - სამქულიანი, 1ქ - საჯარიმო, მ.დაც - მოხსნა დაცვაში, მ.შეტ - მოხსნა შეტევაში, მ.სულ - მოხსნა სულ, პ - პასი, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ფ - ფოლი, ქ - ქულა

## სუპერლიგა. ქუთაისი



# ქუთაისის აისი

## ...მათიაშვილიც და დათო ბარბაქაძეც

ქართული კლუბები ნელ-ნელა ევროპულ საკალათბურთო კალაპოტს ერგებიან: თუ შარშან ამ დროს ერთ გუნდსაც არ ჰქონდა სამომავლო მონახაზი შედგენილი, წლეულს „სოხუმმა" და „არმიამ" უკვე ჩამოაყალიბეს მომავლის გეგმები. მათ მსგავსად სუპერლიგის სხვა კლუბებიც სატრანსფერო მიდი-მოდიში ჩაებნენ. აქტიურობს „ქუთაისი", რომელმაც მართალია, ბუბა კვიმსაძე „არმიას" დაუთმო, მაგრამ არანაკლები შევსება მიიღო - დაიმატა დავით ბარბაქაძე, რომელიც გასულ სეზონში შსს-ს ღირსებას იცავდა, ხოლო წინა წლებში თსუ-ში გამოდიოდა. ქუთათურებმა ცენტრის პოზიციაზე საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული კალათბურთელი, რიჩარდ მათიაშვილი შეიმატეს, რომელმაც შარშან თსუ-სთან ერთად სუპერლიგის ვერცხლი მოიგო.

გასულ სეზონში „ქუთაისში" „ლეგიონერებიც" ირჯებოდნენ - რეზო დიდია, გიგი ბარბაქაძე და ლევან ცეკვავა. როგორც გუნდის თავკაცმა მალხაზ კოხრეიძემ გვითხრა, მათი დარჩენაც გადაწყვეტილია.

- რეზო დიდიასთან, გიგი ბარბაქაძესთან და გოგა ცეკვავსთან ხელახალი კონტრაქტები გავაფორმეთ. მათ გასულ სეზონში დიდი დახმარება გაგვიწიეს და გვინდოდა, მომავალი ჩემპიონატისთვისაც დაგვეტოვებინა. ამის სურვილი თავადაც გამოთქვეს.

**- დათო ბარბაქაძისა და რიჩარდ მათიაშვილის ტრანსფერის საკითხი რა სტადიაშია?**

- გადაწყვეტილია, რომ გაისად ისინიც „ქუთაისში" ითამაშებენ.

**- შემადგენლობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სუპერლიგაში მოკრძალებული მიზნები არ გექნებათ...**

- ჩვენი მთავარი ამოცანა ქუთაისში კალათბურთის ღირსეულად დაბრუნებაა, მიზანი - ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება. ვეცდებით, ჩვენი თამაშით საქართველოს ჩემპიონატი გავალამაზოთ.

**- „აღმოსავლელ ლეგიონერებს", ალბათ, ახალგაზრდა ქუთათურები დაეხმარებიან.**

- რამდენიმე კალათბურთელმა გასულ სეზონშიც დაგვანახა, რომ მათზე დაყრდნობა შეიძლება. ფარქვეშ კარგად ირჯებოდა ავთანდილ ლომინაშვილი, ხოლო თემურ ბაბუნაშვილმა გასული სეზონი ტრავმის შემდეგ რეაბილიტაციას მოანდომა და ჩემპიონატის ბოლოს ფორმაშიც შევიდა. იგი ასაკის მიუხედავად მეტად გამოცდილია - რუსეთის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის (16 წლამდე) ფინალი აქვს ნათამაშები. უფრო უმცროსებსაც მივცემთ თავის გამოჩენის საშუალებას - 18-წლამდელთა ნაკრების წევრებს გიორგი ცირეკიძესა და ლევან გრძელიძეს.

**- გასულმა სეზონმა, ალბათ მომავლის გზა გამოკვეთა...**

- მართლაც ბევრი რამ დავინახეთ: ზოგ ეპიზოდში ევროპული კალათბურთი ვითამაშეთ, იყო ჩავარდნებიც, თუმცა მთავარი ისაა, რომ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ „ქუთაისი" საკალათბურთო ელიტას დაუბრუნდა. ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენს ქალაქში ბავშვთა კალათბურთი კიდევ უფრო განვითარდეს და ტალანტების ძველი სამჭედლო სრულყოფილად ამოქმედდეს.

| I წრე | |
|---|---|
| ქუთაისი-ენერჯი | 72:77 |
| არმია-ქუთაისი | 78:82 |
| ქუთაისი-სტუ | 87:75 |
| შსს-ქუთაისი | 90:86 დ.დ. |
| ქუთაისი-აგრარული | 80:67 |
| სოხუმი-ქუთაისი | 66:91 |
| ქუთაისი-სამედიცინო | 81:76 |
| დინამო-ქუთაისი | 56:103 |
| ქუთაისი-ბათუმი | 87:98 |
| თსუ-ქუთაისი | 63:86 |
| **II წრე** | |
| ენერჯი-ქუთაისი | 57:70 |
| ქუთაისი-არმია | 48:65 |
| სტუ-ქუთაისი | 66:95 |
| ქუთაისი-შსს | 81:68 |
| აგრარული-ქუთაისი | 67:73 |
| ქუთაისი-სოხუმი | 82:81 |
| სამედიცინო-ქუთაისი | 93:70 |
| ქუთაისი-დინამო | 93:70 |
| ბათუმი-ქუთაისი | 65:80 |
| ქუთაისი-თსუ | 100:82 |
| **1/4 ფინალი** | |
| ქუთაისი-სამედიცინო | 95:88 |
| სამედიცინო-ქუთაისი | 75:83 |
| **1/2 ფინალი** | |
| თსუ-ქუთაისი | 97:64 |
| თსუ-ქუთაისი | 75:87 |
| ქუთაისი-თსუ | 66:77 |
| ქუთაისი-თსუ | 74:80 |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| ქუთაისი-სოხუმი | 91:84 |

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასი

# პატარა საქართველო შორეულ მასტერტონში

ახალ ზელანდიაში „როუდ შოუ" გრძელდება. მსოფლიოს თასმა, რომელიც ამ ქვეყნის იმ ქალაქებში მოგზაურობს, სადაც მომავალი ბატალიები გაიმართება, მასტერტონში ჩაალწია.

მასტერტონი ახალი ზელანდიის ჩრდილოეთ კუნძულის სამხრეთში მდებარეობს. საქართველოს ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელიც ამ პატარა ქალაქში იცხოვრებს. „ბორჯღალოსნები" მასტერტონელების სტუმართმოყვარეობით შვიდი დღის განმავლობაში, 19 სექტემბრიდან 26 სექტემბრამდე ისარგებლებენ.

აღსანიშნავია, რომ პალმერსთონი, სადაც ჩვენი ეროვნული გუნდი ორ შეხვედრას გამართავს რუმინეთისა და არგენტინის ნაკრებებთან, მასტერტონიდან 70 კილომეტრითაა დაშორებული. ყოველივე ამის გამო ამ ქალაქის მკვიდრებმა საქართველოს ნაკრების ქომაგობა განიზრახეს და გულშემატკივართა კლუბიც შექმნეს.

ვებ ელისის თასის სტუმრობამ ქალაქის მცხოვრებლების დიდი ინტერესი გამოიწვია. მიმდინარე „როუდ შოუზე", თასის სანახავად აქ ყველაზე მეტი ქომაგი მივიდა. მასტერტონელებმა ორგანიზატორების თხოვნა გაითვალისწინეს და ღონისძიებაზე საქართველოს ნაკრების ფერებში გამოწყობილი მივიდნენ. ბევრი მათგანი ქართულ დროშასაც აფრიალებდა.

მსოფლიოს თასისთვის მოწყობილი სპეციალური შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე კი, მზარეულები სტუმრებს ქართული კუპატით უმასპინძლდებოდნენ. მათ შორის ოცდათზე მეტი ჯორჯი და ჯორჯია აღმოჩნდა. ყველაზე ეფექტური ჩაცმულობის კონკურსში კი და-ძმა **ჯესი** და **ტომ პარკერებმა** გაიმარჯვეს და საჩუქრად ორი მატჩის ბილეთები გადაეცათ.









მეტოქეები



# პომებმა ერთი ეტაპი გაიარეს

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქემ, ინგლისის ეროვნულმა გუნდმა მზადების პირველი ეტაპი დაასრულა. „პომების" თავკაცის **მარტინ ჯონსონის** განკარგულებაში 45 მორაგბე იყო. მეორე ეტაპი, როგორც პირველი, ისევ ფიზიკური კონდიციების დახვეწას დაეთმობა და ერთი კვირის თავზე დაიწყება.

აღსანიშნავია, რომ ინგლისის ნაკრები მომავალ მსოფლიოს თასზე ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მოიაზრება. გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში რამდენიმე ახალი მორაგბეა, რომელთაგან ბოლო ხანს ყველაზე გამორჩეული სამხრეთაფრიკული წარმოშობის მეორეხაზელი **მარიუს ბოთაა,** რომელსაც ინგლისის ჩემპიონატში „სარასენზის" გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის.

ინგლისელებმა, როგორც უკვე ვთქვით, დიდი ყურადღება ფიზიკურ მომზადებას დაუთმეს. წვრთნის პროცესში ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა საჭიდაო ხალიჩაზე ბოჭვების ილეთების დახვეწა იყო.

*„ვგრძნობ, რომ საუკეთესო ფორმაში ვიმყოფები. კლუბში შესანიშნავი სეზონი მქონდა. ნაკრებშიც ამიტომ გამომიძახეს. აქ ისეთი მდგომარეობაა, რომ რაც აქამდე გითამაშია, არაფერს ნიშნავს, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან იწყება და ყველა, ტიტულოვანიც და უტიტულოც თავდაუზოგავად ირჯება.*

*ამაყი ვარ, რომ მარტინ ჯონსონთან მუშაობამ მომიწია. მისი თამაში მუდამ აღმაფრთოვანებდა, სულ მინდოდა მისთვის მიმებაძა. როგორც მწვრთნელიც, ის შესანიშნავია და ყველაფერს აკეთებს გუნდი ისე მოამზადოს, რომ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეძლოს"* - თქვა მარიუს ბოთამ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები „პომებს" 18 სექტემბერს დანიდინში დაუპირისპირდება.

### ინგლისის ნაკრები

**შერკინება: მორის ბოთა, ჯორჯ ჩატერი, დენ კოლი, ალექს კორბისერო, ტომ კროფტი, ლუის დეკონი, პაულ დორან ჯოუნზი, ნიკ ისტერი, ჰენრი ფური, დილან ჰარტლი, ჯეიმზ ჰესკელი, კორტნი ლოუ, ლი მირსი, ლუის მუდი, ტომ პელმერი, ტიმ რაიანი, კრის რობშოუ, საიმონ შოუ, ანდრიუ შერიდანი, მეთ სტივენსი, სტივ თომსონი, თომ ვალდრომი, დევიდ ვილსონი, ტომ ვუდი, ჯო ვორსლი.**

**უკანა ხაზი: დელონ ერმითიჯი, კრის ეშტონი, მეთ ბანაჰანი, დენ კერი, მარკ კუეტო, ტობი ფლუდი, რიკუ ფლატი, ბენ ფოდენი, შონთაი ჰეპი, ჩარლი ჰოჯსონი, უგო მუნი, ჩარლი შარპი, ჯო სიმპსონი, ჯეიმზ სიმპსონ-დენიელი, დევიდ დტრიტლი, მაიკ თინდოლი, მანუ ტულიგაი, რიჩარდ ვიგლსვორსი, ჯონი ვილკინსონი, ბენ იანგზი.**

### მსოფლიოს თასი

| |
|---|
| **14 სექტემბერი** |
| საქართველო-შოტლანდია |
| **18 სექტემბერი** |
| საქართველო-ინგლისი |
| **28 სექტემბერი** |
| საქართველო-რუმინეთი |
| **2 ოქტომბერი** |
| საქართველო-არგენტინა |

მსოფლიოს თასი

# გეთლენდმა შვიდი გამორიცხა

მზადების პირველი ეტაპი დაასრულა უელსის ნაკრებმაც, რის შემდეგაც მთავარმა მწვრთნელმა **უორენ გეთლენდმა** გუნდის 42-კაციანი სია 35-მდე შეამცირა.

უკვე გადაწყდა, რომ მსოფლიოს თასის მიღმა დარჩნენ ვეტერანები **ენდი პაუელი, ჯონათან ტომასი** და **რიჩი რისი.** ახალი ზელანდიისკენ ვერ გაიკაფეს გზა ახალგაზრდებმა **ენდრიუ ბიშოპმა, კენ ოუენსმა, ჯონ იაპმა, სკოტ ენდრიუსმა** და **ლი რიდტმა.**

მზადების მეორე ეტაპი ისევ პოლონურ სპალაში გაიმართება, რომლის დამთავრების შემდეგაც გეთლენდი ახალ ზელანდიაში წამსვლელთა ვინაობას დაასახელებს.

მსოფლიოს თასის დაწყებამდე უელსის ნაკრები სამ საწვრთნელ მატჩს გამართავს.

**უელსის ნაკრები:** გეთლინ ჯენკინსი, ლიოდ ბარნსი, ჰიუ ბენეტი, რაიან ბენიგტონი, ადამ ჯოუნზი, პოლ ჯეიმზი, მეთიუ რისი, კრეიგ მიტჩელი, ბრედლი დევისი, სემ ვერბარტონი, მარტინ ვილიამსი, ლუკ ჩარტერისი, დენი ლაედიტი, ტობი ფლუტი, რაიან ჯოუნზი, ალუნ ვინ ჯოუნზი, ჯასტინ ტიპურისი, ჯოშ ტურუნბული, რობ მაკკუსკერი, მაიკლ ფილიპსი, ლოიდ ვილიამსი, ტევის კნოლი, ჯიმი რობერტსი, ჯეიმზ ჰუკი, ჯონათან დევისი, სტივენ ჯოუნზი, რის პრისტლენდი, სკოტ ვილიამსი, გევინ ჰენსონი, ლეიგ ჰალპფენი, ლი ბირნი, ალედ ბრეუ, შეინ ვილიამსი, ჯორჯ ნორსი, მრგან სტოდდარტი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

კევენდიში სპრინტის მეფეა




# კევენდიშის ჰეთთრიკი

პირენეის მთებამდე ბოლო ეტაპი წინას ძალიან ჰგავდა. ისევ შედარებით მოკლე დისტანცია, სუსტი რელიეფი და იდეალური პირობები სპრინტერებისთვის.

რა თქმა უნდა, ისევ ვიხილეთ გაქცევა - პელოტონს დაშორდნენ ფრანგები **ტრისტან ვალენტინი, მიკაელ დელაჟი, ჯიმი ენოლვენი**, ესპანელი **რუბენ მორენო** და ჰოლანდიელი **ლარს ბომი**, რომელიც ასეთი ტიპის რბოლებისას არის აქტიური. სწორედ მან აილო მაქსიმალური პრემია მესამე კატეგორიის მთაზე.

ამ ამაღლების გადალახვის შემდეგ გაქცეულები ოთხი წუთით დაშორდნენ პელოტონს. ეტაპის მსვლელობისას წვიმდა, ველომრბოლები ძალიან აკურატულად მოძრაობდნენ დაშვებისას და ერთი პირობა პელოტონი ორ ნაწილად გაიყო, მაგრამ სწორ მონაკვეთზე ისევ ერთ ჯგუფად შეიკრა და შეტევაზე გადავიდა. არც ლიდერები აპირებდნენ დანებებას, მაგრამ ფინიშამდე 50 კილომეტრით ადრე მათმა უპირატესობამ კლება დაიწყო, ხოლო მეოთხე მთის გადალახვის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ფინიში სპრინტერული იქნებოდა.

თუმცა ბოლოსკენ იყო კიდევ ერთი გაბრძოლება, კერძოდ, ბომმა სოლო იერიში წამოიწყო და მაქსიმალურად ეცადა ფინიშამდე მარტო მისულიყო, მაგრამ ორი კილომეტრით ადრე ისიც დანებდა და სპრინტერულმა გუნდებმა ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევა დაიწყეს.

პირველი საფინიშო სწორზე „სქაის" ნევრები გავიდნენ თავიანთი ლიდერით **ევალდ ბოასონ ჰაგენით**. კევენდიშმა, ისევე როგორც წინა დღეს, ოდნავ ადრე შეუტია, მაგრამ ამჯერად **ანდრე გრაიპელი** ვერ ჩაუდგა კვალში ბრიტანელს და მეორე შედეგით დაკმაყოფილდა. რევანში ძალიან დამაჯერებელი გამოვიდა და კევენდიშმა ამ ტურზე უკვე მესამე ეტაპი მოიგო. ამავე ეტაპის შემდეგ ბრიტანელმა მწვანე მაისურა მოიპოვა, რომელსაც ცოტა ხნით ადრე დამაჯერებლად ფლობდა **ფილიპ ჟილბერი**.

შემდეგ ეტაპზე კი სცენაზე ტურის ნამდვილი ფავორიტები გამოვლენ. ველომრბოლებს ცნობილ ტურმალეზე ასვლა მოუწევთ და სავარაუდოდ, ამჟამინდელ ლიდერს **ტომას ვიოკლერს** ყვითელი მაისურის დათმობა მოუწევს. ლიდერობის მოპოვების ყველაზე კარგი შანსი აქვთ **კეიდელ ევანსსა** და ძმებ **შლეკებს**.

**XI ეტაპი. 167 კმ**

1. **მარკ კევენდიში** (ბრიტ, THR) - 3.46,07; 2. **ანდრე გრაიპელი** (გერ, OLO) - იგივე დრო; 3. **ტაილერ ფარარი** (აშშ, GRM) - იგივე დრო; 4. **დენის გალიმზიანოვი** (რუს, KAT) - იგივე დრო; 5. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორ, SKY) - იგივე დრო; 6. **რომან ფეიუ** (საფ, VCD) - იგივე დრო... 29. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 33. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - იგივე დრო... 36. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - იგივე დრო...47. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - იგივე დრო... 50. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - იგივე დრო... 52. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - იგივე დრო... 75. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - იგივე დრო... 81. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - იგივე დრო; 82. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 86. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - იგივე დრო... 96. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - 45.52,39; 2. **ლუის ლეონ სანჩესი** (ესპ, RAB) - +1,49; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +2,26; 4. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +2,29; 5. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - +2,37; 6. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - +2,38... 8. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - +2,43... 11. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +3,36; 12. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +3,37... 16. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +4,07... 20. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +5,01... 35. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +7,16...

ოლიმპიზმი

# როგე ახალ სენზე ლაპარაკობს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** განაცხადა, რომ კორუფცია და ჩაწყობილი მატჩების ორგანიზება სპორტისთვის ისეთივე სახიფათო სენია, როგორც აქამდე დოპინგი იყო. სოკ-ის ხელმძღვანელმა მოუწოდა სპორტულ საზოგადოებას, ყველა დონეზე ებრძოლონ ამ პრობლემას.

*„აქამდე სპორტში ნომერ პირველი პრობლემა დოპინგი იყო. ახლა კი მორიგი სერიოზული საფრთხე გამოჩნდა - ეს არის კორუფცია. დღევანდელი გაზეთები სავსეა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მომხდარი სკანდალებით, რომელიც ჩაწყობილ მატჩებსა და არალეგალურ ფსონებს უკავშირდება. ჩვენ ყველა დონეზე უნდა ვებრძოლოთ ამ მოვლენას და ეს ადგილობრივ მთავრობებთან ერთად უნდა გავაკეთოთ"*, - ამბობს როგე სააგენტო AP-სთან კომენტარში.

შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში რამდენიმე ქვეყანაში მოხდა კორუფციული სკანდალი. სამხრეთ კორეაში დააპატიმრეს 70 ადამიანი, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ქვეყნის უმაღლეს საფეხბურთო ლიგის მატჩების ჩაწყობაში. ანალოგიურ საქმეზე თურქეთში დააკავეს ორი წამყვანი კლუბის - „ფენერბაჰჩესა" და „ტრაბზონსფორის" პრეზიდენტები. იაპონიაში დაახლოებით ოცამდე სუმოისტი და მწვრთნელი ჩამოაშორეს სპორტს განზრახ წაგებული ორთაბრძოლების გამო.

კალათბურთი. ახალი ამბები

# სუპერმენს ჩინეთი ურჩევნია

სახელგანთქმულმა იტალიელმა კალათბურთელმა **გრეგორ ფუჩკამ** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ვეტერანი მოთამაშე დიდი ხანია არ გამოჩენილა დიდ არენაზე და, შესაძლოა, ბევრს ის წასული ეგონა დიდი კალათბურთიდან, მაგრამ ბოლო ორი წელი ფუჩკა იტალიის მეორე დივიზიონში მოკრძალებული „პისტოიას" ღირსებას იცავდა. ერთი თვის შემდეგ იტალიელი 40 წლის გახდება.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინ წარმოშობით სლოვენიელი ცენტრი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მაღალი კალათბურთელი იყო. უმეტესწილად სწორედ მისი წყალობით მოიგო 1999 წელს იტალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი, „ბარსელონამ" 2003 წელს ევროლიგის ტიტული, ხოლო დღეს მოკრძალებულმა „ხირონამ" ორჯერ ესპანეთის ჩემპიონატი. მოკლედ, ფუჩკა დიადი კალათბურთელი იყო და შეიძლება NBA-შიც წარმატებული კარიერა ჰქონოდა.

■ ■ ■

ცუდი სამსახური გაუწია „ბეშიქთაშს" ერთ-ერთმა თურქმა კალათბურთელმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა. ანონიმმა HoopsHype-ისთვის მიცემულ ინტერვიუში „ბეშიქთაშს" თურქეთის ყველაზე ცუდი გადამხდელი კლუბი უწოდა. უცნობმა კალათბურთელმა დაამშვიდა პუბლიკა - NBA-ის ვარსკვლავი, „ნიუ ჯერსის" გამთამაშებელი **დერონ უილიამსი** თავის კუთვნილ 5-მილიონიან ხელფასს უპრობლემოდ მიიღებს, სამაგიეროდ, ცუდ დღეში აღმოჩნდებიან მისი თანაგუნდელები, რომლებსაც საკუთარი ფულის მიღება სასამართლოს გზით მოუწევთ - ეს „ბეშიქთაშში" ერთგვარი ტრადიციაა. *„სწორედ ეს არის პასუხი კითხვაზე - ყოველთვის სოლიდური შემადგენლობის მქონე „ბეშიქთაში" რატომ ვერ იგებს ტიტულს თურქეთსა თუ ევროპაში"* - დაასრულა ინტერვიუ თურქული კლუბის კეთილის მსურველმა.

■ ■ ■

„ნიუ ჯერსი ნეტსის" კიდევ ერთმა პლეიმეიკერმა **ჯორდან ფარმარმა** გამოთქვა ოკეანის გაღმა თამაშის სურვილი, ოღონდ აუცილებლად ისრაელის ლიგაში. მცველის ეს არჩევანი გასაგებია - ფარმარი ებრაელია და მისი აღმზრდელი მამინაცვალი ისრაელის მოქალაქე გახლავთ.

■ ■ ■

სარეკლამო საქმეების მოსაგვარებლად არის ჩასული ესპანეთში „ორლანდოს" სუპერცენტრი **დუაიტ ჰოვარდი**, რომელმაც, დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად, ამ ქვეყნის ჩემპიონატში თამაშის სურვილი გამოთქვა. თავისთავად ეს სურვილი გასაკვირი არ იქნებოდა, „სუპერმენს" სავარაუდო კლუბად „უნიკახა" რომ არ აერჩია. ჰოვარდმა სიტყვა სიტყვით ასეთი რამ განაცხადა: *„კარგი იქნებოდა თუ მსგავსი დიადი ტრადიციების გუნდს ახალი ტიტულების მოპოვებაში დავეხმარები"*. როგორც ჩანს, დუაიტი შეცდომაში შეიყვანეს, თორემ არ შეიძლება „დიადი ტრადიციები" ეწოდოს ერთხელ ესპანეთის ჩემპიონატისა და ერთხელ კორაჩის თასის მოგებას. თუ ჰოვარდს უთხრეს, რომ ანდალუსიის თასი ევროპის უმთავრესი ტურნირია, მაშინ ყველაფერი წესრიგშია - „უნიკახას" ეს ტურნირი ექვსჯერ აქვს მოგებული.

თუმცა ამ ამბის ნაკლებად გვჯერა, როცა ვკითხულობთ ჰოვარდის სიტყვებს უფრო ავტორიტეტული გამოცემის - „მარკას" ფურცლებზე. იქ დუაიტმა მკაფიოდ განაცხადა - თუ ევროპასა და ჩინეთს შორის მოუწია არჩევანის გაკეთებამ, უპირატესობას აღმოსავლეთს მიანიჭებს. *„ჩინეთს აშკარა უპირატესობა აქვს"*, - განაცხადა ორლანდოელმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რაში მდგომარეობს ეს უპირატესობა.

■ ■ ■

ვებგვერდმა ProBasketballNews.com-მა გამოაქვეყნა იმ მოთამაშეების სია, რომლებიც უახლოეს პერიოდში გადავლენ ევროპაში სათამაშოდ. ამ ჯგუფში შედიან - **ბრენდონ ჯენინგსი, უილ ბინუმი, კარლოს აროიო**, 2011 წლის დრაფტის ახალბედა **ჯერემი ტაილერი** და ევროპული საკლუბო კალათბურთის ყოფილი ვარსკვლავი **ენტონი პარკერი**.

სავარაუდოდ, ამ სიაში შეიძლება მოხვდეს „ფინიქსის" ფრანგი ფორვარდი **მიკაელ პიეტრუსი**. იგივე ProBasketballNews.com წერს, რომ ამ კალათბურთელს თურქული კლუბი ეპატიჟება, რომლის სახელი ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა. ასევე მოთამაშეზე პრეტენზიას სამი ესპანური გუნდი აცხადებს.

■ ■ ■

„ფილადელფიის სიქსერზს" ახალი მფლობელი ჰყავს. ბიზნესმენების ჯგუფმა მილიარდერ **ჯოშუა ჰარისის** მეთაურობით კლუბი 290 მილიონ დოლარად შეიძინა. წინა მეპატრონე **ედ სნაიდერი** შეინარჩუნებს აქციათა 10 პროცენტს, მაგრამ მონაწილეობას არ მიიღებს კლუბის მართვაში. ამ გარიგებაში არ შესულა „ფილადელფიას" საშინაო არენა - Wells Fargo Center.


გრეგორ ფუჩკა

კრივი

# კოცნა პრესკონფერენციაზე

არგენტინელმა მოკრივემ **უგო გარაიმ** თავისი მომავალი მეტოქის, გერმანელი **მარკო ჰუკის** კოცნა სცადა. ეს ამბავი გუშინ მიუნხენში ოფიციალური პრესკონფერენციის დროს მოხდა, რომელიც ჰუკისა და გარაის ბრძოლას მიეძღვნა. ეს ჩხუბი 16 ივლისს უნდა გაიმართოს. გარაის მცდელობას კინაღამ საპრესკონფერენციო დარბაზში ჩხუბი მოჰყვა.

მოკრივეები დროულად გააშველეს, რის შემდეგაც გარაიმ ჟესტებით უჩვენა გერმანელს, რომ მას რინგზე ყელს გამოჭრის. კოცნის მცდელობამდე არგენტინელმა რამდენჯერმე შეურაცხყოფა მიაყენა ჰუკს. გერმანელმა მეტოქის საქციელს სასაცილო უწოდა და სამაგიეროს რინგზე გადახდას დაჰპირდა.

გარაისთან ბრძოლაში ჰუკი 90,9-კილოგრამამდე წონით კატეგრიაში WBO-ის ტიტულს დაიცავს. სულ 26 წლის გერმანელს პროფესიულ რინგზე 33 ბრძოლა აქვს გამართული, აქედან 32 მოიგო (23 - ნოკაუტით) და ერთხელ დამარცხდა.


უგო გარაი

30 წლის გარაის სტატისტიკა 39 ბრძოლას, 34 გამარჯვებასა (18 - ნოკაუტით) და ხუთ წაგებას ითვლის.

■ ■ ■

სკანდალური გაგრძელება ჰქონდა **პოლ უილიამსისა** და **ელირსლანდი ლარას** შორის შაბათს გამართულ შეხვედრას. გაურკვეველი ვადით დისკვალიფიკაცია მიიღო ყველა არბიტრმა, რომელიც ამ ბრძოლას ემსახურებოდა. დისკვალიფიკაციის მიზეზი გახდა მსაჯების საკამათო გადაწყვეტილება, რომლებმაც ქულებით უილიამსს მიანიჭეს გამარჯვება. ბევრის აზრით, ამ ჩხუბში მოგებას ლარა იმსახურებდა.

შეხვედრას სჯიდნენ **დონალდ გივენსი, ჰილტონ უიტაკერი** და **ელ ბენეტი**. გივენსმა და უიტაკერმა გამარჯვება უილიამსს მიანიჭეს (116:114 და 115:114), ბენეტმა კი საყაიმო ანგარიში დააფიქსირა - 114:114. ბრძოლა 9 ივლისს ატლანტიკ-სიტიში გაიმართა.

ნიუ ჯერსის შტატის საკონტროლო საბჭოს კომისიამ საქმის გასარჩევად მსაჯები მიიწვია და მათთან ერთად უყურა ბრძოლის ვიდეოჩანაწერს. საბჭოს წევრებმა არბიტრების საქციელში არაპროფესიონალიზმი და მიკერძოება ვერ შენიშნეს, მაგრამ იმ აზრამდე მივიდნენ, რომ მსაჯობა სათანადო დონეზე არ იყო.

კომისიის განცხადებაში წერია, რომ მას არ შეუძლია ბრძოლის შედეგის გაუქმება ან მატჩ-რევანშის დანიშვნა. იმავდროულად, განცხადებაში აღნიშნულია ისიც, რომ განმეორებითი ბრძოლა შეიძლება მაინც დაინიშნოს, თუმცა არ ზუსტდება ვინ უნდა იყოს მისი ორგანიზატორი. რაც შეეხება არბიტრებს, ისინი კარიერას „დამატებითი ვარჯიშების" შემდეგ განაახლებენ.

ამერიკელ უილიამსსა და კუბელ ლარას შორის ბრძოლა 69,9-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში იმართებოდა. უილიამსი შარშან მსოფლიოს ჩემპიონი იყო 66,7 კილოგრამში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ESPN-ის დაჯილდოება

# დალასის ტრიუმფით


ნოვიცკი წლის სპორტსმენია

ლოსანჯელესში, „ნოკიას“ თეატრში გაიმართა დაჯილდოების ტრადიციული ცერემონია, რომლის ორგანიზატორია ტელეკომპანია ESPN და მას ESPY award ჰქვია. გამარჯვებული უამრავ ნომინაციაში ვლინდება. ძირითადად, ეს არის ამერიკული სპორტული სეზონის შეჯამება და გამარჯვებულებიც, უმეტესწილად, ამერიკული სპორტის წარმომადგენლები არიან, თუმცა შიგადაშიგ ლაურეატებად სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც გვევლინებიან. მაგალითად, წელს ასეთები იყვნენ ჩოგბურთელი **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი), მოკრივე **მენი პაკიაო** (ფილიპინები) და გოლფისტი **რორი მაკილროი** (ირლანდია).

წლევანდელი ცერემონიის გმირი გახდა NBA-ის ახალი ჩემპიონი „დალას მავერიქსი“. ტექსასური კლუბი წლის საუკეთესო გუნდად დასახელდა, მისი ლიდერი **დირკ ნოვიცკი** საუკეთესო მამაკაცი სპორტსმენია (აგრეთვე NBA-ის საუკეთესო კალათბურთელი), ხოლო „მავერიქსის“ დამრიგებელი **რიკ კარლაილი** - წლის მწვრთნელი.

საუკეთესო ქალი სპორტსმენის ტიტული დაიმსახურა სამთო მოთხილამურემ **ლინდსი ვონმა**, მიუხედავად იმისა, რომ მან წელს მსოფლიოს თასი გადაულოცა გერმანელ **მარია რიშს**.

ESPY award-ს ერთი „ცინცხალი“ გამარჯვებულიც ჰყავდა - წლის საუკეთესო მომენტი ცოტა ხნის წინ დაფიქსირდა, ქალებს შორის ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში. ბრაზილიისა და აშშ-ის ნაკრებთა მატჩში დამატებითი დროის ბოლო წუთზე ამერიკელმა **ები ვამბახმა** გოლი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა, რის შემდეგაც ამერიკელებმა პენალტების სერიაში მოიპოვეს ნახევარფინალის საგზური. სწორედ ვამბახის გოლი გამოარჩიეს ორგანიზატორებმა.

სხვა მნიშვნელოვან ნომინაციებში გამარჯვებულები გახდნენ:

- „საჩემპიონო გამოსვლა“ ჰქონდა ჰოკეის კლუბის „ბოსტონ ბრუინზის“ მეკარეს **ტიმ ტომასს**. „ვანკუვერის“ წინააღმდეგ სტენლის თასის ფინალის შვიდ მატჩში ტომასმა 246 დარტყმიდან 238 მოიგერია.

- კოლეჯის საუკეთესო მოთამაშეა კალათბურთელი **ჯიმერ ფრედეტი**, ვინც NCAA-ში საშუალოდ 28.5 ქულას აგროვებდა. ფრედეტი „შარლოტ ბობკეტსმა“ დრაფტის მეცხრე ნომრად აირჩია.

- წლის საუკეთესო მატჩი ითამაშეს ამერიკული ფეხბურთის გუნდებმა - „ფილადელფია იგლზმა“ და „ნიუ იორკ ჯაიანტსმა“. ფილადელფიელებმა ბოლო შვიდ წუთში 28 ქულა აილეს და 38:31 გაიმარჯვეს.

- ნასკარის „სპრინტის თასის“ ხუთგზის ჩემპიონი ჯიმი ჯონსონი დაასახელეს საუკეთესო ავტომრბოლელად;

- **დიანა ტაურაზი** გახდა ქალთა NBA-ის საუკეთესო მოთამაშე;

- საუკეთესო მოკრივის ტიტული მიილო ფილიპინელმა მენი პაკიაომ;

- ამერიკის ლიას ახალი ჩემპიონი რორი მაკილროი საუკეთესო მეგოლფეა;

- საუკეთესო მამაკაც და ქალ ჩოგბურთელებად აირჩიეს რაფაელ ნადალი და **სერენა უილიამსი**;

- კენტუკის დერბის გამარჯვებული **ჯონ ველასკესი** საუკეთესო ჟოკეი გახდა;

- „ლოს ანჯელეს გელაქსის“ ფორვარდი **ლენდონ დონოვანი** MLS-ის ლიგის საუკეთესო ფეხბურთელია;

- საუკეთესო მძლეოსანია ამერიკელი სპრინტერი **ტაისონ გაი**, ვინც 100 მეტრზე ქვეყნის რეკორდი დაამყარა - 9,69 წამი;

- „მებრძოლი“ (The Fighter) საუკეთესო სპორტული ფილმი გახდა.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| **II საკვ. ეტაპი. I მატჩები** | |
| შახტიორი (ყ)-სტ. პატსი | 2:1 |
| შლიონსკი-დანდი იუნ | 1:0 |
| რადი-ოლიმპიაკოსი (პ) | 0:1 |
| ფლამურტარი-იაბლონეცი | 0:2 |
| კუოპიო-გაზ მეთანი | 1:0 |
| ტაურასი-დენ ჰააგი | 2:3 |
| ისკრა-ვარტექსი | 1:1 |
| რუდარი-ავსტრია (ვ) | 0:3 |
| ტურკუ-ვესტერლო | 0:1 |
| სანტ ჯულია-ბნეი იეჰუდა | 0:2 |
| მინსკი-გაზიანთეფი | 1:1 |
| ფერენცვაროში-ოლესუნდი | 2:1 |
| ჰაკენი-ჰონკა | 1:0 |
| ერებრუ-სარაევო | 0:0 |
| შახტიორი (ს)-ვენტსპილსი | 0:1 |
| ვოლერენგა-მიკა | 1:0 |
| ფლორიანა-აეკ (ლ) | 0:8 |
| მაკაბი (თ-ა)-ხაზარი | 3:1 |
| დიფერდანჟი-ლევადია | 0:0 |
| სტრეიმური-ყარაბახი | 1:1 |
| ტირანა-ტრნავა | 0:0 |
| ოლიმპია-ბოჰემიანსი | 2:0 |
| პაკსი-ტრომსიო | 1:1 |
| სუდუვა-ელფსბორგი | 1:1 |
| ტნს-მიდტიულანდი | 1:3 |
| ვადუცი-ვოივოდინა | 0:2 |
| კეჩმეკეტი-აქტობე | 1:1 |
| იუვენესი-რაბოტნიჩკი | 0:1 |
| მეტალურგსი-ზალცბურგი | 1:4 |
| ვლაჟნია-თუნი | 0:0 |
| ჟელეზნიჩარი-შერიფი | 1:0 |
| კრუზეიდერსი-ფულჰემი | 1:3 |
| სკოპიე-ლოკომოტივი (ს) | 0:0 |
| გლენტორანი-ვორსკლა | 0:2 |
| დომჟალე-სპლიტი | 1:2 |
| ჰაფნარი-ნასიონალი | 1:1 |
| რეიკიავიკი-ჟილინა | 3:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| კარლ ცაისი-ბაიერნი | 0:2 |
| ჰავრი-კაენი | 2:3 |
| შალკე-ანჟი | 3:1 |
| დენ ბოში-იფსვიჩი | 1:3 |
| ლანსი-ოსერი | 1:0 |
| მალიორკა-ლესტერი | 1:1 |
| ხემნიცი-ვერდერი | 0:0 |
| ფენერბაჰჩე-ტვენტე | 3:4 |
| როვერსი-ინვერნესი | 2:2 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კემი-ოულუ | 2:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. შტუტგარტი** | |
| შარდი-**ხირალდო** | 6:1, 5:7 4:6 |
| სტახოვსკი-**დელ ბონისი** | 4:6, 3:6 |
| გარსია ლოპესი-**კუბოტი** | 6:4, 4:6, 3:6 |
| ჰანესკუ-**ჩერვანეკი** | 3:6, 6:7 |
| ფონინი-**შტებე** | 6:7, 4:6 |
| იუჟნი-**ფერერო** | 7:6, 2:6, 2:6 |
| **ATP. ბაშტადი** | |
| რიბა-**ფერერი** | 2:6, 6:7 |
| **WTA. ბად გაშტეინი** | |
| ჰოფმანოვა-**ევტიმოვა** | 6:3, 4:6, 3:6 |
| **მეირ ახლაიტნერი**-მარტიჩი | 6:1, 6:4 |
| ბამერი-**მოისბურგერი** | 2:6, 1:6 |
| **მარტინ. სანჩესი**-ს. ზახვალოვა | 6:4, 6:2 |
| **WTA. პალერმო** | |
| **ზაკოპალოვა**-მიაჩიკა | 7:5, 4:6, 6:3 |
| **ერანი**-პარმენტიე | 7:5, 6:1 |
| ვინჩი-**ბეგუ** | 4:6, 3:6 |

TV პროგრამა

**15 ივლისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** სუპერმატჩი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ლაციო.
**12:00** ტელეჟურნალი - საფეხბურთო სამყარო.
**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ნიურნბერგი. გერმანია (LIVE).
**21:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-ბოლივია. არგენტინა.
**23:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოსტა რიკა. არგენტინა.
**01:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ჩილე-პერუ. არგენტინა.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი.
**10:50** ჩემპიონის გზა. კალათბურთი. ევროლიგა. პანათინაიკოსი-მაქაბი.
**13:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შვედეთის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
**21:15** ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი.
**22:45** ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.
**23:15** ჩემპიონის გზა. კალათბურთი. ევროლიგა. პანათინაიკოსი-ბარსელონა.

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**23:00** რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ლიდსი-ჰალი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**18:00** გოლფი. ბრიტანეთის ღია პირველობა (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**13:00** WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ბად-გაშტეინი. ავსტრია (LIVE).
**16:30** ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
**22:00** ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**03:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-კონექტიკუტი (LIVE).

**SPORT+**

**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).

**EUROSPORT**

**15:55** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ეტაპი (LIVE).
**19:45** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (23-წლამდელები). II დღე. ოსტრავა. ჩეხეთი (LIVE).
**23:00** პროფესიული კრივი. სუპერსაშუალო წონა. სემ სოლიმანი (ავსტრალია)-ბენჯამინ საიმონი (გერმანია). გერმანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**12:30** სნუკერი. მსოფლიოს თასი. ბანგკოკი. ტაილანდი (LIVE).
**14:30** ავსტრალიური ფეხბურთი. ავსტრალიის ლიგა. XVII ტური. ადელაიდა-ესენდონი (LIVE).
**17:30** სნუკერი. მსოფლიოს თასი. ბანგკოკი. ტაილანდი (LIVE).

ფორმულა 1. ინტერვიუ რობერტ კუბიცასთან

# რენოში საქმეები მაქვს დასამთავრებელი

**პოლონელმა რობერტ კუბიცამ გადაწყვიტა „ლოტუს-რენოსა“ და თავისი გულშემატკივრების შეკითხვებისთვის ეპასუხა, მაგრამ ვერ წარმოიდგენდა, თუ ეს აქცია უდიდეს აჟიოტაჟს გამოიწვევდა. წლის დასაწყისში სიკვდილს გადარჩენილმა პილოტმა ხუთი დღის განმავლობაში თითქმის ორი ათასი ელექტრონული წერილი მიიღო. რა თქმა უნდა, ყოველ მეორე წერილში პოლონელს სწრაფად გამოჯანმრთელებას უსურვებდნენ, თუმცა კუბიცას თაყვანისმცემლებს სხვა საკითხებიც აინტერესებდათ.**

**- როგორ გრძნობთ თავს ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად?**

- ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ყველაფერი წესრიგშია, ფიზიკურად კი ჯერ სუსტად ვარ, თუმცა თავს ნორმალურად ვგრძნობ. თითქმის დავიბრუნე ძველი წონა და რამდენიმე კვირაში დამოუკიდებლად სიარულსაც შევძლებ. საერთო ჯამში, ყველაფერი წესრიგშია.

**- გაქვთ თუ არა ისეთი შეგრძნება, რომ იმ ავარიამ შეცვალა რბოლებისადმი თქვენი შეხედულება?**

- არ მგონია. თავად ავარია არ მახსოვს, მხოლოდ მის მიერ დატოვებულ კვალს ვხედავ. ასე რომ, ის ისტორია თითქოს არც გადამხდენია თავს.

**- როგორ ფიქრობთ, მომხდარი საშუალებას მოგცემთ უფრო მაღალი კლასის პილოტად ჩამოყალიბდეთ?**

- ამის იმედი მაქვს. მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს. ვფიქრობ, იგივე დავრჩები, რაც ადრე ვიყავი.

**- რომელ გუნდში დაბრუნდებით მომავალ სეზონში?**

- მე „ლოტუს რენოს“ წევრი ვარ. რა თქმა უნდა, ახლა არ მაქვს ტრასაზე დაბრუნების საშუალება, მაგრამ ვგრძნობ, რომ ენსტოუნში საქმე ჯერ არ დამიმთავრებია.

**- რამდენად კარგი იდეაა მართვადი უკანა ანტიფრთის შემოღება?**

- ვფიქრობ, მან გაამართლა, რადგან ტრასაზე უფრო ბევრი საინტერესო ხდება.

**- როგორ მიმდინარეობს თქვენი რეაბილიტაციის პროცესი?**

- როგორც უკვე გითხარით, კმაყოფილი ვარ აღდგენითი კურსის ტემპითა და ხარისხით. მდგომარეობა ექიმების პროგნოზების შესაბამისად უმჯობესდება და საბედნიეროდ, არანაირი გართულება არ ყოფილა. ჯერჯერობით რთულია იმაზე ლაპარაკი, რამდენი დრო დამჭირდება ტრასაზე დასაბრუნებლად. ვფიქრობ, ამ საკითხში აჩქარება მიუღებელია.

**- ამ ეტაპზე ვერც სიმულატორის გამოყენებას ახერხებთ. გონებაში რა ვარჯიშებს აკეთებთ პილოტის ინსტინქტების შესანარჩუნებლად?**

- თქვენ არასოდეს დაგავიწყდებათ ველოსიპედის მართვა. ამ შემთხვევაშიც იგივეა. ასე რომ, არ მჭირდება დამატებითი ვარჯიშები. მომწონს ვიდეოთამაშები და ამისთვის დროს ყოველთვის ვნახულობ.

**- მზად ხართ მომავალ სეზონში სტარტზე გახვიდეთ და ტიტულისთვის ბრძოლაში ჩაებათ?**

- პირველ კითხვაზე პასუხი დადებითია. რაც შეეხება მეორეს, უნდა დაველოდოთ მინიმუმ ზამთრის პირველ ტესტებამდე.

**- როგორ შეაფასებთ წელს „ლოტუს-რენოს“ გამოსვლას?**

- ცუდი არ არის, თუმცა შედეგები ოდნავ მცირეა, განსაკუთრებით კვალიფიკაციის დროს. ვიცი, რომ უახლოეს რბოლებში ტექნიკური სიახლეები იგეგმება, რომელიც იმ დონეზე დაგვაბრუნებს, რაც სეზონის სტარტზე გვქონდა.

**- რას გააკეთებთ პირველ რიგში, როცა რბოლებს დაუბრუნდებით?**

- მშვიდად დავჯდები საკუთარ ინჟინრებთან ოთახში, ცოტას ვილაპარაკებთ და სამუშაოს შევუდგები.


რობერტ კუბიცა

ჩოგბურთი

# 1.8 მილიონი გამარჯვებულს

„დიდი სლემის“ რიგით მეოთხე ტურნირის - აშშ-ის ღია პირველობის ორგანიზატორები მამაკაცთა და ქალთა ერთეულთა თანრიგში მონაწილეებს სარეკორდო საპრიზო ფონდს შესთავაზებენ. 2011 წელს ამერიკის ღიას ჩემპიონი 1,8 მილიონ დოლარს მიიღებს. ეს ტურნირის ისტორიაში ყველაზე მაღალი პრემიალური თანხაა.

ჩემპიონატის საერთო საპრიზო ფონდი 23,7 მილიონი დოლარი იქნება, რაც ასევე სარეკორდო მაჩვენებელია. 2011 წელს ტურნირი 29 აგვისტოს დაიწყება და 11 სექტემბერს დასრულდება.

როგორც ამერიკის ღია პირველობის ვებგვერდზე წერია, ტურნირის გამარჯვებულებისთვის საპრიზო თანხა, შესაძლოა, კიდევ უფრო გაიზარდოს - ეს დამოკიდებული იქნება US Open Series-ის ტურნირებზე ნაჩვენებ შედეგებზე. ტრადიციულად, ეს ტურნირები წინ უძღვის „დიდი სლემის“ მეოთხე ჩემპიონატს. ეს სერია მოიცავს ATP-სა და WTA-ის ათ-ათ ტურნირს, რომელიც თვენახევრის განმავლობაში ტარდება და ქულები სპეციალური სისტემით ითვლება.

US Open Series-სა და უშუალოდ ამერიკის ღიაზე წარმატებული გამოსვლის წყალობით, 2005 წელს **კიმ კლაისტერსმა** 2,2 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, 2007 წელს კი **როჯერ ფედერერის** მონაგარი 2,4 მილიონს უდრიდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნოვაკი და ელენა

# ფედერერის მიბაძვით

## ნოვაკ ჯოკოვიჩმა დაქორწინება გადაწყვიტა

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და მისი შეყვარებული **ელენა რისტიჩი** უახლოეს ხანში დაქორწინებასა და ოჯახის შექმნას აპირებენ. ინტერნეტგამოცემა Mirror.co.uk-ის ინფორმაციით, 24 წლის ნოვაკმა განაცხადა, რომ ქორწილს მართლმადიდებლური ტრადიციების მიხედვით გადაიხდიან.

*„ვფიქრობ, ამან დადებითად უნდა იმოქმედოს ჩემს თამაშზე. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ როჯერ ფედერერმა უფრო თავისუფლად და ლაღად თამაში დაიწყო მას შემდეგ, რაც ცოლი მოიყვანა და მამა გახდა. გამორიცხული არ არის, იგივე მოხდეს ჩემს შემთხვევაში“,* - განაცხადა უიმბლდონის ახალმა ჩემპიონმა.

# ლონდონის ინტრიგა: მარტინა და როჯერი ერთად

ლეგენდარული შვეიცარიელი ჩოგბურთელი **მარტინა ჰინგისი** გასულ კვირას კიდევ ერთხელ დაუბრუნდა კორტს. მან ამერიკაში ტრადიციულ გუნდურ ტურნირში - World Team Tennis-2011-ში „ნიუ იორკ სპორტაიმის“ ღირსება დაიცვა და კვლავ დაადასტურა თავისი მაღალი კლასი.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ებიგეილ სპირსთან** წყვილში მოუგო მოქმედ ჩოგბურთელებს - **ლაიზა რეიმონდსა** და 19 წლის **ბეატრის კაპრას** - 5:2. მატჩის შემდეგ მარტინა ჟურნალისტებს გაესაუბრა.

*„ეს ტურნირი კარგი ტესტია ჩოგბურთში ჩემი შესაძლებლობების შესამოწმებლად. აქ შემიძლია ტოპ-მოთამაშეებს შევხვდე და შევამოწმო ჩემი ამჟამინდელი დონე.*

*როცა „დიდი სლემის“ დღევანდელ ტურნირებს ვუყურებ, ხანდახან მინდება მოქმედ ჩემპიონებთან შეჯიბრება, მაგრამ ახლა სიამოვნებით ვაკეთებ ამას ყოფილი პროფესიონალი ჩოგბურთელის რანგში. ასე შემიძლია დავტკბე ჩოგბურთით და სასიამოვნოდ გავატარო დრო“,* - აღნიშნა ჰინგისმა.

მაგრამ ჟურნალისტები არ გამორიცხავენ, რომ მარტინას მაინც მოუნიოს ერთხელ პროფესიულ დონეზე გამოსვლამ. ეს შეიძლება მოხდეს 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ჰინგისი ლეგენდარულ თანამემამულე **როჯერ ფედერერს** შეუერთდება და მიქსტში გამოვა.

*„საინტერესო იდეაა. სხვათა შორის, ირიბად ამის შესახებ როჯერ ფედერერმაც მკითხა. პირადად არა, მაგრამ მისი გუნდის წევრებმა მომმართეს ამ შეკითხვით. მაგრამ ჯერ ზუსტად არაფრის თქმა არ შემიძლია. ოლიმპიადამდე ჯერ დიდი დროა - ერთი წელი და ვინ იცის, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ახლა შესანიშნავ ფორმაში ვიმყოფები, მაგრამ თუ ოლიმპიადაზე გამოსვლა გადავწყვიტე, მთლიანად ამ საქმეს უნდა მივუძღვნა საკუთარი თავი. რამდენიმე ტურნირში მონაწილეობა მომიწევს ფორმის ალსადგენად. არავინ იცის, რა მოხდება ამ ერთი წლის განმავლობაში“,* - ამბობს მარტინა.

# ოჯახური საქმეები

ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა შვილი მშობლების ან რომელიმე სხვა ნათესავის საქმეს აგრძელებს. ასე იქმნება სახელგანთქმული დინასტიები თეატრში, კინოში, სპორტში... სპორტსმენების მაგალითები მართლაც ძალიან ხშირია, რადგან ბავშვი საკუთარი თვალით ხედავს ცოცხალ მაგალითს და უნებლიედ სპორტის მიმდევარი ხდება. ამ მხრივ არც ჩოგბურთია გამონაკლისი.

დღეს გთავაზობთ მასალას ვარსკვლავური ნათესავების შესახებ, რომლებმაც ჩოგბურთში ან სპორტის სხვა სახეობაში გამოიჩინეს თავი.

რა თქმა უნდა, ყველაზე ცნობილი და ტიტულოვანი ნათესავური წყვილი შექმნეს **რაფაელ ნადალმა** და მისმა ბიძამ, „ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრების ცნობილმა ფეხბურთელმა **მიგელ ანხელ ნადალმა**. ესპანეთის ხუთგზის ჩემპიონი, ჩემპიონთა თასის მფლობელი (1992), მსოფლიოს სამი ჩემპიონატის მონაწილე მიგელ ანხელი **იოჰან კრუიფის** ლეგენდარული გუნდის დაცვის ლიდერი იყო. სამწუხაროა, რომ ჩოგბურთელი **დავიდ ფერერი** და იმავე „ბარსელონაში“ უფროსი ნადალის პარტნიორი **ალბერტ ფერერი** ნათესავები არ არიან, თორემ ძალიან საინტერესო სურათს მივიღებდით. რაფამ უკვე დიდი ხანია აჯობა ტიტულებითა და პოპულარობით თავის ბიძას.

■ ■ ■

საფრანგეთის ნაკრების ორ ლიდერს - **გაელ მონფილსსა** და **ჟო-ვილფრიდ ცონგას** მამები სპორტსმენები ჰყავდათ. თუ **რუფინ მონფილსმა** ფეხბურთში განსაკუთრებულ წარმატებებს ვერ მიაღწია, **დიდიე ცონგა** ხელბურთში კონგოს ნაკრების წევრი იყო. მართალია, არ ვიცით ხელბურთის რა დონეა აფრიკის ამ ქვეყანაში, მაგრამ ეროვნული ნაკრები ყოველთვის მაღალი დონეა.

„საფეხბურთო“ ნათესავები ჰყავს კიდევ ორ ცნობილ ჩოგბურთელს. ფრანგი **მიკაელ ლოდრას** მამას 1973-74 წლების სეზონში „პარი სენ-ჟერმენში“ მხოლოდ სამი მატჩი აქვს ჩატარებული. სამაგიეროდ, **ენდი მიურეის** ბაბუამ **როი ერსკინმა** გასული საუკუნის 50-იან წლებში შოტლანდიის უმაღლეს დივიზიონში ითამაშა. მართალია, ეს „სელტიკისა“ და „რეინჯერსის“ შემადგენლობაში არ მომხდარა, მაგრამ მაინც.

სახელოვანი ბაბუა ჰყავდა ლატვიელ **ერნესტ გულბისს**. რიგის სკა-ს შემტევი მცველი **ალვილს გულბისი** ზედიზედ სამჯერ იგებდა კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასს. ეს 1958-60 წლებში მოხდა. უფროს გულბისს სსრკ-ის ნაკრებშიც იწვევდნენ. იქ დიდი ხანი არ უთამაშია, რადგან ძალიან დიდი კონკურენცია იყო.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, ეს სია არასრული იქნება მშობელი ჩოგბურთელების გარეშე. ასეთი ორია და ისინი ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს. ორივე **ალექსანდრეა**, ორივე ცნობილი მწვრთნელი. ორივე ავარჯიშებდა **ალექსანდრ მედვედევს**. ორივეს ვაჟს ჰქვია ალექსანდრე და გვარებიც ჰგავს ერთმანეთს. ერთია **ბოგომოლოვი**, მეორე - **დოლგოპოლოვი**. თუმცა უკრაინელი უფრო ახალგაზრდაა და ნიჭიერი რუს ამერიკელ ალექსზე. სამაგიეროდ, უფროსი ბოგომოლოვი **ლარისა სავჩენკოსთან** და **ევგენი კაფელნიკოვთან** მუშაობდა.

■ ■ ■

ქალებს შორის „სპორტული“ ნათესავების მხრივ უფრო საინტერესოდ არის საქმე. ჩამოთვლა დავიწყოთ მსოფლიოს პირველი ჩოგანით **კაროლინ ვოზნიაცკით**. ის საერთოდ დანიელად იმის წყალობით დაიბადა, რომ მისი მამა, ფეხბურთელი **პიოტრ ვოზნიაცკი** ოდენსეს „ბოლდკლუბენში“ გადავიდა. ეს კლუბი ერთ დროს დანიის ჩემპიონი იყო, მაგრამ ახლა ქვეყნის მეოთხე დივიზიონში თამაშობს. ამის ფონზე კაროლინის ძმა - **პატრიკი**, რომელიც მეორე ლიგის კლუბ „ჰვიდოვრეში“ გამოდის, ნამდვილ ვარსკვლავად გვევლინება. ამ სპორტული ოჯახის ისტორიას დავასრულებთ **ანა ვოზნიაცკით**. ჩოგბურთელის დედა ფრენბურთში პოლონეთის ნაკრების წევრი იყო. თუმცა ოჯახური ტრადიციის მიხედვით, სწორედ მისი გამოსვლის წლებში ერთ დროს ეს უძლიერესი გუნდიც ქვემოთ დაეშვა. სხვათა შორის, ანას წასვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ პოლონეთის ეროვნული ნაკრები ელიტას დაუბრუნდა და ზედიზედ ორჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონატი. იქნებ „დიდი სლემის“ ტურნირებზე კაროლინ ვოზნიაცკის უილბლობის მიზეზი ჩოგბურთელში არ უნდა ვეძიოთ?!

■ ■ ■

**კიმ კლაისტერსს** „დიდი სლემის“ ტურნირებთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში აქვს. თუმცა მისი მშობლებიც გაცილებით მაღალ დონეზე გამოდიოდნენ. კიმის დედა - **ელს ვანდეკეტსბეკი** ტანმოვარჯიშე იყო და ბელგიის ჩემპიონატი მოიგო. მამა - **ლეო კლაისტერსი** უფრო ცნობილი გახლდათ. „მეხელენის“, „ლიეჟისა“ და სხვა კლუბების ცენტრალური მცველის კარიერა ბელგიური ფეხბურთის ოქროს ეპოქას დაემთხვა. „მეხელენთან“ ერთად ლეომ 1988 წელს მოიგო თასების მფლობელთა თასი და ევროპის სუპერთასი. ბელგიის ნაკრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ორ ჩემპიონატსა და ევროპის 1984 წლის პირველობაზე. სამწუხაროდ, 2008 წლის იანვარში ლეო კლაისტერსი ფილტვის კიბოთი დაავადდა და ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

სხვათა შორის, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის მერვედფინალში ბელგიისა და სსრკ-ის მატჩში ლეო კლაისტერსი შეცვლაზე შევიდა მოედანზე და შეიძლება **სერგეი ბალტაჩას** წინააღმდეგ ეთამაშა, მაგრამ კიევის „დინამოს“ ლეგენდა და ბრიტანელი ჩოგბურთელის **ელენა ბალტაჩას** მამა იმ ტურნირს ტრავმის გამო ტოვებდა. სხვათა შორის, ელენასაც სპორტული ოჯახი აქვს. მამის გარდა ფეხბურთს თამაშობს მისი ძმა - **სერგეი**. დედა - **ოლგა ბალტაჩა** კი ხუთჭიდსა და შვიდჭიდში ოლიმპიადებზე გამოდიოდა.

■ ■ ■

საერთოდ, საბჭოთა სპორტულმა წყვილებმა ბევრი ცნობილი ჩოგბურთელი გამოზარდა. მაგალითად, **ვერა ზვონარევას** მამა - **იგორი** ბურთის ჰოკეის თამაშობდა, დედა - **ნატალია ბიკოვა** ბალახის ჰოკეის მოთამაშე იყო და 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ოთხი წლით ადრე, მონრეალის თამაშებზე 4x400 მეტრზე ესტაფეტაში ბრინჯაოს მედალი მოიგო **ნადეჟდა ილინამ - ნადეჟდა პეტროვას** დედამ. **სვეტლანა კუზნეცოვას** მშობლებმა ბედი ველოსპორტს დაუკავშირეს. დედამისი **გალინა ცარიოვა** მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ოცი რეკორდის მფლობელი იყო, ჩოგბურთელის მამა - **ალექსანდრ კუზნეცოვი** კი ცნობილი მწვრთნელი.

რუსებს არ ჩამორჩებიან „სოციალისტური ბანაკის“ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ბულგარელი **ცვეტანა პირონკოვას** მშობლებმა ცხოვრება სპორტის საწყლოსნო სახეობებს დაუკავშირეს. მამა - **კირილ ენჩევი** ბულგარეთის ჩემპიონი იყო აკადემიურ ნიჩბოსნობაში, დედა - **რადოსვეტა ჩინკოვა** ცურვაში. **ბოიანა იოვანოვსკის** მამა **ზორან იოვანოვსკი** ფეხბურთს თამაშობდა, **ანდრეა პეტკოვიჩის** მამამ (ისიც ზორანი) კი გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ორი მატჩი ითამაშა დევისის თასზე იუგოსლავიის ნაკრების რიგებში: ერთი მოიგო, მეორე - წააგო, თუმცა ლეგენდარულ **ილიე ნასტასესთან** მარცხი სულაც არ იყო სამარცხვინო.

■ ■ ■

სხვათა შორის, როლან გაროსის წლევანდელი ჩემპიონის **ნა ლის** მამა ბადმინტონს თამაშობდა და მისმა ქალიშვილმა სპორტულ კარიერის სწორედ ამ სახეობაში დაიწყო. ხოლო „სპორტული“ ნათესავების რაოდენობის მხრივ აშკარა რეკორდსმენად უნდა მივიჩნიოთ ამერიკელი ჩოგბურთელი **კოკო ვანდევეგე**. მისი ოჯახი თავიდანვე კალათბურთთან იყო დაკავშირებული. სპორტსმენის ბაბუა და მისი ბიძაშვილი - **ერნი ვანდევეგე** და **მელ ჰათჩინსი** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის, კერძოდ, „ნიუ იორკ ნიქსის“ ვარსკვლავები იყვნენ. კოკო ბიძამ, **ერნი „კიკი“ ვანდევეგემ** კი NBA-ში 13 სეზონის გატარება მოასწრო და შემდეგ „ნიუ ჯერსი ნეტსის“ მწვრთნელობასაც გამოკრა ხელი, თუმცა ეს საქმე მაინც და მაინც კარგად არ გამოუვიდა. მართალია, ბოლო ცნობა სპორტს არ უკავშირდება, მაგრამ ჩოგბურთელის ბებია - **კოლინ კეი ჰათჩინსი** 1952 წელს „მის ამერიკა“ გახდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ბიძა და ძმისშვილი